

გერმანული ლექსები

1930-1960

ადამიანის სულის დაბადება

გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაგამ

რედაქტორები: ნინო ბაქანიძე; ზესო კალანდაძე

კორექტორი — ოთო ჭულუხაძე

გერმანული ტექსტის ინერპრეტაციის  
კონსულტანტი — მერი ჭულუხაძე

წიგნის გარეკანის დიზაინი — ილია ნახუცრიშვილი

ISBN 978-9941-0-2443-6

თბილისი 2010

## წინასიტყვაობა

ადამიანი და მისი სულის ხელახალი დაბადება ლაიტმოტივად გასდევს წინამდებარე ანთოლოგიას, რომელშიც შვიდი ერთმანეთისაგან განსხვავებული და სიღრმისეულად ერთმანეთში გარდამავალი პოეტური სივრცეა გამოთლიანებული: – ქრისტიანულ-ჰუმანისტური პოეზია, ექსპრესიონიზმი, ბუნების ლირიკა, მცირედი ლირიკა, სიურეალიზმი, დადაიზმი და ყოფითი პოეზია. გერმანულენოვან რეალობაში ეს პოეტური სივრცეები სამი ათწლეულის მანძილზე (1930-1960) ყალიბდებოდა, “ვაიმარის რესპუბლიკიდან” “მესამე რაიხამდე” და “რაიხის აღსრულების” შემდეგ; ამ პოეტურ სივრცეებში შესული ლექსები საინფორმაციოა და სიმპტომატური. ისინი სულიერების თვალსაზრისით, თავიანთი ფორმითა და შინაარსითაც, მეტრით, სტილითა თუ მანერით, ასევე პათოსითა და პოეტიკის სხვა ასპექტების შიდა თუ გარე მრავალფეროვნებით, ზუსტად ეხმიანებიან ეპოქის სულს და “დოკუმენტებს” წამოადგენენ, – “ყველა ნაღდ ლექსს დოკუმენტის ღირებულება უნდა გააჩნდეს”, – ეპოქასთან მიმართების საფუძველზე, ასე აღგენდა ბერტ ბრეხტი ლექსის ჟანრსა და ღირებულებას.

ანთოლოგიაში “ადამიანის სულის დაბადება” შესული ყველა ლექსი როდი ესიტყვება ბრეხტის არაპოეტურ, ანტი-ბიურგერულ, ანტი-აკადემიურ, სოციალურ-საზოგადოებრივი კრიტიკით მოტივირებულ “დიალექტიკურ” ესთეტიკას, მაგრამ მათ ერთი რამ აქვთ საერთო: გერმანული სულისადმი სპეციფიკური მიმართება.

გერმანული სულიერება ტკივილებით გადაისერა მესამე რაიხის პირობებში. პოეტებს, რომელთა მრწამსი ჰუმანიზმი და ქრისტიანობა იყო, ფაქიზი ფორმების გამოძებნა მოუხდათ. მათში ისინი მკრთალად, ჟივილ-ხივილის გარეშე, გრილი პათოსით აქსოვდნენ სამყაროში “ჰარმონიის” აღდგენის აუცილებლობას.

ქრისტიანულ-ჰუმანისტური მრწამსის ლირიკოსები სამყაროდან ადამიანის გაქრობის შიშით განიმსჭვალნენ, – “ენით უთქმელი შიშის ძრწოლა დარჩება მხოლოდ”, (. . .) “და არაფერი დარჩება ჩვენგან”, – რაინჰოლდ შნაიდერი.

ბევრ სხვა პოეტთანაც ანალოგიური სამომავლო ვიზიონებია დახატული და გამოსავლად არსებული სიტუაციიდან ისევ და ისევ ჰუმანიზმი, ღირსების შენარჩუნება რჩება, – გერტრუდ ფონ ლეფორტს ქრისტიანული მორალი მძიმე პირობებშიაც სამშობლოში ანუ განსაცდელში დარჩენისკენ უბიძგებს: “უდინებოდა ხალხი ნაკადად, ხოლო მე მშობლიურ მიწის სამარხთან დავრჩი – უმწეო ბორცვთან,” (. . .) – “ლირიკული დღიური.”

პირველი ჯგუფის პოეტებში შიშის ატმოსფერო უსაფრთხო გარემოში ცხოვრების სურვილს ჰბადებდა და ამიტომაც, მათთვის ქრისტიანობა იყო ამოსავალი. ქრისტიანობა იყო მათი სასიცოცხლო ძალაცა და ორიენტირიც, ქრისტიანობა მათთვის უბრალო პოეტური აქტი ან სიმბოლიკით კეკლუცობა არ ყოფილა. ანთოლოგიის საწყის ნაწილში – “ტკივილი ძილმა გადაფარა, გალობამ - ვნება” – თავმოყრილ მშვიდი პათოსით დაწერილ ჰიმნებსა და ოდებს, სონეტებსა და ელეგიებს ეს ტენდენციები მსჭვალავს.

მეორე განყოფილება – “მერედა ნეტავი ეს რა დრო არის” – ექსპრესიონიზმს და მასთან ახლოს მდგომ ტენდენციებს წარმოადგენს.

ტონის მიმცემნი მეორე ჯგუფის პოეტებისათვის: ბერტ ბრეხტი და გოტფრიდ ბენი იყვნენ.

1956 წელს, ბრეხტის გარდაცვალების შემდეგ, კიდევ უფრო გამძაფრდა გერმანულენოვან პოეტურ სივრცეში მისი ისტორიზმისა და არაპოეტური პლასტიკის ზეგავლენა, – რიუმკორფისა და ენცენსბერგერის პოეზიას ამის ნათელი დასტური.

1956 წელსავე აღესრულა ბენიც, მაგრამ მალევე ჩაქრა სხვა პოეტებზე მისი “აბსოლუტური ლექსისა” და არტიზმის ზეგავლენა.

ბენი და ბრეხტი სულიერების გადარჩენას განსხვავებული გზებით ცდილობდნენ, – ბრეხტის აქცენტი პოლიტიკა და საზოგადოება იყო, ბენისა კი ლექსის ფიქციაში აგებული “ახალი ტრანსცედენტი”, რაც ძირითადად არსებითი სახელების “გზნებით” მიიღწეოდა. ხელოვნების “ფიქციურ სამყაროს” ისტორიული სიცარიელე, ღირებულებათა ნიჰილიზმი, შინაარსების კვდომა – დროის მანკიერება უნდა დაეძლია; სულიერების მაძიებელ სინამდვილის “აღმნუსხველი მე-ს” იმ მიზნით უნდა აღეძრა ფორმის დინამიზმი, რომ საგნებში ჩაბუდებულ, სამყაროს უპირველეს – “შორით-

საზღვრულ” შინაარსს განდობოდა. უპირველესყოვლისა სულიერი აღვსება იყო მისტერიის ამგვარი აქტი.

ბენის მსგავსად, სამყაროს მთლიანობაში არ აღიქვამს არც ელზე ლასკერ შიულერი და არც ექსპრესიონიზმის ბევრი სხვა მიმდევარი.

ლექსში “ჩემი ღურჯი პიანინო” ელზე ლასკერ შიულერის მიერ ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შიდა და გარე რეალობაა დახატული. გარე რეალობა დეფორმირებულია, მაგრამ ზედმიწევნით არაპოეტურია: “ახლა ვირთხები დასუნსულბენ ზრიალში”, ხოლო შიდა რეალობაში პოეტის ფანტაზია ისხამს ფრთებს: “მთვარის ასული მღეროდა ნავში”. სწორედ შიდა რეალობიდან არის აღძრული ადამიანის საჭირობოტო, ყოფნა-არყოფნის საკითხი: “ახ, სანუკვარი ანგელოზი უკვე გამიხსნის / ჩემს საცხოვრებლად კარიბჭეს ზეცის” (. . .).

ექსპრესიონიზმის ლირიკაში მკაფიოდ ისმის სიყვარულის, ბედნიერების ნატვრის ინტონაციები და ამ ლირიკის მთავარი მისწრაფება ადამიანის სულის ხელახალი დაბადებაა: “ოქროვანი ტბის სანაპიროზე დავიარები, / სად ყვავილობის სიუხვეა ნაგვიანები/ წაბლის ხეები საქორწინოდ იკაზმებიან, / რადგანაც მეჯლისის სიყვარულისას დაესწრებიან” (. . .), - მაქს ჰერმან ნაისე.

ანთოლოგიის მესამე ნაწილი – “რაც მყიფე არის, ის გადარჩება” – ბუნების ლირიკას წარმოგვიდგენს. ამ პოეზიაში ბუნება არც კლასიკური ყაიდის უნივერსალურ მთლიანობას წარმოაჩენს და იგი არც რომანტიზმის შვების სავანეა. ბუნება უფრო ეპითეტია დროისა და ხშირად “დემონიზირებულ ლანდშაფტებს” აჩენს. – “ჯურღმულებიდან მივიწვევ ტალღაზე, / წყაროს მობუტბუტე ნაპირამდე, / რად მოსჩქეფ შენ - წყვილიად?” – ოდა შეფერის “მონუსხული.”

“მონუსხული მე” სულიერების მაძიებელია და მოჯადოვებულ გარემოში ვერ კპოვებს რა შეგებას, იგი ეგზოტიკურ მიღმიერ სანახებს მიელტვის და სულიერად მათ უნივთდება: “პირონდელეა ჩემი სული: / ზეცის რიურაუზე ამოქარგული, / მაგრამ მწუხრივით მაინც ეული, / ზეციურ სულთა შარავანდელში გადაქარგული,” (. . .) – ფრიდრიხ შნაკის “მერცხალი”.

ბუნების ლირიკას ხშირად ბუნების მაგიასაც უწოდებენ, რადგან ამ პოეზიის ენა შელოცვას ჰგავს: “ვასხენე მთვარე, ის აფარფატდა, / ყვავის ბუდიდან გამოანათა, / ეული ტბორი აცახცახდა, / და იქვე გაქავდა” (. . .) – ვილჰელმ ლემანის “მთვარე იანვარში”.

მეოთხე ნაწილი – “როგორ გადიდა დრო” – იმ ლირიკოსებს აერთიანებს, რომლებიც ადამიანის მარადიულ პრობლემებზე უარს ამბობენ და თხზავენ ეგრეთ წოდებულ ერთი დღის ლექსებს.

მეოთხე ჯგუფის პოეტები მცირე, ყოფითი, სამომხმარებლო, პოლიტიკური ლირიკის ქანრში გაიწაფნენ და თვითმიზნად დაისახეს ქალაქი. მათი სიმღერით, ხშირად საშინელებათა პოეზიითაც ნასაზრდოები ლექსები, პოლიტიკურ კაბარეთა, ბირუებისა და სხვათა ცხოვრებას გვიხატავს.

ამ ჯგუფის პოეტები ასახვის ხერხებად გროტესკს, ირონიას, სატირას შეარჩევენ. სატირიტაა დახატული პეტერ პაულ აღტკაუზის ლექსში “დიდ ქალაქში” ქალბატონი კიულებორნის თვითმკვლელობა და ეს ფიურერის თვითმკვლელობად იკითხება: “ერთ დიდ ქალაქში კვირაობით მოისმის, / ქანცმილეული ჰანგი წვიმის გალობის, / ქალბატონი – თავჩაქინდრული არხს მიუყვება” (. . .)

როგორ უნდა გადაერჩინათ სულიერება იმ პოეტებს, რომლებმაც ჰოლოქოსტი გამოიარეს? – სიფხიზლით, ფიქრობს პაულ ცელანი. პწკარი მისი ლექსიდან: “ო, მქმენ მწკლარტედ და ნუშებთან დამთვალე” ანთოლოგიის მეხუთე – სიურეალისტურ განყოფილებას გახსნის.

ნელი ზაქსმაც ჰოლოქოსტი გამოიარა და ეს მან ზეგრძნობიერად გვამცნო: “შემსუბუქდება/ დედამიწა/ ფიორა ღრუბლად მწუხრის ტრფობისა/ მაშინ გაქრება ვარსკვლავისებრი ამბორში ვარდთან/ – სულ არაფრისგან”.

სიურეალისტური კოდექსი ანდრე ბრეტონმა თავის ორ მანიფესტში გამოჰკვეთა: “manifeste du surrealism” (1914 წ.) და “second manifeste du surrealism” (1930 წ.)

ნელი ზაქსი, პაულ ცელანი და სხვა სიურეალისტები სწორედ ანდრე ბრეტონის მოთხოვნების თანახმად, უარყოფდნენ სინტაქსსა და ლოგიკას. ისინი სამყაროსადმი რევოლუციურ-ანარქისტულ დამოკიდებულებას ავლენდნენ.

პოეზია შებრუნებულ ფსიქონალიზსა და ფსიქოსინთეზს უნდა წარმოადგენდეს, რაც ფარული, სამყაროსეული ფიქრებიდან იმიტომ უნდა ამოვიდეს, რომ სინამდვილის მანიფესტი შექმნას, სიურეალისტური ლექსის “მისტერიასა” და “თავისუფლებას” ასე გვიხატავს მაქს ჰოლცერი, ხოლო პაულ ცვლანი კი შემდეგს მოითხოვს: “ლექსში ყველა ტროპი და მეტაფორა ad absurd-ამდე უნდა დავიდეს. ერნსტ მაისტერის შემოქმედება ამ მოთხოვნის ტიპური ილუსტრაციაა და იგი ბნელი, დაკუმშული, პარადოქსული შიფრებით წარმოგვიჩენს მიწისქვეშეთის იდუმალებას: “ერთი სამარხის ნახვა მომინდა (. . .), გული ჩემი ყვაილებში ლამის გაჩერდა”, - მაგრამ კვდომას მარად თან ახლავს დაბადება, - “სიტყვების გლახაკს არასოდეს დატუქსავს ზეცა”, - ამგვარია ერნსტ მაისტერის საბოლოო მორალი.

ირაციონალიზმი უარყოფაა ყოველივე იმისა, რაც ასახვას და მიბაძვას უკავშირდება; იგი კულტურის, ეთიკის უგულვებელყოფაა, ეს კი ნიშნებია იმისა, რაც მეექვსე ჯგუფის პოეტებმა – დადაისტებმა ბგერითი კოლაჟების, თავისუფალი სივრცეების სახით გაშალეს ლექსში.

დადაისტები ქადაგებდნენ უაზრობას, როცა ისინი აზრს ასოციაციების საბურველში ახვევდნენ და ცდილობდნენ პალეოცინაციების აღძვრას: “სიტყვები არსებობენ ლანდებად/ ლანდები გარდაიქმნებიან სიტყვებად/ სიტყვები არსებობენ თამაშობებად/ თამაშობები გარდაიქმნებიან სიტყვებად/ არსებობენ ლანდები სიტყვებად/ გარდაიქმნებიან სიტყვები თამაშობებად” – ოიგენ გომრინგენი.

დადაისტებზე შორსაც წავიდნენ კონკრეტული პოეზიის მესვეურები: ჰ.კ არტმანი, რაინერ გერჰარტი, პეტერ ჰერტლინგი, ერნსტ იანდლი, კურტ ლეონაჰრდი, რომელმაც ხელოვნებისადმი ანტი-მიმართება იმით გამოხატეს, რომ საერთოდ უარყვეს ბუნება, როგორც ამოსავალი, ხოლო პოეტური ქსოვილის საშენ მასალად კონკრეტული, დანაწევრებული სიტყვა აღიარეს. მათი ეს ახლებური პლასტიკა უძველესი მატერიის პირველსახის წარმოდგენას ისახავდა მიზნად.

დადაისტებმა და კონკრეტული პოეზიის მიმდევრებმა ენა აღიარეს სამყაროში ორიენტირებისა და მისგან გამოცდილების მოხვეჭის საშუალებად.

ჰელმუტ ჰაისენბერგის მიზანი იყო: მოგონება განუმეორებლისა/ თქმა სათქმელისა/ (. . .) დასრულება დასასრულებლისა.

როგორც ვაკერიდებით, სხვადასხვა პოეტური სივრცეების პოეტები ერთი და იგივეს ამბობენ სხვადასხვაგვარად და მსგავს მიზნებთან განსხვავებული ხერხებით მიიწევენ.

ანთოლოგიის მეშვიდე ნაწილი – “ჩვენ ტკივილები მიგვასვენებენ უსარკმლო სახლში” – ისეთ ლექსებს მოიცავს, რომელთა სტროფები ხშირად ღიაა და მათში შეინიშნება არარეგულარული რითმიკა და რიტმი. ეს ლექსები ხშირად ზედმიწევნით არაპოეტურიცაა, რადგანაც ასახავენ მსგავსსავე არაპოეტურ სინამდვილეს: ომს კორეაში, კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, ბიუროს ყოველდღიურობას და სხვა, როგორც ენცენსბერგერი იტყვის: “გამოყენებითი პოეზიის” თემები ადამიანებთა შორის უნდა იქნეს მოძიებული”.

ადამიანი და მისი სულის დაბადებაა ანთოლოგიის ცენტრალური თემა.

## I. ქრისტიანულ-ჰუმანისტური პოეზია

*“ტკივილი ძილმა გადაფარა, გალობამ - ვნება” –  
კარლ ვოლფსკეელი*

**რიკარდა ჰუნი (დაბ.:18.7.1864 ბრაუნშვაიგი – გარ.:17.11.1947 შიონბერგი)**

სად ედინები შენ, შენ – ჭავლო უცნობო,  
საით იჩქარი შენ, მხიარულო მთვარის მარხილო?  
საით გაჰქუსლავ დაგეშილივით, ფუძის მომშლელო,  
გზავ ფერგამკრთალო, უშუქარი ნაძვნარებიდან?  
საით მიმიძღვი სულმოუთქმელად ზუზუნა ეტლო?  
შორს, შორს სოფლიდან, რაც მაყოვნებდა და ჩამითრევდა,  
შორს გაშიშვლებულ დღეებისაკენ,  
სად ქვიშასავით გამოიცრება ეს ბედისწერა.

**კარლ ვოლფსკეელი (დაბ.17.9.1869 დარმშტადტი – გარ.30.6.1948 ახალი ზელანდია)**

უკანასკნელი კუნძულის რიფზე დედამიწისა,  
ვითვისებ იმას, რაიც უწინ არ შემეთვისა.  
ბინდ-ბუნდში მოსჩანს, მაგრამ მაინც ვაყოლებ მხერას –  
ცვლილებით სავსე ზღვას სიცოცხლისა.  
ხალისის განცდამ დიდი ხანია თავი მანება,  
ტკივილი ძილმა გადაფარა, გალობამ – ვნება.  
ეს ისევ მე ვარ? სარკესაც ახლა ვენდობი ძლივსდა  
და ყოველივე ვცან სიზმრის მიღმა.  
სიზმრის ღიმილი მიმსუბუქებს ასეთ ვაებას,  
წამწამზე ცრემლი სიზმრებისა ტკბილად დამეცა.  
ტაბლაზე ვიღაც სიზმრისეულ კერძს გამომიტანს,  
სიმწვანე მისი გამომაცოცხლებს მე – სიზმრის გუდას.  
პატივით ვუცქერ ამ ერთადერთლა ციალს სიზმრისა,  
კუნაპეტ ღამედ წარმომიდგება დღე ზმანებისა,  
ის ვიღაც უცხო, ნიშანს რომ მაწვდის სიყვარულისა,  
იგრძნობს უეცრად, მცირე სცოდნია სიზმრულ ტრფობისა.

**გერტრუდ ფონ ლე ფორტი (დაბ.: 11.10.1876 მინდენი – გარ.: 1.11.1971 ობერსდორფი)**

**ლირიკული დღიური  
1933-1945**

IV.

ედინებოდა ხალხი ნაკადად, ხოლო მე დავრჩი  
მშობლიურ მიწის სამარხთან: უმწეო ბორცვთან  
ცრემლად ვიდვრები, რადგანაც ჩემი მყიფე მუხლები  
ადასტურებენ ნახევრად-ჩაფლვას.  
აქ მოახლოვდი აღმატებული მამულისაკენ,  
შენ, ტკბილო იმედგაცრუებავე, ჯერ მოუსვლელო გაზაფხულო  
ჩემი სიკვდილის, ო, სიყვარულის საბოლოო გაზაფხულო,  
მსურს ვეამბორო მარტოობას, ტლანქ დას გლოვისა,  
იმ ერთადერთს, დობილს მღუმარეს,  
ვინც ჩემთან ერთად გამოიფხიზლებს.

V.

ო, ნეტარი ვარსკვლავებისა რომ გესვათ შუქი,  
იმ ჩაჟამებულ, წახდენილ ღვინოს მხოლოდ თქვენ ხვრეპდით!

ფრთები განერთხნენ მიწას, “მაინც რა ავნეს ანგელოზებს?” – არვის უკითხავს.  
მკედრები არიან ისინიც, მკედრები! სიცოცხლესთან გამოასალმეს ანგელოზები!  
მორღვეული აქვს ჯებირები წმინდა მიწას და  
სად ზეციერთა სამშვიდობო გალობა თრთოდა, - იქ ესკადრები ჯოჯოხეთური  
სიველურისა დაჰქრიან ახლა.  
ღვას ძრწოლისაგან დაცლილი ღამე.  
იგი მიიწევს წყვდიადისაკენ საგნებისა,

მხნედ და უშიშრად,  
ამოეკითხოს თითქოსდა მათში საკუთარი იდუმალება,  
ხოლო მე უნდა შემშინებოდა?  
ჩემივ მამულის ღამეების წყალობით ღამეს განდობილი  
მე ხომ არა ვარ?  
ო, სანატრელო, წამიყვანე, წამიყვანე...  
ამ უცხო დღეთა სიცრუედ ქმნილ სინათლეში  
რავა ვქნა მარტომ?  
ღვას ძრწოლისაგან დაცლილი ღამე...  
VII.

ხედავ, ძვირფასო, როგორ ჩაკვდა შენს კვალდაკვალ ყოველი.  
შენი ბრწყინვალე ქალაქებიც  
განისვენებენ კატაფალკაზე გრძელ-გრძელ მწკრივებად,  
თითქოს უნდათო გულანუყებით დამშვიდობება.

ასწლოვან დიდების დიდი, უშფოთველი სახელები,  
სახელგანთქმულ მათ თავებთან ეპიტაფიად:  
ქალაქი ქალაქს, ძვალი ძვალს მიჯრილი, –  
არაფერი – შიშველი ჩონჩხების გარდა, ფერფლი ფერფლის წილ;  
გვამები საეკლესიო მოწამეთა, ძალუმი კოშკების ცხედრები,  
ცხედრები გმირულად დაცემულთა,  
მომცრო ბინების ბავშვურად მყიფე ნეკნები,  
წმინდა მტერის სათათბირონი, –  
აქეთ, აქეთ ეს ყველაფერი!  
ჰო, ძვირფასო, დაიხოცნენ შენს კვალად, –  
კიდევ უნდა დახოცილიყვნენ,  
ეგ იყო შენი ხედრი, შენი, ჩემო მამულო!  
სულთმოფენობის ცეცხლით ცხებული მათი ცხედრები  
დაეშენენ დაბლა.  
სიკვდილში სუფევს ხელახალი შეცნობა შენი, -  
სუფევს სიკვდილში ჭეშმარიტება.

**ჰერმან ჰესე (დაბ.: 2.7.1877 კალვი –გარ.: 9.8.1962 მონტანიოლა,ტესინი)**

### **ქარმა ქვიშაზე რაც დაგვიწერა**

რაც მაცდურია და მშვენიერი,  
ფშვინვიერია და მხოლოდ თრთოლვა,  
რაც ნატიფია და რაც ფხვიერი, –  
წამიერია, თვალის გართობა.  
შუშის სარკეზე ქალის მშვენებას  
თვალს ავლებ, მაგრამ უცებ გაქრება.  
საპნის ბუშტები სწრაფად გასკდება,  
ბაღლის კისკისი სწაფად მიწყდება.  
ფოიერვერკი, ყვავილი, ღრუბელი,  
სხვა მიწიერი საკვირველება:  
მოგეხიბლავეს მხოლოდ, როგორც სურნელი, –  
ეს ხომ ვიცით და გვაქვს მწუხარება.

რაც მყარი არის, დაურღვეველი,  
 გულზე საღებუნად ვერ გვეფინება...  
 და თუნდ ვარსკვლავნი, აგრე უთვლელნი,  
 გვეშორება და გვეუცხოვება.  
 ძვირფასი ქვები, გრილად მღვივარნი,  
 სულის სიღრმეზე არ გვეკარება,  
 მონათესავე ჩვენთან არ არის  
 ოქროს ზოდების მძიმე ნათება.  
 ჩვენ გულს გვინათებს მშვენიერება, -  
 ვცნობთ ტრფიალებად, მაგრამ დაჭკენება.  
 ჰანგი ნატიფად აჟღერდება და  
 უცებ მას კვდომა ჩაუსაფრდება.  
 მუსიკის ტონნი:  
 ქმნალობიდავნე ნაწილდებიან,  
 დინებას ფშვინვით იწყებენ მყისვე  
 და უტყვი სევდით იბურებიან.  
 ტონები ტონებს ზედ ედებიან,  
 გულის ფეთქვაზეც ვერ კავდებიან,  
 ბოლოს და ბოლოს დასაბამიდან ედინებიან.  
 ვრჩებით ერთგულნი:  
 ჩვენზე მსგავსისა,  
 მუდამ მდინარის, – თავად სიცოცხლის...  
 ვართ წარმავლისთვის თავდადებულნი  
 და სულაც არა მუდმივისათვის,  
 ხანგრძლივ გარჯისთვის.  
 უეცრად გვქანცავს წარუვალობა:  
 კლდე, ვარსკვლავეთი, ძვირფასი ქვები.  
 ჭარბად გვიზიდავს ცვალებადობა:  
 ფრენა ფერადი საპნის სულების.  
 გვხიბლავს, - დროსთან ნაჯვარი წარმავლობა:  
 ვარდის ფურცლებზე ცვარი ანკარა,  
 თუნდ ჩიტუნების ცეკვა-ტრიალი,  
 ღრუბლის სიცელქით გარდაცვალება,  
 ცისარტყელა ან თოვლის ციალი,  
 შორს მოფარფატე ფარვანა ანდა  
 კისკისის ხმები, რომ გაქრებიან გვერდზე ჩავლისას.  
 ის რაც გულს გვტკენდა,  
 არის ხანდახან დღესასწაული,  
 ჩვენ ეს გვხიბლავს და  
 გვესმის იმისა: რაც დაგვიწერა ქვიშაზე ქარმა . . .

**რუდოლფ ბორხარტი (დაბ: 9.6.1877. კიონიგსბერგი – გარ.: 10.1.1945 ტრინსი)**

**შობა 1944**

შემოგველია სანთელი  
 და გაქუცული დაგვრჩა ხე.  
 ნაძვს ძლივძლივობით წავუღებთ  
 მათ, ვინც შობას, შობას მოეღის.  
 ტკივილითა და ცხელებით  
 უცხო ვიწრობი განვვლეთ.  
 მაინც რას გვეტყვის შობა:  
 გზას ადგას შუქი, მოკლდება ღამე.

არ გვაქვს წერილი საღმრთო,  
 ეპისტოლე რომ ვიკითხოთ;



დღეს მომწამველად შეგვეხო  
ქმედება ერთობ უღვთო, –  
მოვიხმით ანტილოტი;  
მარად გვახსოვდეს, რაც იყო.  
მაინც ხომ გვეტყვის შობა:  
რომ მოკლე არის ღამე – მალე გათენდება.

დასამონებლად გვესხმოდნენ თავს და  
ხელს არ გვაძლევდა გაქცევა;  
მათ გვაიძულებს წასვლა;  
სურდათ პატივის აყრა;  
მაგნებლებადაც გამრავლდნენ და  
იქცნენ ჯალათებად.  
შობას კი შობა ერქვა;  
ბნელად გრძელდება ღამე, ვიდრე განდევნის დღე.  
ყრმა ჩვენს ბატონად დასმული  
ვერაგი სულ არ გამოდგა,  
მას გულში არსობის ფუძე  
უნდა ღვთით გარდასახული.  
ხოლო მდინარე პოს გავლით  
გვდევდა ერთგული ვარსკვლავი,  
რადგან ცრემლს ღვრიდა შობა:  
მოჩანს ვარსკვლავი ბნელში, ამით მოკლდება ღამე.

იქ მანტუასთან ბანდენში<sup>1</sup>  
ახდილი საფლავი გვიღრენდა...  
ბედმა უკუღმა გვატარა,  
მაინც აღვსდექით ცოცხლებში.  
ვართ უკუღმართად დევნილნი,  
მათხოვრის ჯოხზე მიბრჯნილნი,  
შობას კი შობა ჰქვია:  
ღატაკი ღამეა ფრიად და სულის ნათელით ივსება.

ო, სნეულებო, განკურნებულნო, ვინძლო,  
ახლა გიმღეროთ მინდა  
სადვთო წერილი წმინდა,  
რომ გიკითხავდით – ეგ იყო.

მათ ვერ დაკოდეს ფუძე,  
ეგებ რაც იყო აღსდგეს, –  
მეუფისაგან შობას მოაქვს ასეთი ცნობა,  
რომ ნაჭუჭია ღამე და დღეა მისი ღერძი.

ვერ ვპოვეთ შუქი სანთლით  
და ვერც წერილით აღთქმა,  
შეგვეხო დანაკლისი,  
რაც მარტოსულებს აკლდათ.  
ხელთ ვერ ჩაეუგდებთ რაიხს  
თავხედებსა და ბნელებს,  
ინახავს შობა გვირგვინს  
მამის ნებიერ ძისთვის.

---

<sup>1</sup> მანტუასთან ბანდენში – ავსტრიის ტიროლელთა ჰიმნი, რომელიც გაუდენთილია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი პათოსით. ტექსტის ავტორია იულიუს მოზენი.

დაცინვა იყო უთუოდ, –  
ჩვენს საწოლებში ვმდებოდით  
ტკბილი ჰანგების გარშემო.  
დღეს სამადლობლად მოსულხართ,  
ურთიერთს მხარში უდგახართ,  
თუმც მძვინვარებდა ღამე,  
შობა ხომ მაინც დადგა, ნაზი საწყისი გაჩნდა.

დღეს კი ყველანი შევერთდით,  
როგორც იქ, იმ ეკიპაჟზე,  
სადაც ვეკიდეთ ერთურთზე,  
დამაშვრალნი ქართ და ღამით.

ჩვენ ეს იმ ბავშვთან მიგვიყვანს,  
გული რომ არ უტეხია,  
დღეს მისი შობა ანთია  
სინათლედ ჩვენი დღისა, – მთელს კაბადონზე ცისა.

**რუდოლფ ალექსანდრ შრიოდერი (დაბ.: 29.1.1878 ბრემენი – გარ.: 22.8.1962 ბად ვისე)**

მე აღარა ვარ, – ნუ შემეხებით,  
ჯობს უცაბედად გაიხედოთ  
ჭრელ სიმრაფელში.  
ქურას ვუჯექი, პურსაც გავტეხდი.  
ღირსეულად, მოკეთებდა მიმანდით.  
ფვიქრობ, - ეს ყველაფერი ჩაბარდა წარსულს.

ყველა სახლს აქვს საწოლი, სკამი,  
აქვს მაგიდა და ელექტრობა,  
აქვს კარი და აქვს ჭიშკარი.  
მიმოვდიოდი ოთახებში: გასასვლელში და მისაღებში.  
ერთხელაც გარეთ გამიხმეს და მიბრძანეს: წადი.

აქვს სამყაროს ბევრი ზღურბლი,  
ყველაფერსა აქვს წესი და რიგი,  
ეს ვიცი, ჩემდა სავალალოდ.

ერთხელაც ამ გზას დავადექი.  
დღედაღამ ასე დავეხეტები,  
ვითომდა უცხო ქვეყანაში ვსიამტკბილობ.  
თუკი შემოვრჩათ ის, რაც შეგეძლოთ,  
ეს მისგანაა, თქვენთვის სამადლოდ.  
ზეიმზეც გახლდით.  
მე აღარა ვარ, ნუ შემეხებით;  
მე ვარ უცხო, ვარ ის კაცი,  
ეუბნებიან რომელსაც: წადი.

ნურვინ მესება, ჭკვიანი კაცი  
თუნდ ჭკუათხელი, ვინც გზას განაგრძობს. . .  
ბოლოს და ბოლოს მილასლასდება იმავე ჭიშკრამდე,  
რომელშიც ხშირად გაატარებენ ყველა შემთხვევითს, -  
მაგრამ, მაინც არის საეჭვო იმას გაელოს,  
ვინც მიაღწია ფეხის ჩანჩალით.

**ჰანს კაროსა (დაბ.: 15.12.1878 ბად ტიოლცი – გარ.: 12.9.1956 რიცშტაიგი პასაუსთან)**

### **ძველებური შადრევანი**

შუქი ჩააქრე და დაიძინე! ძველებური შადრევანი,  
მარად რაკრაკა, სახლთან იფხიზლებს.  
შენს ჭერქვეშ ჩამომხდარი ერთი მსტოვარი  
ჰანგს წყლისას იწვნევს.

არის შესაძლო, საბოლოოდ ოცნება ახდეს,  
მღველვარების უამს კარს შენ მომადგე,  
ხმაანკარა შხეფის წკარუნი უეცრად მიწყდეს,  
ხრემის ხრაშუნი შემოისმას მძიმე ნაბიჯქვეშ.

გამოიღვიძებ! სწორედ მაშინ არ უნდა შეკრთე,  
ცის კაბადონი გადიჭედება მრავალ ვარსკვლავით.  
არ გაიოცო, შადრევანთან თუ მსტოვარს შეხვდი,  
ის აუზიდან წყალს ამოხაპავს შიშველი ხელით.

და წავა მერე... წყალი ძველებურ რაკრაკს დაიწყებს.  
აქ ის მარტოკა არ დაგტოვებს: ო, გიხაროდეს!  
ვარსკვლავთ შორეულ ციმციმისკენ მგზავრი უღვევად როს მიაშურებს,  
ის მოვა შენთან, შენ გეახლება, გზად არის უკვე.

**კონრად ვაისი (დაბ.: 15.1880 რაუნ ბრეცინგენი შვებიშჰალთან – გარ.: 4.1.1940. მიუნხენი)**

### **ადღგომა თოვლში**

აქ მოსცილდება სახება ჩარჩოს,  
თითქოს გასცლოდეს მზე ამ სამყაროს.  
ეს საფლავიც კი ვერ შეამცირებს სიმაღლის სიგრძეს,  
აღარც სიღრმეა განცდებისა, იმას რომ მისწვდეს,  
ის თავს ვერ იჭერს, რადგან სივრცეზე მეტსაც დაიტევს,  
გრძნობებს არც იწვევს. ამ აბურდულ სამყაროშია ეს თოვლ-ვარსკვლავი,  
სიახლეთა მზედ წარმომდგარი.

დედაკაცებო, თქვენ ცრემლთა დენა  
მის კუშტ სახებას მტლად დაედება.  
ის თავსაც იმსხვრევს  
და ვით ნაყოფი სხეულისა, ჯერაც უმწეო, ძალას მოიკრებს.  
გამალებული ყვავილობა მით მინავლულა,  
მიწის კანონი იმავე კანონით მსჯავრდადებულა.  
ჩვენ სანუკვარი გაზაფხული გვიახლოვდება  
და როგორც ნაფი სულისთქმისა, ნაპირთან დგება, –  
აი მანდ არის აღმართული სახლი აღმდგენლის,  
თოთო ბაღლი კი სიახლისა – იქიდან მოდის.

**იოზეფ ვაინჰებერი (დაბ.: 9.3.1892 ვენა – გარ.: 8.4.1945 კირსშტეტენი)**

### **სიზმრიდან ნაუბარი**

მე არც აქა ვარ და არცა ვარ სხვაგან წასული,  
ვბინადრობ ასე მხარეთა შორის.  
ახ, ყვავილები, ყვავილები, დრო შორეული.  
მოკვდა ბევრი რამ. ბარდნის. ღატაკი მღერის.

მე უკვე ვზივარ მატარებელში და აქამომდე პეპელაც  
ვერ მოფარფატებს. ო, ვარსკვლავები მწუხრის,  
საშემოდგომოდ ჩაძირული ბაღნარი! აი აქ ახლა  
ქალმა განვლო სამუდამოდ... იყო ღამაში და იყო შორი.

უფრო და უფრო შორეული ხდება საწყისი.  
რეკს უხმაუროდ საათი – ორი, იცინის ერთი.  
პურის გატეხვა, განაწილება აზრიანია.  
ეს ხომ არ გვექნა? – ამბობს ხმა მისი.

ხომ არ მეღანდება ბავშვის ეს სახება?  
ო, დედა, გახსოვს? – ეს იყო უწინ.  
ვარ დაბნეული, რა დროა? – მეზობელი მეკითხება;  
არ მქონდა არჩევანი და უკვე ვწევარ.

უკვე გვიანია. დიახ, საკმაოდ დაგვიანდა.  
და მოუცლიათ ღმერთებს, შენებრ დაღლილებს, ძილისთვის.  
ყვავილები, ახ ყვავილები! ანგელოზივით დადგა  
ვიღაც, ბაღის ჭიშკრის წინ, ნეტავი რისთვის?

არა გაქვს ჩივილის ნება. დახატული ხარ  
მარადისისთვის. დამშვიდდი. ნაკლებობაა აქ შუბლისა.  
რა ფაფუკი გაქვს სურათში ხელი, რა პაწაწა ხარ!  
უკვე აღარც თოვს. ეს ოქრო არის ღარიბისა – აუწონელი.

მოვსულვართ უკვე მიზანთან?  
ასე აღმოვჩნდი იქ, სადაც ვიყავი მარადის.  
ახლა აღარც დგას იგი იქ, იმ ყვავილებთან!  
გარდამეცვალა ასე ძვირფასი, - ო, დროის საოცრება.

**ვერნერ ბერგენგრიუნი (დაბ.: 16.9.1892 რიგა – გარ.: 4.9.1964 ბადენ-ბადენი)**

### **ჩიტისადმი გარდაცვლილის შელოცვა**

ო, ბედკრულო პაწია! თეთრი ფრთები მარილივით,  
პარკის ბილიკზე რომ ვიპოვნე ქვიშაში, თანაც მოთხვრილი სისხლით.  
მგზავრო შეჩერდი! არა, არა – იარე ისევ, ოღონდ დაწყნარდი  
და წამით პაწია ჩიტზე დაფიქრდი.

ო, ფრთა-მსუბუქი სიკვდილი! გულისმომკვლელი წონა,  
სამსჯავროზე მამძიმებელი მიწიერ ყოფის.  
დიდი როდია – დიდი და პატარა – პატარა  
წინაშე ღვთის სახებისა.  
ჩიტს ავუწიე ფრთები. კეკლუცად წასწვეტებოდა ღეროები  
და იმითვე ამოვტვიფრე ქვიშაში გარდაცვლილი ჩიტის შელოცვა,  
იმ ქვიშაში, უწყნარესი დღის ყველა ჩასუნთქვით რომ განიბნევა,  
რომ ნიავება ჩიტის სისწრაფით ყოველ ნაბიჯზე.  
დედამიწაზე ღმერთს მარადისის მეუფება რომ სდომებოდა,  
მაშინ ამ ქვიშას ის მარმარილოდ გადააქცევდა,  
მაგრამ მას უნდა, ასე რჩებოდეს ჩვენთვის ეს წუთი:  
ქვიშა, ნაწერი, მარმარილო, – მე, შენ და ჩიტი.

**ჰერმან კაზაკი (დაბ.: 24.7.1896 პოცლამი – გარ.: 10.1.1966 შტუტგარტი)**

**ნაშთი სვეტისა**

ნაშთი სვეტისა. დაგიწყებული დროება  
თვალს ეთხოვება.  
ლიცლიცი შუქჩრდილთა.  
მზე მალე ჩაესვენება.

მტვრიდან, ქვა-ლორლიდან  
აირეკლება ეს ზმანება.  
სამგლოვიაროა ამა სოფლიდან  
სივრცეთა სვეტის გასვენება.

შენი ხვედრიც იყო ეგ ამაღლება,  
მანდედან ფრთა-განივრად  
დაიზნიქება  
კამაროვანი ცა.

ეგ შეხვედრები და მიღწევები  
მუდამ იხსნიდნენ სამყაროს!  
მიწასრგუნებული ეგ ნიშნები  
დაე, დაეცნენ და ჩაესვენონ.

შორი დაცინვით გაგქვავებია თვალები,  
დაბრმავებულხარ. . .  
განისვენებ რა ხანია და მაინც სამარცხვინოდ  
ლამაზი ხარ!

**ფრიდრიხ გეორგ იუნგერი (დაბ.: 19.1898 ჰანოვერი – გარ.: 20.7.1977 იუბერლინგენი)**

**ზამთრის დილა**

ვერცხლის ჭურჭელზე მინაკრავივით ხმები  
ქალიშვილებისა მოისმის გაყინულ ტბიდან.  
მე მათი ყინულზე ციგურაობით ვიხიბლები  
და ქურქს ვიბერტყავ. ამდის ბული თოვლისა.

მელიის ტყავში გახვეული ეს გაბედული ფიგურები  
დასრიალებენ ფერიებივით მსუბუქად.  
დაბზრიალებენ მათი ფოლადის ციგურები  
ყინულის ფართო, კრიალა თეფშზე – მოუღლელად.

სუნთქვას, - მსგავსს მჭვარტლისა ვლაფავ პირიდან, -  
ჰაერს შორს მიაქვს. მისძახის ექო ექოს.  
რეკს და რეკს კისკისი ელიზესი თეთრონი ტყიდან,  
თითქოს ვერცხლის ზარისა სრული ჩამონაკრავი იყოს.

**ალბერტ ჰაუსჰოფერი (დაბ.: 7.1.1903 მიუნხენი – გარ.: 23.4.1945 დასავლეთ ბერლინი)**

**გამოთხოვება**

იუპიტერი და ვენერა რა ფერმკრთალები დგანან, -  
მთის ეს მწვერვალი ვარდის ნათელში განიბანა,  
შემდგომი ჩემი გზისა გავიგე ანა-ბანა,  
სალმები იმ ჟამისა შორეულები ჩანან.

ფლოქეთა თქარუნი მთაში მიწენარდა ნელა-ნელა,  
ღიახაც, ვირი იყო ჩემი გზის გამკაფველი,  
ამ ხეობამდე მდევდა, ის იყო ჩემი მცველი,  
ცისკრის ნათლიდან იგი უკან გაბრუნდა ძნელად.  
მე იმ ფლოქეების თქლაფუნი ისევ ყურებში მიღვას;  
იქ მდინარისპირ ტყესთან, რომ ჩაიხვევა გზები,  
იდგა თქარუნი მძიმე. . . ისმოდა უცხო ხმები, -  
მოკვდა, ჩაბარდა წარსულს ძახილი მამულისა.  
მთის კარიბჭიდან ჩქეფენ კრიალ-კრიალა წყლები,  
იმ საძოვრისკენ რბიან ფლოქეები, შორებლები.

**რანისხოლდ შნაიდერი (დაბ.: 13.5.1903 ბადენ-ბადენი – გარ.: 6.4.1858 ფრაიბურგი)**

**დღე უკანასკნელი**

1.

ღრმა საფლავიდან უკანასკნელად  
მსურს მოგაწვდინოთ ჩემი გულისთქმა,  
მსურს სიკვდილის წინ უკანასკნელად სული მოვითქვა  
ჩემივ ცხოვრების მტკიცედ ჩარაზულ დარბაზონიდან.

კარგა ხანია მე მკვდარი ვარ. აღარც კი მთრგუნავს  
წლების რიცხვი. ჩემივ საფლავის კედლებიდან ვგრძნობ,  
რომ ჩემს სამყაროს, ასევე თქვენსას, ეღება ბოლო,  
მაგრამ იღბალი თქვენი ყოფისა გულს არც კი მიკლავს.

ჩემზე და ჩემს ღამეზედაც ხვავდება  
ღრო-უამის თოვლი. ვარ მაქამომდე დაფარული.  
თან ყველა მკვდარიც მიძმობილდება.  
მაკვირვებს სიტყვა: “დავიწყებული”.  
უკანასკნელი დღის სიშლეგვა თქვენზე ზედგამოჭრილი.  
თქვენ სულდგმულობთ არაფერში. ჩემს მიერაა ეგ არაფერი გამოზომილი.

2.

ბედითმოდლილ ხალხს გზა-კვალი როცა ებნევა,  
ისობს უფლებებს და ნამემკვიდრევე აელა-დიდებას, -  
სპილენძის კერპში აქანდაკებს რიოშ დიდებას  
და სხვათა მკვდარ ბატონს დაემონება.

მასშტაბისაგან სიდიადე როს მოიცრება,  
მღელვარებს რწმენა და თვით ღირსება.  
ილუზიისგან გაშოლტილი სიცოცხლის ძირი მოიხერხება,  
ხოლო ჰაერს კი მკვდართა მეგზურის აპობს გინება.

დღე დგება მაშინ, რის დადგომასაც მე ვხედავ ახლა,  
სად არაფერი ყველას საკუთარ არსს მიაახლებს,  
სამყარო ასე გამჩანაგებლად თავს გაიმჟღავნებს.

ენითუთქმელი შიშის ძრწოლა დარჩება მხოლოდ.  
ვინც თავს იცავდა, დაეცემიან ბოლოს და ბოლოს.  
და არაფერი დარჩება ჩვენგან, სულ არაფერი – ჩვენი მოდგმიდან.

**მარი ლუიზე კაშნიცი (დაბ.: 31.1.1904 კარლსრუე – გარ.: 10.10.1974 რომი)**

**ქალაქის გარეუბანი**

ორი ხე  
გადარჩა  
უგერიას კორომიდან,  
მხოლოდ ორი ბატკანი  
დიდი ფარიდან:  
ერთი შავი და  
ერთიც თეთრი.  
სალამოობით  
აღარავინ აყოლებს მზერას  
გალაენის მოწითალო  
ქონგურებს.  
გაწკრივებული სარკმლებით  
გვეგებებიან  
მაღალი სახლები  
ქალაქის გარეუბნიდან.  
ბიჭები  
ტკაცუნით მოაგელვებენ  
ველოსიპედებს.  
მხნედ ამართული  
უამრავი ბიჭი  
მოაგელვებს  
ველოსიპედის ბორბალს...  
შავი კვიპაროსები  
ლაგამს სდებენ  
ტბორის კოლოებს.  
მღვიმის ხეობა  
აყვავებული კურდღლაცოცხათი  
გადააპენტილა.

**ალბრეხტ გოესი (დაბ.:22.3.1908 ვიურტემბერგი – გარ.: 23.2.2000 ვიურტემბერგი)**

**მომავლის იმედი**

თქმა აღარ უნდა, მოისრა ყანა. სამკალის წინ დასცხო დეროებს  
გამძვინვარებულმა სეტყვამ და ხრწნამ ნაყოფი გამოიღო.  
მტერმა ჩათესა შხამიც, მტერმა საკუთარ ქვეყანაში.  
ვით წლების წინ, განახლებულად ციმციმებს  
თეთრი ანწლის სანათი აღსაველეთის ფერდობზე.  
ერთადერთი ჩანასახილა რჩებოდა მომავლის იმედად.  
მაფხიზლებელი ციური ჭავლი, იმ ერთადერთ  
მიწისა და მკვებავი მარილის ჩანასახთან აკაშკაშდა  
და ამიტომაც, მნიშვნელოვანი სიტყვებით  
ცხოველმყოფელი სული დღემუდამ შენ გიხმობს.

**რუდოლფ ჰაგელშტანჟე (დაბ.: 14.1.1912 ნორდჰაუზენი– გარ.: 1984 ჰანაუ)**

მე დიდხანს ვიყავ მდუმარე, მდუმარე ვით ქვა, -  
უფრო მეტიც, ამ ღუმილიდან გარდასული გაცოცხლდა,  
გაშიშვლდა და თითქოსდა ფრინველი გამოკრთა ხეში,  
აკენიდან ხმელ ტოტს აეკრა.

ირგვლივ ომია ისევ და დგას სისხლისღვრა.  
სხეულებიდან, თითქოს ღრუბლიდან გადმოსჩქეფს, -  
მსგავსი რამ უწინ ბევრ ქალს მიეძღვნა.  
დღეს კი არვინ ჩანს, რომ შეაჩეროს ეს სისხლის დენა.

დავიწყების გამონატყორცნი, ვით სარეველა, ბავშთან მრავლდება,  
ჩვენს სულებში კი ფუჭი ზრუნვა ფუყედ ფუვდება.  
ხოლო ნგრევა კი სანადღეოს დებს, რომ სამსჯავრო იქნება  
და განაჩენი მაცხოვრის მიერ გამოითქმება.

ო, ნეტავ ახლა, როცა ხორხებიდან შიშნეული  
ჩივილი და ხავილი გვეღვრება, – რა გვემღერება, რა გვემღერება.

**ქრისტინე ბუსტა (დაბ.: 23.4.1915 ვენა – გარ.: 3.12.1987 ვენა)**

### **ფაზები**

ვისაც ის შერჩა, რაც არავის არ შერჩენია,  
სავსე მთვარეშიც  
ნამგლის ღუნს ხედავს,  
მოუკლებელი სამკალისთვის  
ორსახა ნიშანს და თან მარჯვენა,  
ხანაც მარცხენა ხელით მუშაობს.

ხელთა ცვლის შუა  
გულმოწყაღე პაუზა რჩება,  
წმინდად ამო სანაწაულის  
ჩასადენად ანთებული.

შავადჩენილ სახურავებზე ნატიფად  
იწვერება თოვლის უნაყოფო ჩითილი.  
განძრცილი ზაფხულიდან  
ყურთასმენაში გვიბრუნდება  
ფრინველების საამური ჟიჟივი.  
კანს გვიწითლებს ყაყაჩოების  
გაცრეცილი აბრეშუმი.  
გვსურს ფაქიზი, საკითხავად შეუძლებელი  
ბარათების სისხლძარღვებში  
ჩავხატოთ ჩვენი გულის ღანდშაფტი.  
სარკმელში ღამპარს გამოვუდგამთ  
ვარსკვლავმოცარულ მოცურავებს და  
შევიტყობთ, - რა ბავშვურია ვარცლი,  
ხოლო ზეთი კი – ღამისა  
და ზღვის მიმართ, რა ლევადი.

ჩვენ ერთ მწიფე თავთავს მოვიღვრებთ,  
ნარშავების ველურ ურდოში შევიჭრებით,  
სარეველაში მიმოვაბნევთ მარცვლეულს.

თაველების ხორკლიან ფხებში  
საჩვენოდ ჭგავის შავი რქა  
შემონახულა, მომშხამველად  
და ჩვენდა მამებლადაც.

ძელის უტყვ ჯვარზე  
თავის სიმწვავეს ისინჯავს მთვარე.



**ზილია ვალტერი (დაბ.: 23.4.1919 რიკენბახი, შვეიცარია –)**

**მღერის მარია**

მსურს, ბავშვმა დაიბინოს,  
ჯოგმა ველურ ბატების აქეთ აღარ იფრინოს.  
ზაფხულს ვინ აღსგომია?

ო, მითხარი, ძვირფასო, ტბილი ნამგალა მთვარის  
ცვლილებების და მიმოსვლის  
დაცვა თუ შემოიძლია?

ბავშვო, მღერით იძინე,  
ისვრის ყულფს მონადირე,  
სარი დარჭობილია.

ძაღადობა მამისა,  
თქვი, ვინ გაისაძლისა?!  
ვარ – მხევალი მარია...

როცა მალლა ჰკიდისარ, გივარდები მუხლებში.  
სოფლის ყვითელ ბნელეთში  
მთვარეც ჩამომდგარია.

ბავშვო, რწევით იძინე.  
გული რად ამიძგერე?  
დახსნილია სამყარო?!

**დაგმარ ნიკი (დაბ.: 30.5.1926 ბრესლაუ –)**

**ქალაქები**

აქ იდგნენ ქალაქები და ახლა აწყვია ქვები.  
მოურთხამს ფეხი ღამეს ნანგრევზე.  
ცმუკავს, ქირქილებს სიკვდილი აგრე:  
ვინ იქმდა ამას უკეთ ჩემზე?!  
აქ იყვნენ ადამიანები, ახლა არიან მკვდრები.

ვით მოხვენება ქრომის,  
დასწვდება მთვარე გრძელი ხელებით ფანჯარას ღრუში  
და აცმუკდება იქვე ტაძრის ნეკნებში.  
ვით მოცეკვავე, ზღართანს მოადენს იმ მდინარეში.  
ახლა კი იგი ყველა კედელთან ლანდისებრ დაკრთის.

დანახშირებული ხეები ცივად გაშეშებულან,  
სცვივათ ფოთლები ნაგავში. ქრება სიცოცხლე უკანასკნელი.  
ნაცრისფერში ჩაისისინებს ჭილ-ყვავი ბნელი.  
ასე წაიშლება წარსული ძველი.  
აქ მდგარი ქალაქები აღგვიღან.

## II. ექსპრესიონიზმი

*“მერედა ეს ნეტავ რა დრო არის” – ალექსანდერ ქსავერ გვერდერი*

**ელზე ლასკერ-შიულერი (დაბ.: 11.2.1869 ელბერფელდი – გარ.: 22.1.1945 იერუსალიმი)**

**ჩემი ლურჯი პიანინო**

შინ ერთი ლურჯი პიანინო მაქვს,  
მაგრამ ნოტიც კი არ ვიცი.  
იგი სარდაფის კარს მიღმა ბნელში დგას,  
ქვეყნიერება რაც ველურ სახეცვლას განიცდის.

ზეცად მფარველნი ვარსკვლავებისა უკრავენ ოთხთავს,  
– მთვარის ასული მღეროდა ნავში –  
ახლა ვირთხები დასუნსულებენ ფორტეპიანოს ზრიალში.

კლავიატურა დაიმსხვრა. . .  
მივსტირი ლურჯ მკვდარს.

ახ, სანუკვარი ანგელოზი უკვე გამიხსნის,  
– შევექცეოდი სიმწრის პურისას –  
ჩემს საცხოვნებლად კარიბჭეს ზეცის,  
მიუხედავად ყველანაირი აკრძალვისა.

**პაულ ცეხი (დაბ.: 19.2.1881 ბრიზენი – გარ.: 7.9.1946 ბუენოს აირესი)**

მსურდა, ლანდშაფტი დამეხატა შენთვის იმგვარი,  
მსგავსი ველიდან რკინიგზა რომ არ გჩვენებოდა.  
აცქერდებოდი: მუქმეწამული წყალის ჯადვარი  
ვერცხლის ბაკნებში სქელ-სქელ ფენებად მომრავლდებოდა.

ველური მხეცის ჯოგი და ყანჩა საცქერლად ღირდა, –  
ჟანგმიწისფერი გედი და თან იბისი შავი.  
სადოვრების პირ ფარშევანგის ღირა რომ უღერდა,  
არას ჩხავილის მისამართით – სიესივი სვავის.

ღამის ფსკერამდი დაძირულან იქ საფლავეები,  
მიმწუხრებული ცის ძოწნებში განბანილები.  
დალივლივებენ აჭრელებული იქვე თევზები,  
კალაპოტიდან: წყალს ამგვარი რამ არასოდეს ამოჰყოლია.  
ხან კარვიდან და ხან ტყავის ყვითელი ლაბადებიდან  
ისევ და ისევ  
თავს მაღლა ჰყოფენ ის სახეები,  
რომ არასოდეს ბერდებიან, არც იცვლებიან. . .

**მაქს ჰერმან ნაისე (დაბ.: 23.5.1886 ნაისე – გარ.: 8.4.1941 ლონდონი)**

**ციურისული მაისი და პატარძალი კარმენი**

ოქროვანი ტბის სანაპიროზე დავიარები,  
სად ყვავილობის სიუხვეა ნაგვიანები.  
წაბლის ხეები საქორწინოდ იკაზმებიან,  
რადგანაც მეჯლისს სიყვარულისა დაესწრებიან.  
სულმოუთმენლად ველოდები შენს დაბრუნებას,

ოცნების ნავით გადაგაცურებ იასამნის ზღვას.  
აღუბლისა და ვაშლის ხეები წითლებია და თეთრებია, –  
შენს სამაისო დღესასწაულში მოგიძღვებიან.  
ფრინველთ ჟღერტულით არის ჰაერი მძლავრად შეძრული,  
გადგას გვივრგვინი კოკრებისა მათგან მოწნული.  
თოვლში ორმხრივი და სპეტაკი თამაშობიდან  
ეს მეჯლისი – ოქროსფერი მადლდება ტბიდან.  
შენ დაბანგული მაისის ხოჭო გცვივა კალთაში  
და გელდება მკერდი თბილ ქარში.  
შემდეგ ამისა შეგებურავს იგი თავის მანტოში  
და მოშორებით გაგვახარებს სხვა სამყაროში.  
იქ სულს მოვითქვამთ სიშლევისა და შეტაკებისგან,  
დავიფარებით მიღმიერად ყველა დროისგან.  
დავეხეტები სანაპიროზე ოქროვან ტბისა,  
ზღვა-ყვავილობა ზეობს სადაც ჩვენი ტრფობისა.

**გოტფრიდ ბენი (დაბ.: 2.5.1886 მანსფელდი – გარ.: 7.7.1956 ბერლინი დას.)**

### **ორად-ორიდა საგანი**

მრავალი ფორმა გამოვიარე:

“მე და ჩვენ და შენ, თუმცა ყოველთვის

მარადის კითხვას გავეზიარე:

ო, რისთვის, რისთვის?

ეს გულუბრყვილო შეკითხვა ვინძლო

შენც თუ წამოჭრა მოგვიანებით,

მთავარი არის ატანა შესძლო

– ლეგენდის, ვნების, თუნდაც თქმულების –

შორითსაზღვრული “შენ უნდა-ს” ნებით.

ვარდი, ზღვა და თოვლი გადარჩა, –

გაუფერმკრთალდათ ხასხასა ფერი.

ორად ორიდა საგანი დარჩა:

სიცარიელე და მე – აღმნუსხველი.

**იოჰანეს რ. ბეხერი (დაბ.: 22.5.1891 მიუნხენი – გარ.: 11.10.1958 ბერლინი აღმ.)**

### **ბრეხტი და სიკვდილი**

ის მეტისმეტად ადრე მოდის. მოდის დრო და დრო სამართლიანად.

ის მეტისმეტად გვიან მოდის. ნება მისია – დაეგვიანა.

ხანდახან მოდის ის უთხოვნელად, მაგრამ ზოგჯერ კი – თხოვნიანდაც.

იგი კარგია, იგი ცუდია. არც კარგია და არც ცუდია მთლიანად.

ამ შემთხვევაში შეცდა სიკვდილი, –

ამ შემთხვევისთვის იძულებული.

ის მეტისმეტად ადრე მოვიდა: ჰქონდა ეს საქმე ჩაფიქრებული.

ის მეტისმეტად ადრე მოვიდა: მოსაკვდინებლად დასაქმებული.

ბერტ ბრეხტმა ასე იცია შური,  
სძლია სიკვდილი მუხანათური.

გწირავთ მადლობას, ბერტ ბრეხტ, შენი ძალისთვის,  
მოგაგებთ პატივს, ჩვენთვის გაწეული ღვაწლისთვის.

**გერტრუდ კოლმარი (დაბ.: 10.12.1894 ბერლინი – გარ.: 1943 მოკლეს საკონცენტრაციო ბანაკში)**

### **ანგელოზი ტყეში**

სულ ნაშუადღევს მეფეთებოდა იგი მე ტყეში,  
წიფლნარის ტყვეში მოარული საკვირველება.  
ეჩქებოდა ცისფერი სიო ზეციერ ფრთებში,  
ასე შორებელს ზეასული ჰქონდა სახება.

სუფთა, წყნარ ვნებას გამოსცემდა მისი იერი,  
მოშვებული თმა ვერცხლისფერად უკამკამებდა.  
ვრცელ ნაკეცებად ეფინებოდა სამოსი თეთრი,  
უბრალოდ იყო, არას ამბობდა, არც აკეთებდა.

მისი სახება შიშს არ იწვევდა, არას კრძალავდა,  
ეტყობოდა, რომ იგი არ იყო მეგზური მკვდართა.  
ჩემი ბაგე კი კითხვის მომცველ პასუხს მაღავდა,  
როს გაოგნებით მის შეძახილზე გაქრა მუქარა.

ქამრის ბალთიდან აუფრიალდა იმას ფურცელი, –  
იყო გრანინილი, იყო ოდნავ შეყვითლებული.  
უცებ დაავლო მან მას ვიწრო და ფუყე ხელი  
და თან წაიღო, ვით ბრინჯაოს ან ოქროს ძღვენი.

ვინ ვის გახედა? ციყვმა მუხიდან პირი იბრუნა,  
ხოლო ირემმა? – ბუჩქნარის საქმე წამში დაკარგა.  
ბებერმა თხმელამ თალხი კაბა გადმოიბრუნა,  
ვით შავი გველი წინ დაიგრაგნა.

ის ლბილი ფეხით ძლივს ეხებოდა  
ფოთლის თხელ ფენას. მას მარადისი დრო გააჩნდა.  
გაუჩინარდა? – არცა ქალაქს და არც სოფელს ეკარებოდა,  
ყოველგვარი სინამდვილიდან უცებ განქარდა.

არც ჩვენს ტანჯვას, არც ჩვენს უბადრუკ ბედნიერებას,  
ფრთებში სიწყნარეს მაღავდა ის – შეუბღალავსა.  
ავედევნე და დავდექი ჯიქურ, ჩამოვრჩი შარას.  
აქ არაფერი მოუტანია, უბრალოდ იყო... არა უთქვამს რა.

**ვალტერ მერინგი (დაბ.: 29.4.1896 ბერლინი – გარ.: 3.10.1981 ციურისი)**

### **ემიგრანტის ქორალი**

გადაისროლეთ  
თქვენი გულები ყველა საზღვრიდან და  
იქ, სადაც მზერით გიძღვნიან საღამს – ღუზა აუშვით!  
ხეტიალისას მთვარეებს, ზამთრებს და გაზაფხულებს,  
ო, ნუ დაითვლით.  
სულს დაფავდა ეს სამყარო - ხოტბის გვირგვინით არ შეამკოთ!

მტკიცედ

შეიგონეთ ეს და თქვით: ვართ შინ!

ბუდე აიგეთ!

და დაივიწყეთ, ო, დაივიწყეთ

ის, რაც წაგგლიჯეს და მოგპარეს!

თქვენ ხომ მდინარე ისარი და შპრეე გადმოლახეთ:

წამოსადები დაგრჩათ დღეს რამე?

სამშობლო მთელი

და მამული მცირეოდენი,

რასაც ემიგრანტი თან დაატარებს

კაციდან კაცამდე, ერთი მხარედან სხვა მხარეში,

ატმასნილს ქუსლზე და გამოხვეულს ტომრის ჭილობში.

შიშს რომ დაუძვრეთ,

თავები შერგეთ - კაპიშონში მონაზონისა:

თავის ქალაზე მაინც დაგაჯდებათ კოპები!

თქვენ ხომ მიიღეთ გაფრთხილება: არ გწყალობთ ბედი,

მაინც პიენებთან ლიქენა ამჯობინეთ იქ,

ხალხის მეგობრებთან აქ ყმუილს!

ველურ დასავლეთის ფერმაში – პოლონეთის ბუდეში

თქვენ დატოვეთ ქალაქი და ნაპირი და გაიქეცით.

გრჩებათ დღეს რამე თანწასადები?

სამშობლო მთელი

და მამული მცირეოდენი,

რასაც ემიგრანტი თან დაატარებს

კაციდან კაცამდე, – ერთი მხარედან სხვა მხარეში,

ქუსლზე ატმასნილს და გამოხვეულს ტომრის ჭილობში.

გადაისროლეთ

თქვენი იმედი ახალ საზღვრისკენ,

ხოლო სიძველე ამოიგლიჯეთ ჩამპალ კბილივით!

უნიფორმების ლაპლაპი როდია ოქრო!

ცილისწამებით და მრისხანებით გაავებულთ

ადროვეთ – დუჟი ოკეანეს გადაანთხიონ!

შურისძიების და სიძულვილის ამონთხევისას,

დასტოვეთ მარტო,

ვიდრე კუჭიდან ბოლომდე ამოიღებენ იმას,

რაც თქვენ მოგპარეს: სახლს, სახნავს, მთას და შეერილს წყლისა.

ეშმაკსაც წაუღია ეს ყველაფერი!

სამშობლო მთელი

და მამული მცირეოდენი,

რასაც ემიგრანტი თან დაატარებს

კაციდან კაცამდე, აღმა და დაღმა

ამა სოფლიურ ორომტრიალში...

და როს სიცოცხლის ვიზას გაუვა ვადა,

თან ჩაიყოლებს ის მას საფლავში.

**ერნსტ ვალდინგერი (დაბ.: 16.10.1896 ვენა – გარ.: 12.1970 ნიუ იორკი)**

**საკვირაო მიმოხილვისას**

ო, რა ტურფად სჭვივიან: ქოქოსის პალმები!

ტროპიკული ჩირგუნარი! რიფები მარჯნების!

სატვირთო გემებისა ჩანახშირებულან ტანები!

ნელ ნაღვერდლებად ღვივიან ხანძრები!

ბროწეულები! მოგესმით მათგან საორდანო ფსალმუნები?!  
სკდებიან ნაღმები, ვით ღრმად ჩანასობი კლანჭები,  
ზეაკლანილან ხვიარა ღეროები.  
შეგარდნის დარად ზუიან მწარე ტყვიები.

იაპონელთა ასობით ცხედარი უტყვი გრიმასით  
გაწოლილა დაბლობში.  
ტყვიით მწარედ დაცხრილულები  
მოკაკუულან ნახტომში.  
ვაყოლებ მხერას დაჟინებით  
ტყის განაპირას - “ვოლჰუნიენის ჭაობში“,  
როგორ გამწკრივებულან მოკლულები...  
მათ გარს ეტმასნებათ ხვიარა გვიმრები  
და დამპალ ჯირკვებს დამსგავსებიან.

**თეოდორ კრამერი (დაბ. : 1.01.1897 ვიდერჰოლაბრუნი – გარ. : 3.04.1958 ვენა)**

### **ამაღამ გარეთ**

ნუღარ მინაწილებ ვახშამს, მარია,  
გულსატკენი შინ დღეს არაფერია.  
ო, დამბანგველად მიიკლანება ცხრატყავა!  
მშვენიერად ვიცდი, გარეთ ღამით რაც მელოდება.

ხის კენწეროზე კატის კრუტუნი ისმის,  
ისე ავად, გული გამისკდეს ღამის.  
ის მოუთმენლობს, ვინც მეტოლება,  
ჩემზე ძლიერი თუ გამოდგება?!  
გარეთ ღამით?

ეს შეიძლება მოხდეს ადრე დილამდე.  
დაწეჭი, ნუღარ მოიცდი გამთენიამდე.  
ორსა და სამს შუა ატყდება კაკუნი კარზე.  
მიცდიან!  
ღამეში გარეთ უნდა წავიდე...

იატაკიდან წამომავდებს მე ფეხსაცმელი.  
მშვიდობით, დაე დამრჩეს ლოგინი აშლილი;  
არ უნნს ამ საქმეს მგონი კეთილი ბოლო,  
შინ არ მოგივა დღეს ამბავი შენ სასიკეთო, –  
გარედან ღამე...

**ბერტოლტ ბრეხტი (დაბ.: 10.2.1898 აუგსბურგი – გარ.: 14.8.1956 ბერლინი აღმ.)**

### **ნეტარებანი**

პირველი მხერა სარკმლიდან დილით:  
ახლად ნაპოვნი ძველი წიგნი,  
აღფრთოვანებული სახეები,  
ცვლა წელიწადის დროებისა, თოვლი,  
გაზეთი,  
ძაღლი,  
დიალექტიკა,  
შხაპი, ცურვა,  
მოსახერხებელი ფეხსაცმელი,  
წვდომა,

ახალი მუსიკა,  
მცენარეები, წერა,  
მოგზაურობა,  
სიმღერა,  
ყოფნა თავაზიანი

**იაკობ ჰარინგერი (დაბ.:16.3.1898 დრეზდენი – 3.4.1948 ციურიხი)**

**თხოვნა ცოდვისა**

ო, ღმერთო! – ამ გრილ, ნაცრისფერ დღეებს  
განმარიდე, ცოდვად გადამადნე, რადგანაც ისე მამცივნებს,  
რომ ჩემს გულში ძველ ლეგენდებს ზრობა დაეწყოთ.  
გთხოვ, პირუტყვს, თუნდ ეშმას დამამგვანო!  
ამისთვის გმადლობ!

ო, თქვენ: გამოფიტულო, უმო, არღვთისნიერო დღეებო,  
მტკნარო და ნაკლულნო შეუკმაზავი კერძივით.  
ათასგზის დამახრჩვეთ ო, თქვენ მტკნარო და მჟავენო,  
უგნურ საქმეში დაღლილ ოფლივით.

ო, დარნო იმ ღვინისა, რაშიც აწვიმდა მრავალ წელს.  
თქვენზედ არასოდეს დაივანებს ღვთისმშობლის ხელი.  
აჰკინძეთ ჯერდაუღვრელი ცრემლი – სამშვენისი ბავშვისა  
და სასთუმალთან ჩამოიკიდეთ, ვითომდა ნატვრა უკანასკნელი.  
სად გაქრა ანგელოზი, ვინც ბრძნულად  
და კეთილად აღგზრდიდათ, ვით თოვლით მოსულ იას ?  
მისწრება არის მოხუცისათვის ყოფა ღვთისნიერი, დიას.  
ნეტავი, ცოდვით ვინმეს რა წაუგია?  
ცოდვის ამ სახეიმო ჯგლეთაში  
კეთილშობილი და წმინდაა ზადი.  
ვარ მიუსაფარი ზეცაში, –  
ვიქნები წარმართი.  
ღმერთს მადლობასაც შევწირავ, თუკი გამაღვობს ცოდვებით. . .  
ცრემლთა ღვრით ცოდვილებს ამოჰდამებიათ თვალები.  
ხოლო წმინდანები თავიანთი ლომური კლანჭებით  
თავს დასხმიან სათბურს, მოუსრავთ ყვავილები.

**ჰანს ოტო მიუნსტერი (დაბ.: 28.7.1900 დიუცე (ლოტარინგია) – გარ.: 30.10.1974 მიუნხენი)**

ო, რევოლუციები, ო, წითელი ბაირადები!  
ოდესმე სად იმოსახლებენ ჩვენი ბაღლები!

ჭრილობებით გადასერილი შუბლი, ჭრილობები წითლად შუბლზე,  
ვერაგინ ჰპოვა ზეცა მიწაზე.

ანძა დაღეწილია, აფრა დაფლეთილია,  
ჭაბუკთა დროშა კარგა ხანია დაკეცილია.

სად იმოსახლებენ ოდესმე ჩვენი ბაღლები!  
ო, რევოლუციები, ო, წითელი ბაირადები!

**ვალტერ ბაუერი (დაბ.: 4.11.1904. მერზებურგი – გარ.: 23.12.1976 ტორონტო)**

### **მამის ცხოვრება**

რად დგახარ მამი ზეზე, როცა ჯერ ისევ ღამეა,  
წყალ-წყალა, მწარე ყავას ხვრეპ მარტო უზმოზე, -  
ბავშვებს სჭირდებათ პური.

რად ბეგვავ მამი, ტყავს მუხლჩაუსრელად,  
როცა გვიანი ღამეა და ყველას კარგა ხანია გვიძინავს, -  
ბავშვებს სჭირდებათ ფეხსაცმელი.

მამი, აგრე ნაადრევად რად გვიკვდები,  
შენს სასთუმალთან ჯერ არ მოსულან ჩვენიანები, -  
სისხლს მოითხოვენ იარაღები.

**იესე თორი (დაბ.: 23.1.1905 ბერლინი – გარ.: 15.8.1952 ლინცი)**

### **სიტყვა თვალსაზრისზე**

და მოზღვავედებიან ფრინველები მთებიდან და ყოველი მხრიდან.  
და მოზღვავედებიან თევზები შარავანდოვანი ჯვრებით თავიანთ ზურგზე.  
და ვარსკვლავები განტოტვილი თვალებითა და თეთრი ხელებით.  
და მთვარეები ვერცხლეულითა და ფასდაუდებელი სიტყვებით აღკაზმულნი.  
და შენ კი მუდამ ჩემთან რჩები და მე არ მტოვებ.  
და მართავ ჩემს სხეულს იოლად და მუდამ თან მდევ.  
და განწმენდ სურვილებს ჩემსას და აზრებს მიცვლი.  
და მაყენებ ფეხზე და ბოლოს უღებ გასაჭირს ჩემსას.  
და წვიმის სვლას ვითვალისწინებ და რჩევას მზისას.  
და ვჭამ პურსა შენს და ვსვამ შენს ღვინოს.  
და დიადი წინასწარმეტყველებით შენი კვირის დღეები ახლოვდებიან.  
და შენი შვიდი წმინდა ნიშნით ცხებუელი ოთხი ნავი მოგვლავს ჩემსკენ.  
და აღსრულდება დროულად შენი ნება  
და მარადისში აღსრულდება.

**ალექსანდრ ქსავერ გვერდერი (დაბ.: 11.3.1923 თაღვილი – გარ.: 14.9.1952 არლი)**

### **უსიერ ლანდებში დავეხეტები**

მერედა ეს ნეტავი რა დრო არის?  
ავსილან ტყეები ზმანების მხეცვებით.  
ოღონდაც ვიცოდე, გაბმულად ვინ კივის.  
არ ვიცი, წვიმს ახლა თუ თოვლი მოდის.  
ჩემამდე გზაში გამზრალხარ სიცივით.

ზმანების მხეცვებით ავსილან ტყეები.  
უსიერ ლანდებში დავეხეტები.  
შენგან ჩემამდე გაუბამთ ბადეები,  
არაამქვეყნიური არიან შიგ გამოხვეულები,  
მე მათ რის ვაი-ვაგლახით ვივიწყებდი.

ნეტავი ვიცოდე გაბმულად ვინ კივის?  
მას სამადლოდ რამეს გამოვუძებნიდი:  
გამაყუჩებელ სალბუნს ორისთვის,  
პინაკს ბანგისას და ნეტარებისას  
სიამოვნებითაც მივაწვდიდი.



არ ვიცი, წვიმს ახლა თუ თოვლი მოდის.  
ველარც ვარსკვლავებს ვამჩნევდი, რაც შენ დაგშორდი.  
მწვავს გაუგებრობა შენგან დალოცვილი გზის.  
რა მოხდებოდა, რომ შემხვედროდი?!  
ვინც წასვლა მაიძულა, ვინ იყო ნეტავ ის?

ხომ მაინც გამოაგნებ გზას ჩემამდე?  
ვაგლახ, დრო მოსულა ჩემი აღსასრულის.  
ზმანება-მხეცებით ავსილა ტყე, ამქვეყნიური მათგანი არა ვარ მე. . .  
ყველაფერს დაფთობდი მე შენი პოვნისთვის!

### III. ბუნების ლირიკა

“რაც მყიფე არის, ის გადარჩება” – ოსკარ ლოერკე

ვილჰელმ ლეემანი (დაბ.: 4.5.1882 პუერტო კაბელო (ვენესუელა) – გარ.: 17.11.1968  
ეკერნფიორდე)

#### მთვარე იანვარში

ვახსენე მთვარე, ის აფარფატდა,  
ყვავის ბუდიდან გამოანათა.  
ეული ტბორი აცახდახდა  
და იქვე გაქავდა.

შემოჰყინვია წყალსადენს ძირი,  
გუბურა ზრება...  
და ფეხსაცმელი  
ყინულოვანი ვიტრინიდან გადამისხლტება.

ხის ტიხარიდან ლიცლიცებს კვალი ლოკოკინისა,  
მოკვდავებს სძინავთ.  
დიანა განხვნის თავის კალთებს -  
ენდიმიონო.

ოსკარ ლოერკე (დაბ.:13.3.1884 იუნგენი – გარ.:24.2.1941 ბერლინი)

#### მწვანობის ღრუბელი

რაც მყიფე არის, ის გადარჩება...

ქვეყნიერებას დაჰფარფატებდა დიდხანს მწვანობის ღრუბელი  
და მერე გაიბნა საით?

ადრე გაზაფხულს ის მოცურდება კვლავ,  
ქვეყანასა და  
ცას შუა სივრცეს  
შეავსებს.  
ნამართი ქართ,  
ღეწილი წვიმით,  
ზეავლენილი სინათლის მიერ,  
ის უბრუნდება ქვეყნიერებას მარადის  
და ასე მეორდება მრავალჯერ.

საშემოდგომო შუქთა ციალში  
მას საყვედური აღმოხდება, - რად ვიძირები?  
ხოლო პოეტურ განცდათა შესაბამისად:  
რადაც მანარცხებს და რად მე? რად მე?

და მერე დგება ზამთარი -  
დაღრეცილი შტო ცად მილოდავს,  
ის უძღურია, ოდესღაც შექმნილი დაშორიშორება ამოავსოს,  
რადგან იმთავითვე იყო იმ ერთისათვის შეუსაბამო,  
თუმიც ტოლფერდოვნად ჯგუფდებოდნენ ოდესღაც.

მებაღის სერხით დაურღვეველი,  
მკაფველის ცელზე მიუკარები, -  
საფუძველსა და სიმაღლეს შორის  
რჩება კანონი:  
რაც მყიფე არის, ის გადარჩება.

**ფრიდრიხ შნაკი (დაბ.: 5.3.1888 რინეკი –გარ.: 6.3.1977 მიუნხენი)**

### **მერცხალი**

ჰირონდელეა<sup>1</sup> ჩემი სული,  
ის ჩემს სენაკთან ლაღად დაფრინავს, -  
ღურჯო მერცხალი, ზაფხულივით პირგაბადრული  
და თან ზეცაში ნიშანსაც ტვიფრავს.

კოშკიდან როცა გარს ვიმზირები,  
ღურჯო მერცხალს ღხენით მივესალმები, -  
ჩემს შორი-ახლო დაფრენს ველურად  
და ძახილის სულს მივლენს ჩიტურად.

მე ზანტადა ვარ ზემართული,  
ჩემს საფუძველიდან მძიმედ ამდგარი.  
ასობით მერცხლის ფრენით გართული,  
ერთი საათით ვარ ბედნიერი,  
მათ თავისუფალ სინავარდემში როს ვარ ჩართული.  
ერთხელ მომესმა ფრთათა ფრაშუნი მე გადაბმული,  
თვალს ძლივძლივობით მივაღვენებდი მერცხლის ნაწერებს,  
უცნაურ სიზმრებს – “ჰირონდელესი”.

ის, რომ ეთერი ჩემი წლებისა,  
ის, რომ სიცოცხლის ჩემი ზაფხული,  
ზედ ევლებოდა სულს მერცხლებისა,  
ფუჭი არ იყო ეგ სიყვარული.

ჰირონდელეა ეს ჩემი სული:  
ზეცის რიურაჟზე ამოქარგული,  
მაგრამ მწუხრივით მაინც ეული,  
ზეციერ სულთა შარავანდედში გადაქარგული.

**გეორგ ფონ დერ ვრინგი (დაბ.: 30.12.1889 ბრაკე (ოლდენბურგი) – გარ.: 1.3.1968 მიუნხენი)**

### **სველი ვარდები**

წვიმის ჩქერილები ბაღში,  
გულს ვერასოდეს მოვიხებ მათი შესწავლით.  
მანდ ხომ ვარდები გადმოკიდულან?  
შენს მოლოდინში დასველებულან და ვერ იცანი?  
ჰეი, შენ – წვიმავე, იცი რაიმე ჩემს შესახებ?  
ანდა მე თვითონ შენს შესახებ რაიმე ვიცი?

ოოდენ ჩქერილნი წვიმისა და მოლოდინი უთავბოლო...  
შორიახლო ვერნაცნობი ვარდებისა,  
იქ სად ნატიფ ჯამთაგან წვეთი ღამობს,

<sup>1</sup> ჰირონდელე – ბელურების საბუღარი

რომ გამოიჟონოს, მერე კი მათგან გარბის.  
ჰეი, შენ – წვეთო, იცი რაიმე ჩემს შესახებ?  
ანდა მე თვითონ შენს შესახებ რაიმე ვიცი?

ოოდენ კამკამი, რაც რა ხანია ნატიფ ჯამთაგან  
გამოჟონავს და მერე მათგან გარბის.  
ნეტავ ნიაგ-ქარს მიაქვს რამ ამ ბაღნარიდან,  
მიწურვამდე ალისფერი ზაფხულის?  
ჰეი, ზაფხულო, ნუთუ ჩემგან შენ მიგაქვს რაიმე?  
ანდა მე თვითონ მიმაქვს რამ შენგან?  
თუ არა ოოდენ ჩქერილნი წვიმისა და უთავბოლო მოლოდინი...  
შორიახლო ვერნაცნობი ვარდებისა,  
ოოდენ კამკამი, რაც რა ხანია ნატიფ ჯამთაგან  
გამოჟონავს და მერე გარბის.  
ამიერიდან, მე აღარ ვფიქრობ საკუთარ თავზე...  
ამიერიდან, მე შენ შესახებ ყოველი ვუწყი...

**რისარდ ბილინგერი (დაბ.: 20.7.1890 სტ. მარიენკირხენი – გარ.: 7.6.1965 ლინცი)**

### **საბეგრო გვამი**

არყის ხის ფოთლეული  
სახლებთან ბრწყინავს.  
გვირგვინივით მიმოხვეული  
აურაცხელი ბილიკი თუ გზა  
ცად მიგვიძვება.  
ჯარისკაცები დაჰკრავენ  
დაფდაფებს. გუგუნი გააქვთ  
ზარებს.  
ღამაში ყვავილები მიმოთელიდან.  
ცოდვილები კი ღოცულობენ კვლავ.

ბავშვები მიისწრაფვიან  
სენაკში დედასთან,  
წმინდა სერობიდან.  
ანგელოზები ეკვდერის ფიქალებზე მიმზრალან.  
ღმერთი კი ყოყმანობს:  
აზიაროს თუ არა მლოცველნი კვლავ.

განდიდებულხარ,  
განდიდებულხარ, –  
ო, შენ, პეკელავ!

**ჰანს ლაიპჰელმი (დაბ.: 2.2.1891 მიუნხენგლადბახი – გარ.: 1.3.1947 რიგა)**

### **წვიმაში**

ფიცრის სახურავქვეშ თავს ვაფარებ,  
როცა წყალი მიჩუხჩუხებს, როცა მობუტბუტე  
წვიმის ასულები გზას სველ ველ-მინდვრებზე მიიკვლევენ,  
მათი წყლის კულულები ღვრიან ჩქეფებს...  
ფიცრის სახურავქვეშ ვტკბები მომლოდინე.  
მჯერა – კვლავაც გაისმება  
ოქროს მოლადურის სტვენა  
და აღმური აუვათ ბაღში ვარდებს.

წვეთთა ვარდნას ყური უგდე, წვეთთა ჩქამი შეისმინე,  
 ირგვლივ წრეში ისმის მღერა წვიმის.  
 თავქვე ჩაიქცევა წყალი მორაკრაკე,  
 მიწის გაუღენთილი ბელტი ჩააქვს თავქვე  
 და მანდ მონუსხულებივით მივსხდომივართ საქსოვ დაზგას წვიმის,  
 ირიბად და მძიმედ ატანს სინოტივე ძაფებს,  
 საფეიქრო მაქოს აღმაცერად დასტრიალებს, –  
 წვიმის დაზგას ატრიალებს,  
 თუმცა უკვე უფრო მოშვებულად ნანაობენ წყალ-ფაფრები,  
 უფრო შორებელი ხდება წყლის სიმღერა.  
 იგი ყრუდ მოისმის, როგორც სატყუარა ექო აბნეული.  
 წყალი მინდორ-მინდორ მაინც ედინება.  
 გვმართებს მოლოდინი, ისევ ყურის გდება.  
 წვეთი საბოლოოდ ქვემოთ დაეცემა. სიჩუმიდან ფრთხილად  
 გადის ტაქტი მგზავრის ფეხსაცმლისა ტყიდან.  
 წვიმით გაუღენთილი ხის კენწერო შრიალდება.  
 ფიცრის სახურავქვეშ ტკბილი მოლოდინი გველოდება.  
 ველ-მინდორი ნისლში წეება  
 და უღელტეხილის პირს, მთაში  
 სხვა შორეთი მალლა ცისფრად კიაფდება.

**გეორგ ბრიტინგი (დაბ.: 17.2.1891 რეგენსბურგი – გარ.: 27.4.1964 მიუნხენი)**

**დიდი შემოდგომა**

აი, ზაფხულის ფოთლეულიდან  
 შემოდის იგი.

ო, მწუხარებავ, –  
 ბუტბუტებს მისი ხმა, მძიმედ  
 და ტკბილად.  
 ვაშლთა ცვენაში მეტყველებს იგი  
 და ბალახს წარმავლობის ლექსს გადაამსხვრევს,  
 ხოლო წვიმაში, გრძელ ღამეთა  
 წიაღიდან გამოიტირებს  
 ის ყვითელ დღეებს.

მერე ცა ხდება ლურჯი,  
 როგორც მაისში არ ყოფილა,  
 ივლისშიც – არა.  
 გოგრა ჯირჯვდება, იფაკლება ვარდისფრად,  
 შავი ყურძენი ბზინავს,  
 მზესუმზირები მძიმე თავთავებს მოიდრეკენ.  
 შენ, ქედმაღალო,  
 ხარბად მოითქვამ სულს  
 და ჰყივიხარ,  
 ვით მამალი,  
 როცა მათ ქურასთან აღუკაზმავთ  
 შამფურები და მაყლები –  
 სადღესასწაულოდ!

ნორჩი მოახლე გოგონა  
 სადამოლობით ამაოდ უცდის  
 მსახურ ბიჭუნას, ვინც მას აცურებს.  
 ტკივილი ტკივილითვე რომ გაიყუნოს...  
 მრისხანე ხელს

ჯინჯრის ბუჩქს შეავლებს,  
ფოთლებს ფშვნიტავს, წვეწვს ადენს  
და ცრემლით ნოტიო ამოსუნთქვას  
იბერავს წყლულზე.  
იცდის დიდხანს, დიდხანს... მალულად ზვერავს გულისწორს.

ია აღარ ხარობს,  
კესანე მიილია.  
ღურჯად, ვერცხლისებრ ქდერდა მისი სიტყვა.  
ვინ შეისმინა?  
ახ, დავიწყებას მიეცემა ყოველი!

კოშკის შევარდენი სოფლის თავზე  
კრავს კამარას ფრთაუმოდრად  
და იყურება შორს, შორს...  
გაჰყურებს შორ მთაგრეხილს –  
უკვე დათოვლილს გამქირდველად.

ცხვრის ფარა შეიცვლის ალაგს.  
ვერძს წინსაფარი შეეჩეხება.  
შიშვლად დაკრეჭილი ბატკნები წიწკნიან  
ფერდობის ბალახს  
და იქვე...  
შიშვლდება ნაწვერალი მდელო, ნაყოფს განიდრცენის...  
და დაიმორცხვებს.

ხოლო ყავისფერ შუადღეზე  
მაინც იქ მიფარფატებს  
გვიანი ფუტკარი ბაღნარიდან  
და ოქროვანი ზუზუნით  
ხოტბას ასხამს თბილ ვიწრობს...  
და მერე – ფიჭა.

ოჰ, ავდარს, მისუსტებულს,  
მიჰხდია ზაფხულის ძალა,  
მინაველებულა და ნებდება.  
მისი ცისარტყელა კი ისე  
გაცრეცილა და გახუნებულა,  
რომ წვიმით გაღუმპულ, ფერწაშლილ საზაფხულო კაბას ჰგავს, –  
გასაშრობად დობეს მიფენილს.

ქურდი კოკოზას ამოაძვრენს  
წელიდან მალულად, – თევზს წყლის  
ჩქეფი სდის და  
სველ მრისხანებაში, გველთევზას წესით,  
შემოეჭდობა იგი კაცს მკლავზე,  
ვინც, ზედმოდებულ, ცოცხალ, შავ სამაჯურიანად  
ხელს ზემოთ ასწევს...  
ქურდი ნადავლით დღეს მოხარული არ უნდა იყოს.

ჰაერს, გაპოხილს ხმელი სუნელით,  
დაჰყვება ცხარე გემო.  
გადმოპირქვაავდა ძმრიანი ტოლჩა, –  
ონავრულად უბიძგა ქარმა.

ტკბილად შერგებოდეს მას  
ღვიის ბუჩქნარის მწარე ნაყოფი,  
ჩიტები რომ კენკავენ ხოლმე...  
და ყველას, თავ-თავიანთი ტკივილებითურთ,  
კეთილ თანხმობაში ეცხოვროს.

**ანტონ შნაკი (დაბ.: 21.7.1892 რინეკი – გარ.: 26.9.1973 კალი მაინზე)**

### **მეზღვაურ ვენგფილდის უწყება**

ახავთებულმა ქარიშხალმა გამორიყა ნაპირზე ღამით,  
დაკაწრული, მოთხვრილი და შელანძღული.  
ამოვსებული ჰქონდა სტომაქი ნაცრისფერ ქვიშით, -  
ამოჰყორვოდა ნიჟარების ნაყარ-ნუყართ, მცენარის წნულით.  
ის ლოცმანი, ვინც იგი ჰპოვა, ხელნაწერს ამას შიფრავდა დინჯად,  
დაძაბულობით და გულისყურით:  
"ყველაფერს ვუანდერძებ მერის".  
ეს ხელნაწერი გაცრეცილიყო ჩამოფშენილი ტყვიით,  
იყო მძიმე და დათანგული, -  
მანდეთკენ იქნა მარტოობა გამორიყული.  
იქაურობას ხმა ღმუილისა მიაწყდებოდა,  
მისი სიცოცხლე ნიჟარის ზვინში წაიშლებოდა,  
როს ბოლო ნატვრამ ფრთა გაშალა:  
"ყველაფერს ვუანდერძებ მერის".

ვინ იყო მერი? – ხეპრე ბაღლი მეზღვაურისა,  
ღურჯთვალება და თმით ჩრდილოურით?  
ან ეგებ დედა, ნახევრადბრმა თუ ნახევრად კუხით?  
თუ ნაძირალა ნავსადგურის ღამის ბარისა?  
ვინც იყო იყო, ზღვიდან ქარიშხლით გზა გამოიგნო  
და სისხლი წასკდა ამ შეძახილზე, თქრიალ-თქრიალით:  
"ყველაფერს ვუანდერძებ მერის".

მდიდარი კაცი სცემს ბოლთას,  
თან ნოყიერად ილუკმება, თანაც ქირქილებს.  
ულაპლაპებს ბურთივით სახე.  
ბევრი ფიქრით თავს არ იწუხებს, გული აქვს დაცლილი.  
შემდეგ – ზვიგენი და ზღვა... დრო და დრო კვლავ  
დაბრუნებისუნარმოკლებული მისი ხმა, შემზარავად:  
"ყველაფერს ვუანდერძებ მერის".

**ადოლფ ფონ ჰატცფელდი (დაბ.: 3.9.1892 ოლპე – გარ.: 25.7.1957 ბად გოდესბერგი)**

### **ცხენებით ნადირობა**

გაჩაღდა ნადირობა. ბუკსა ჰკრეს და წინწილები წითლდება.  
ჭკნება დამძიმებული ტყე ოქროვან ფარჩაში,  
გულს ყრუდ გვიჩუყებს ცხენთა ჯირითი,  
სისხლი დაგვეგეშოს თითქოს,  
ვართ შემართულნი სანადიროდ.  
გაჩაღდა ნადირობა. ბუკსა ჰკრეს და წინწილები გაწითლდა.  
მკვირცხლად მივერეკებით ტახს სიკვდილში.  
წითელ ფრაკებში შევმოსილვართ, ბატონები ვართ.  
ლაქის ფესხაცმლებს თეთრი ბაბთებით ვირთავთ.  
ტახს ერთი საათით სიცოცხლის ნებას ვრთავთ  
და ჩვენი წყალობით,

განიბანება მხეცი მზეში სავსებით,  
ვიდრე დავასრულებდეთ დროის ტარებას,  
მეძებრები კვალს მიჰყვებიან ველური ჟინით,  
ხოლო ტახი კი, სასიკვდილოდ დაჭრილი,  
ერთსაც შეიჭირვებს საზარლად  
და ნებელობას მოკლებულ სხეულს გასჭიმავს.  
დასრულდა ნადირობა. ბუკი და წინწილები წითლად მინელდა,  
ყავისფერ ტყეში ყავისფერი სიკვდილი დადგა.  
და მაინც უწყის ერთმა: ნოტიო ოფლი,  
მხეცს ფერგამკრთალი შიშისაგან რაც გადმოსკდა,  
ეს ოფლი არის შენივ სიკვდილის.  
ხოლო სისხლი მხეცისა,  
მრისხანებისგან დუქმორეულის,  
ეს შენი სისხლია.  
უკანასკნელი წამები მხეცის  
და კეფაში მეძებრები,  
ეს შენივე სიკვდილია.  
დემონთა ხელში განა შენც სათამაშო ბურთი არა ხარ?  
იქ მოგისვრიან, სად სიშლეგა და სიკვდილი მსახვრალი,  
დროს მანამ ატარებენ,  
სანამ შენც საზარლად შეიჭირვებ  
და უნებელო სხეულს გასჭიმავ.  
დასრულდა ნადირობა. ბუკი და წინწილები წითლად მინელდა.  
აგონიაში წევს ტყე – ყავისფერი.

**ალბინ ცოლინგერი (დაბ.: 24.1.1895 ციურიხი – გარ.: 7.11.1941 ციურიხი)**

**კი მაგრამ, საით მიფრინავენ მწუხრის ჩიტები?**

მტრედები თვლემენ სამტრედეში:  
კი მაგრამ, საით მიფრინავენ მწუხრის ჩიტები?!  
საკუთარსავე მძვინვარებას იხშობს ჩანჩქერი.  
კი მაგრამ საით მირაკრაკებენ წყაროები?!  
სახურავებზე კვამლს სამშვიდობოდ გაუდგამს ფესვი.  
კი მაგრამ, საით მისრიალებენ დამეული ღრუბლები?!  
ათასობით მყუდრო ოთახში ჩამდგარა შუქი.  
კი მაგრამ, საით ინთქმებიან ვარსკვლავები?!  
როდესაც ვწევარ და ძილს ვეძლევი,  
უღიმღამოდ დაეხსნებიან სადგურს გემები.

**იოზეფ ლაიტგელბი (დაბ.: 17.8.1897 ბიშოფსჰოფენი (ზალცბურგი) – გარ.: 9.4.1952 ინსბრუკი)**

**ალაგო, ო, ალაგო**

როს ბინდდება – სადამოობით  
აღკაზმავენ მშვენიერ ნავებს,  
მიაქროლებენ თალს იალქნებს  
მაღალ ზღვის გავლით.  
მეთევზეების სიმღერა ტაატ-ტაატით  
ზღვის ტალღებიდან აქეთ მოგორავს:  
ვარსკვლავებო, ო, ვარსკვლავებო!  
მძაფრი შხუილით ჩაიხვევს ჭავლს წყვილიადი,  
უდაბურ ნაპირთან ზუზუნებს ქარი.  
კამაროვანი ზღვის შემოვლით  
ოქროვანი შუაღამე იწყებს როკვას.



გემი როკვას იწყებს მოკიაფე შორეთში.  
ჩრდილოეთს მიფრიალებენ მრუმე აფრები.  
მეთევზეთა ნაეში რომ ავსულიყავი?!  
ვარსკვლავებო, ო, ვარსკვლავებო!  
ტალღა მიგორავს იქითკენ შეუჩერებლივ,  
სიმღერა აღწევს თანდათანობით იმ ნაპირამდე.  
ოცნებათა მსუბუქ კარპაჭში მარწევს  
ზღვა, საამურად და ნაზად მღეველვარი.  
ასე ნელა-ნელა ინთქმება ყველა საზღვარი  
და სანაპირო ღრუბელთ შორეთში.  
შენს თვალთა კდემა დარჩება მხოლოდ, –  
ვარსკვლავებო, ო, ვარსკვლავებო!

**მართა ზაალფელდი (დაბ.: 15.1.1898 ლანდაუ – გარ.: 14.3.1976 ბერგცაბერნი)**

### **ფარფატებს ჰესტია<sup>1</sup>**

ისევ დაექებ ბილიკს დახვეულს!  
ისევ ფარფატებს ჰესტია და უკვდება  
შემოდგომის გაფანტულ ბურუსს. ვარდებისაგან რჩება  
მხოლოდღა ფშვინვა ნატიფი, – მის სიტკბობას შეიგრძნობ გრძნეულს.

ო, რა გრილია ეს ნაზი ცა, ახ!  
ღმერთი კი გულგრილად მიეშურება  
მჭკნარ, წყნარ ყანისკენ. ისმის ვედრება  
მიჯნურობისგან ჯერ ისევ სუსტი პოეტისა, – ახ!

ხოლო ჰესტია გახუნებულ ბალახში დაფარფატებს,  
ცეცხლის აღმურში ებნევა კვალი. აცახცახდა  
მინის ჭრიჭინაც და ზედ ზღურბლზე აფრთხილდა.  
იწვის მწიფობა სითეთრეში, ასე კი ჯაჭვიც წკრიალებს.

**იურგენ ეგებრესტი (დაბ.: 17.11.1898 ბადენი სტენდალთან – გარ.: 19.4.1982 მიუნხენი)**

### **თოლია**

მე მას შევცქერი, შევცქერი კვლავ მას, –  
ბუმბულს თოლიის, ერთბაშად მბზინავს.  
საფრენ წყვილს – ფრთებს თოლიისა,  
წყლის სიბრტყეებზე რომ დაფარფატობს.  
ჩიტი ხან ზემოთ, ხან ქვემოთ ბუდობს, –  
არის ნაწილი მარადიული სინამდვილისა.

**ელიზაბეტ ლანგესერი (დაბ.: 23.2.1899 ალცვი – გარ.: 25.7.1950 რაინცაბერნი)**

### **გაზაფხული 1946**

ისევ აქა ხარ,  
წარმტაცო ფრინტაე!  
ნათელ გვირგვინად მომვლინებისარ,  
ხანით ცოდვილთა, ჯილდოდ ნავსიკას.

<sup>1</sup> ჰესტია – ოჯახის, ცეცხლის, კერიის ქალღმერთი. კრონოსის და რეას ქალიშვილი

კუზი, ქართი რომ შეირხა,  
ტალღით ნაქაფი შუქი!  
ახ, სფეროსებრი აღტაცება,  
მიგვრილი წონით, იგემა  
და ბოლოს კი მტვრით დაეზნიქა ზურგი.  
მე გომბეშოთა სამეუფოდან  
მივბობდავ მაღლა,  
პლუტონის<sup>1</sup> სიწითლეს ვაფრქვევ ქუთუთოდან.  
მკედართა მეგზურის ფლეიტიდან კი  
მომესმის ხმა შემზარავად.

წარმტაცო ფრინტავ, მომეცი ნება,  
დაგიკოცნო პირისახე –  
აურეკლავი მდინარეთაგან:  
ლეთეს და სტიქსეს,  
უცოდინრად არე-მარისა: არა-ს და ვერა-ს.  
სხვის უცდუნებლად სულდგმულობ  
და წარმტაცი ხარ,  
გულის ფაქიზად ასაჩქროლებლად მომვლინებისარ,  
არდამდაგველო,  
ნავსიკავ, ბავშვი ხარ. . .

**ფრიდო ლამპე (დაბ.: 8.12.1899 ბრემენი – გარ.: 2.5.1945 ქლაინ-მახნო ბერლინთან)**

### **გედის სიკვდილი**

ღვას მრუმე, მძიმე ღამე, -  
ეს აკიდოა შავ-ლურჯი მტევნებისა,  
ეს ზუზუნია მოქუფრული სარაბანდასი,  
ეს ღვინო არის, ეს გალობაა,  
ეს ყრუ ჩქროლეაა სისხლისა.

როგორ ჩამკვდარა და წყნარად გაწოლილა ჭაობი,  
მთვარე ნაცრისფერი ღრუბლებიდან იწვერება  
და ირეკლება შლამიან ყლარტზე,  
რაშიც სქლად ჩატყორცნილი მუხის ტანები  
ლპებიან და ღვივიან ფოსფორისებრ.  
აი, ოცნებიდან იფხიზლებს გედი და  
მთვარის ნათელში იწყებს კამკამს – ნატიფად...  
მერე ცისკენ აიზნიქება, ფართოდ და მეფისებრ ფრთებს შემოჰკრავს,  
ყელს მოიდერებს, ომახიანად შეჰყივის მთვარეს,  
მერთალ შუქში წუმპიდან წამოიწევა,  
აღემართება შესქელებული ყლარტიდან და მისრიალებს,  
ფრთების მშვიდი, ძალუმი ქნევით მისრიალებს ლელქაშის აღმა,  
უძველესი ტყეებიდან –  
მაღლა და მაღლა შუქნაფერი ღრუბლებისაკენ.

მაგრამ მონადირე, ჩია და ჩაფსკვნილი,  
მტაცებლის ჟინის სისასტიკით შეპყრობილი,  
ძველ ჩამპალ ნავში – სამალავში ჩამჯდარა,  
ლელქაშის ლერწმებს მოჰფარებია, თოფს შეაყენებს.  
აი, გაისროლა და მწარე ტყვიამ წუილით გააპო გედი.  
იგი შეირყა, აბარბაცდა, წრეში დატრიალდა და დაეცა,

<sup>1</sup> პლუტონი – მიწისქვეშა სამყაროს და მიცვალებულთა სულების მბრძანებელი. კრონოსის და რეას ვაჟი

გადავარდა კვლავ დამყაყებულ ჭაობში...  
მერე – შხეფები, კრთომა, შეყვირება ჩივილით აღსავსე.

ხოლო სისხლი, ფრინველს თეთრი, დაფლეთილი ბუმბულიდან რომ წასკდა,  
თქრიალ-თქრიალით შეერია ყავისფერ წყალს,  
ფრთამოშვებულმა გედმა ერთხელაც გაიწია იქითკენ...  
დასისხლულიყო, მოთხვრილიყო და ბოლოს გახდა მღუმარე.

დგას მრუმე, მიძმე ღამე, -  
ეს აკიდოა შავ-ღურჯი მტევნებისა,  
ეს ზუზუნია დამწუხრებული სარაბანდასი.  
ეს არის ღვინო, არის გალობა,  
ეს ყრუ ჩქროღვაა სისხლისა...  
და არის მთვარე, ჭაობი, არის სიკვდილი.

**ოდა შეფერი (დაბ.: 21.12.1900 ბერლინი – გარ.: 4.09.1988 მიუნხენი)**

### **მონუსხული**

ჭრიჭინას მწვანე სხეულად,  
ზოგჯერ კი გომბეშოს თვალად,  
ჯურღმულებიდან მივიწვევ ტალღაზე  
წყაროს მობუტბუტე ნაპირამდე,  
რად მოსჩქევ შენ – წყვილიადა?

გესმის შენ ჩემი?  
მხედავ შენ მე?  
ახ, უჩინო ვარ –  
ობობას თეთრ ქსელში,  
აბურღული ბალახეულის მახეშიაც,  
გვიმრებში და ეკალ-ბარდებშიაც.

რაც ჩურჩულებს და არის ქაფმორეული,  
რაც საშიშია და არის ათრთოლებული,  
ვარ მე – მეოცნებე ეული,  
ვინც ვსულდგმულობ ასე განბნეული.

მე ლელქაშშიაც ვარ და ისლშიაც,  
ჩიტის გალობაშიაც ვარ მე.  
გედი სამოსელს დაუფენს  
სიმღერას ჩემსას მომნუსხველს.

შენ მეძიებდე!  
შენ მომელოდე,  
ფრთამსუბუქი რომ დაგიბრუნდე!  
ყოველი სიწყნარე, სიცარიელეც – მგავს მე.

**პეტერ ჰუნელი (დაბ.: 34.1903 ბერლინი – გარ.: 30.4.1981 შტაუფელი)**

### **უკან დახევა VII**

ო, გლოვის ღამე, აპრილის ღამე,  
ხოლო კლდედღიდან რაც გადმოვცურე,  
შემომტმასვნოდა ჩაუამებული წყალმცენარე,  
თმა შემრხეოდა ამღვრეული ყლარტზე,

კევრებითა და მარგილებით გამოვიდევნე.  
ლეშებიანად, ჩამხმარ ტოტების ხლართებიდან,  
ჩამზრალ ფოთლებში, ლელქაშიდან გამოვცურე,  
მდორე დინებას მკვდრებიანად მიეკონდი თავქვე.

ო, უწინდებურად დაუსაბამო, სამყაროს ფუძევე,  
ო, საფლავეების არდამკოდველო, მწველო გუთანო,  
ადამიანო, ჩამპალ ტივიდან გარდმოსულო ქვეყნის ნაპირზე,  
მერთალ ბაგეების ფშვინვიერებავე, მიუსაფარო...  
დღე დგება, რასაც სისხლის და წვიმის დაჰყვება გემო.  
მდინარის ქვიან ნეკნებზე ბჟუტავს  
გადაჩქქვილი დღე.

**გვიღო ცერნატო (დაბ.: 21.7.1903 ტრეფენი – გარ.: 8.2.1943 ნიუ იორკი)**

### **ვედრება წმინდა სებასტიანისა**

პირველი ისარი, ო, სებასტიან,  
რაც გაგიკერპდა,  
თვალში დაგესო და დაგივსო,  
ბნელ ზღვად გიქცია მთელი სამყარო და  
ჰფლეთს ტკივილის ელდა.  
რა მოიმოქმედე შენ მერე?  
რა მოიმოქმედე შენ მერე?  
ღმერთი ხომ შენ გიმზერს, სებასტიან!

მეორე ისარი, სებასტიან,  
რაც შენში გაჭირვეულდა,  
ყურში დაგესო, სმენა დაგიხშო,  
მაინც, ვით სიტყვა ღვთისა საგანგებო,  
ის შენსკენ მოჰქუხდა.  
რა მოიმოქმედე შენ მერე?  
რა მოიმოქმედე შენ მერე?  
ღმერთს ხომ სიკეთე სწყურია შენთვის, ო, სებასტიან!

ისარი ბოლო, ო, სებასტიან,  
წუილით დაგესო,  
ის შენ გაგაქრობს, მოგიღებს ბოლოს.  
ვინ გტყორცნა ისარი საბოლოო?  
– სიყვარულით, ღმერთმა.

ო, გესმას ჩვენი,  
ო, გესმას ჩვენი, წმინდაო სებასტიან!

**ერნსტ კროიდერი (დაბ.: 29.8.1903 ცაიტცი –გარ.: 24.12.1972 დარმშტადტი)**

### **მწვანე სიზმარი**

იასამნის კორომი თეთრ დღეებს ეტმასნება,  
მწვანე სიზმარი ტყის უღრანს უხმობს რეკვით.  
ველურ თქმულების სიწყნარისა დგას ბალახიდან გამოსვენება,  
აჩრდილთა ჟამს უახლოვდება ეს ხარკი როკვით.

მწვანე ელდა ქვეყნიერების გულს დასტყდომია,  
ფოთლების შუქში სქლად ხრჩოლავს კვირტების ქაფი.  
კაშკაშა ველზე დრუბელი ბუჩქნარს შესცურებია,  
სუროების უდაბურება ფშვინავს სულმნათი.

ჭავჭავს და ხავსს მიღმა ქვეები მღუმარედ იძირებიან,  
ფსკერში დაძირულ მცენარეთაგან ჰრბიან ტალღები.  
მწვანე მსუთრი შუა ზაფხულიდან ავარვარდება,  
როს ჯინჯარმოდებულ უსუნთქველო, ამაღლდები.

**პორსტ ლანგე (დაბ.: 6.10.1904 ვიგნიცი – გარ.: 6.7.1971 მიუნხენი)**

**პოეტის სიკვდილი**

*“ვინც უგებს შემლილებს,  
არის პოეტი” – გეორგ ჰაიმი*

აღარ ნაღვლობენ იმათზე, ვინც ყინულში ჩაიხრჩო,  
არც ჭაობებზე, ამფიბიებზე, გომბეშოებზე არ ნაღვლობენ, –  
აღარც იმათზე ნაღვლობენ, რომელთაც მლაშე ზღვამ პირი უყო, –  
მათ ურჩევნიათ მღერა ისმინონ.

ბოლოს და ბოლოს ორფევსაც ხომ მოეღო ბოლო,  
მათ ურჩევნიათ მღერა ისმინონ.  
გაზინზლული ბალიშებიდან მოესმით კენესა სავალალო.  
თავს იტყუებენ: მიღმურ ბნელეთს არ ვყოფილვართო  
და მიელტვიან კიდევ კეთილდღეობას.  
ერთ-ერთ იმათგანს ხელსა და ფეხზე შემოღპობია თითები,  
ჩაუთრეგია კიდურების სნეულებას.  
ამის არ სჯერათ, რადგან ჰგონიათ, ასეთიან ტკივილები  
ლექსებისა და სიმღერებისა.  
მომშხამველ ეპიდემიაგამოვლილებს რაღას ეტყვიან?!  
შიშნეულ სულებს მოიკითხავენ? –  
დამაფრთხობლებად დამურებიც აღარ ვარგიან, –  
სისინი გააქვთ ოოდენ, არ მღერიან.  
ერთი მათგანი ბრიყვულ ხუმრობის შიშმა შეიპყრო,  
გულთან არავის მიაქვს მისი ვაება,  
მათ ურჩევნიათ – ისმინონ მღერა.

**გიუნტერ აიხი (დაბ.: 12.1907 ლებუსი ოდერზე – გარ.: 20.12.1972 ზალცბურგი)**

**ინვენტარიზაცია**

ეს ჩემი ქუდია,  
ეს ჩემი პალტო,  
აი აქ, ტილოს აბგაში  
დევს ჩემი საპარსი.

აი კონსერვის თუნუქელა:  
აი თეფში, აი ჩემი კათხა,  
აი მანდ, თეთრ თიხაზე  
ამოვკაწრე ჩემი სახელი.

ამ ძვირფასი ღურსმნით  
ამოვკაწრე აი მანდ და  
დავიფარავ  
ავი თვალისგან.

წყვილი შალის წინდა  
დეეს საპურე აბგაში  
და რასაც სხვას ვერ ვანდობ,  
დეეს ზოგი ისეთი რამ. . .

ის ღამ-ღამობით ბალიშად  
ემსახურება თავს ჩემსას,  
ხოლო ჩემსა და მიწას შუა კი  
ძევს ეს მუყაო – აი მანდ.

მე განსაკუთრებით მიყვარს  
ფანქრის ეს გრაფიტიც, -  
დღისით ის იმ ლექსს მიწერს,  
რასაც ღამით ვთხზავ.

ეს კი უბის წიგნაკია ჩემი,  
ეს კარვის ვაკისი ჩემი,  
აი ეს კი ცხვირსახოცი,  
ხოლო ეს – ჩემი ძაფი.

**კარლ კროლო (დაბ.:11.3.1915 ჰანოვერი–)**

**ძილი**

ხანში შედის ის სათამაშო,  
ბავშვს რომ უჭირავს,  
როდესაც მძინავს და  
სიყვარული ორ სუნთქვას შუა  
ფერს შეიცვლის.  
ტყუილად უცდის  
კარის წირთხელში დანა  
გამვლელს იმ იმედით,  
ის მას რომ დამაძგერებს.  
ახლა თავიანთ ბარაკებში მკვლევლებიც კი  
ხედავენ სიზმრებს.  
უშფოთველი დროა საძილე.  
ბავუნი გააქვთ იმათ გულებს,  
რომელთაც უხილავად ყოფნა უნდათ.  
მრავლდება უთქმელი  
სიტყვების სიბრძნე.  
მცენარეები ახლა უფრო ფრთხილად  
იფურჩქნებიან,  
მაგრამ მისი თვალები იქ არ არიან,  
ამით განცვიფრება რომ შესძლონ.

**ქრისტინე ლავანტი (დაბ.: 4.7.1915 გროს-ედლინგი – გარ.: 8.6.1973 ვოლფსბერგი)**

ძილო ხნიერო, სად არის შენი ორი პირში?  
ნორჩები ჯერაც, რომელთაც უნდა ეყოს ვაჟკაცობა,  
აქ რომ მოვიდნენ და მეტიც შესძლონ,  
ვიდრეა ამ ღამის ჩაქრობა.

ერთმა მათგანმა ჩემს შიშთან უნდა მოირთხას ფეხი,  
ხოლო მეორემ – ჩემს სევდასთან ჩაიმუხლოს.

ორთავე მათგანს უნდა ჰქონდეს ძლიერი მუშტი,  
რათა მეცხედრემ წამოყვირება ვერ გაიგონოს.

რა გსურს თვალებში შემაყარო? –  
ქვიშა? – შენთა თვალთათვის მე შემიძლია  
გიფეშქაშო ქვიშა-უდაბნო.  
ჩემი თვალები სიხარულით ცას ეწევიან!

შენ იცი, ჩემი – ორი ცეცხლოვანი სვეტია მხოლოდ  
და ერთხელაც ცად მათგანვე დაიწევი,  
ხოლო მანამდე მსურს საბოლოოდ მივიძინო,  
ძველო, ხნიერო, სადა გყვანან ვაჟები?

**რანერ ბრამბახი (დაბ.: 22.1.1917 ბაზელი – 14.08.1983 ბაზელი)**

### **იმ ხანად**

რის შესახებაც ახლა გიამბობ, იმ ხანად,  
მე მიწის მუშა ვიყავი, პურს ორდობეში ვჭამდი,  
უხეშ მაისურს, მანჩესტერულ შარვალს და  
გარიბალდურ ქუდს ვიხდენდი,  
ცხვირს ხელით ვიწმენდი მე იმ ხანად.

ერთხელ წვიმამ დასცხო მარტში,  
ბრაზმორეულმა მიწა ამოვთხარე აგვისტოში  
და პირით თავქვე ჩავდექ საფლავში,  
უტყვი ავდარი დადგა ჩემს ზემოთ.

რვა სართულის სიღრმეზე წერაქვი ჩავსცხე  
ხრეშს მთელი ძალ-ღონით,  
ქვა-ღორღზე ცივად გაფუგდა ცეცხლი  
და შეფიცრულ მერქანს ნაპერწკლები შეაყარა.  
ხოლო როცა გამყავდა კაბელი,  
მიწაყრილზე დადო თოვლმა.  
მერე დეკემბერი და ცემენტის ცა,  
შეკეთებული პაპიროსიდა იყო ჩემი მშველელი  
იმხანად,  
ბრიყვულად ხრჩოლაგდა კანაფი ნაცრისფერ კვამლში.

**იოჰანეს ბობროვსკი (დაბ.: 9.4.1917 ტილზიტი – გარ.: 2.9.1975 ბერლინი ადმ.)**

### **ფიცრული სახლი ვილიაზე**

ტყე, მდინარე,  
ბუს კივილით ჩაუამებული,  
ჭრიჭინობელების ხავსისფერი სითეთრე...  
ოდესღაც თვალი მოვკარი სახლს ნაპირზე  
და ვიდრე ყაყაჩოების ზამთარი  
ნაცრისფერ ხოჭოთა აღმურში იხუვლებდა,  
ჩვენ უცხო თოვლი შემოგვეფანტა.  
ფიცრული სახლი,  
თვალწარმტაცი წარმავლობა, ცხოვრება ტყეთა.  
შენ ზეასულო ფრთით,  
მოხვედი ზღვით,  
ქარს გამოჰყევი, ბავშვები ახლა  
გაფაციცებით ყურს გიგდებენ, შენს ხვატში სულს იოხებენ,

უსმენენ შენს ჰანგს.  
სიწყნარე შენი, არომატი ხახვის  
და დამსუსხველი სიმწვანე  
ჭრიჭინობელებისა, სიგრილე ჭისა -  
მეგობარო, ჩვენ ოდესღაც  
მდინარის პირას,  
ტყის ჩეროების სამეზობლოში ვსახლობდით.  
მოდო, ახლა გულხელდადებით ვიმღეროთ,  
რამე ვუმღეროთ მამაპაპურ სახლს.  
პატარძლებივით, გვირგვინები  
მოვიგდოთ მხრებზე  
და გზას გავსძახოთ. ბინდ-ბუნდის ქარი  
არყნარს დაატყდა. ნისლი ნაპირზე  
მსუბუქად გაწვა, ხოლო სახლს ნესტი  
მოედო. გულხელდადებით  
ჩვენ ძველ დროებას ვუმღერდით,  
მეგობარ გოგონებს ვუმღეროდით ხმამაღლა,  
ხმადაბლა კი – ტყეს  
და გაღმა ცხოველებს,  
მთის-ძირა მდელის ცხენებს.  
იდგა სიბნელე. ჩვენ არყნარი  
განვევით. კონტრაბანდისტები დამ-დამობით  
ფეხაკრეფით დაიარებოდნენ იქ და ერთხელაც,  
ახალმთვარობის დროს,  
მოადგა უცხო კარმიდამოს  
და მან იკითხა: “როგორა ხარ?”  
სარკმელს მისკუპებოდა ალინკა, -  
”ჩემს კარს ურდული აქვს ახსნილი”, – ასე შესძახა.”

**ჰანს პიონტეკი (დაბ.: 15.11.1925 კროიცბერგი – )**

### **მიმოფანტულები**

ქარი დაგვეფინა ქუსლებქვეშ,  
კეფაზე აგვეტმანა ქარი.  
მეზობლის ხმა თოვლის ნამქერში გაიხლართა  
და მაშინ, პურითა და ვერცხლეულით დავტენეთ ტომრები,  
ურდული ავხსენით კარს,  
ხოლო როდესაც ღამე აკიაფდა, უიარაღონი  
ბოსლებში შევცვივდით.  
მერე ქუჩებში გავვარდით მოსუნსულე ვირთხებთან,  
ფეხშეწყობილნი დავადექით გზას და მაშებს შუა  
გოგონა იშვა. გულმოწყალე ხალხს უკან  
მიჩანჩალებდა ბაგირს მიბმული  
ბრმა და უეცრად მან ჰაერს შესძახა:  
სადა ვართ?  
იძულებულნი ვართ გზაჯვარედინებზე შევაჩეროთ სვლა,  
თან არ გვაქვს საბუთები.  
ზოგს სული დანოქილს აღმოხდა – გოდებაში  
სულთმობრძავ ცხენზე,  
ხოლო ზოგნი კი ჩუმად და ნატიფად  
საკუთარსავე გეგმებს დააკვდნენ.  
როცა შემხვედრ ხიდს სათითაოდ გადავლახავდით,  
ბევრს ყინულებში წავკრავდით თვალს, -  
მოლივლივებს მწვანედ.  
საცერი – ცა, კვალი წარუშლელი მდუმარებისა.



ქარიშხლებს უკან დარჩა  
 ორმხრივად ღია კორიზონტი. უკან მოვიტოვეთ ის,  
 სადაც ვიდექით ხიზნებად.  
 ვით ძილისგუდას, არც გვაწუხებდა დევნის შიში.  
 არა გვაქვს ცეცხლის გაჩაღების უფლება  
 და უნებართვოდ მატარებელსაც ვერ მივატოვებთ.  
 მითხრეს: გვიამბე რამე! ბევრი არაფერი ვიცით იმათზე,  
 ვინც ერთი ღვთისნიერი საუკუნის აპრილში  
 გზას დაადგა.  
 ორას დუჟინ ხრიოკ მიწაზე  
 მათ საკუთარი სახელმწიფოს აგება სურდათ.  
 მთხოვეს: ჩვენი სამარხების დანაცრულ ძვლებზე  
 გვიამბე რამე!  
 ვუპასუხე: ცხოვრობდა ხალხი, ხოლო ერთხელაც  
 აღთქმულ მიწისკენ გაეშურა, ვერ მიაგნო და აღიგავა.  
 მათ მითხრეს: – ბრიყვო – წყალ-ჩანჩქერთა შუა,  
 ტკბილსა და ბარბაროსულს მათ მიადწიეს...  
 ახლა კი გვსურს ჩვენს უძველეს სამშობლოზე  
 გავიგოთ რამე.  
 ზურგები გვეზნიქებოდა მსუბუქ ტვირთთა ქვეშ,  
 ვიკვებებოდით თოვლითა და ჩიტებით,  
 შევეყრებოდით ხოლმე გზა და გზა სამშობლოდან  
 აყრილთა დასებს, მკრთალ ლანდებად რომ ედინებოდნენ  
 და ერთმანეთს ჰკარგავდნენ.  
 თქმულება ცეცხლოვანი –  
 აღსავლეთი!  
 პირისაგან მიწისა აღიგავა ჯარების უკან!  
 უბედურება სწორედ ეს იყო. უდაბნოებზე  
 ფრენა ფერფლისა, უწინდებურად ბნელის.  
 მაინც წამოგვეწია კაცი, დაღლილი ძაღზედ,  
 წინ ბიჭი მოუძღვოდა, ზაფხულებისგან გადაჰუგვოდა მას  
 იარაღის ბუდე,  
 მოხუცი მამა, მოღუნებული, მოეგდო მხარზე.  
 ჩვენ გავკვეთთ ქარს, მივადწევთ ქალაქს,  
 ვპოვებთ მშვიდობას კლდეებზე.

**კარლ გუესმერი (დაბ.:14.5.1929 კირხგრანბო (მეკლენბურგი))**

**სამეზობლოდან**

აყალ-მაყალია ამტყდარი ეზოსგარეთ.  
 ბინძურ სარეცხივით ფრიალებს სიტყვებით შეხლა.  
 დუღუნებს ბავშვი, ვით არღანი, კეთილმოსურნედ...  
 ოთახის სიმყუდროვეს სასიკეთო ძღვნად მოედება.

ყოველ ნაბიჯზე ამ მჭიდრო სამოსახლოსი  
 იმ ღამეთა მთვარის ნათებას წააწყდები.  
 ახლა ძველმანები ძევს ამ ნათების სიახლოვეს  
 და მტვერს მისას ძნელადღა დაუძვრები.

მეძებარით მოქსეულია ყოველი დღე ჩვენზე,  
ასევე ენაც უეცრად არასანდო გახდა.  
მიყვირის ცოლი: ეი შენ, – გაბრაზებულია ჩემზე,  
თითქოსდა ჩემი ბებერი ძვალი ფანჯრიდან გასხლტა.  
ეჭვგარეშეა: სიყვარულისა ასაკის ნაჭდევები  
მღიერად მოსდებია გარეთ წიფლის მერქანს.  
რა ხანია, ვით ერთარსებისა მრუმე შრამები,  
ზედ დაჰყურებენ – მეორე სახეხას.

**დიტერ ჰოფმანი (დაბ.: 2.8.1934 დრეზდენი – )**

### **ლუდსახდელი**

მდუმარების ემბლემა  
სვიის გვირგვინით შემკობილა,  
ბოჰემურ მინის  
ზეცას მისკლომია  
ლუდის სამყარო.

ბრუვე კაეშანი ღრუბელმოქაფულა,  
ნაძეგები მრუმედ იხნიქებიან მისკენ. . .

ცხენები ღალის  
სისხლისღვრით ხვიხვინებენ  
ლუდსახდელებში,  
ქალაქის ტრაქტირებში  
მიაქანებენ თავდავიწყებას,  
სად მამაკაცებს  
ხელებიდან ეფურჩქნებათ  
ბანქოს თამაში.  
ცაცხვის ფანჩატურიანი,  
ლომებიანი, დიანებიანი  
ბოთლები. . . მუქი ყელებით. . .  
ბავშვობაზე გადაჭიმულან.

#### IV. მცირე პოეზია

*“როგორ დიდდება დრო, როგორ გადიდება დრო” –  
ერის ექსტენერი*

**დრ. ლევლასი (ჰანს ერის ბლახისი) (დაბ.: 19.1.1873 ლიტიკირს ალგოი – გარ.: 29.10.1945  
ფიურსტენფელდბურგი)**

##### **ბალი სახლს უკან**

ყურს გაგიბურღავს ქუჩის ხმაური, სახლს რომ ჩაუვლი, –  
მსწრაფლ მიგანიშნებს უკნისკენ უხმოდ,  
შინაურულად თავს იქ ვერ იგრძნობ, არა ხარ შვებით, –  
ჰანგს ბაღნარისა ღრმა ნეტარებით  
და აღტაცებით რომ მოუსმინო.

ოი, ხავერდი კორდის, ოი, ყვავილთა ბრწყინვა,  
ბალის ბუჩქნარი, ბალის ხეები!  
ახალშობილი კუდმაკრატელა  
ცეკვით საღტოებს ითვისებს ხელად  
მზის სხივით ნაფენ ბალის სივრცეში.

ქვისგან ნაკეთებ წითელ კიბეზე  
ზურმუხტისფერი ოცნებობს ხვლიკი.  
იქ ჭა ბუყბუყებს თავის ნებაზე და  
წყლის სარკეზე, ის მობიბინე ბალახეულის  
ანარეკლს იკრებს.

ქუჩის ხმაური ისევ განრისხებს?  
ნება შენია, მას განერიდე.  
იქ ვერა ჰპოვებ შვების სავანეს.  
სახლს უკან ბალი, ქუჩა წინ იწევს:  
ან შეეგუე ან განერიდე.

**იოსამ რინგელნატცი (დაბ.: 7.8.1883 ვიურტენი – გარ.: 11.11.1934 ბერლინი)**

##### **თვითმფრინავული ფიქრები**

აი, ის მიწა ჩემია ქვემოთ,  
შენობებით და ყანებითურთ შრომა-გარჯისა.  
ვიცი, ერთხელაც მეც სიკვდილი უნდა ვიგემო,  
მაშინ თქვენს მიერ დავიმარხები სწორედაც ქვემოთ, –  
მე მწამს ამისა.

ქვემოთ ზღვა ტანჯვა და ურვა არის,  
სიყვარული კი ნამდვილი ცოტა.  
და მყისიერად წარმოვისახავ –  
ზემოთ მომიწევს მუდმივად ყოფნა!  
ერთხანს ვცოცხლობდი, რად ვიქმენ მკვდარი? –  
აი ეს აზრი საზარი არის.

გული რეჩხს მიყოფს: სინდისის ქენჯნამ  
და პროპელერმა დამასხა რეტი.  
სწრაფად დამაფრენ, – შენ, თვითმფრინავო,  
უფრო მაღი-მაღი იფრინე მეტი.

**ბერტოლდ ვირტელი (დაბ.: 28.6.1885 ვენა – 24.9.1953 ვენა)**

### სარკიდან

სარკიდან მიმზერს  
სახება მამის.  
მაგრამ ეს იგი არ არის სულაც!  
ეს მე ვარ თავად, რომელსაც მზარავს.

სახება მამის ჩემთვის ყოველთვის  
სანდომიანი იყო ათასგზის,  
ვიდრე ეს ჩემი სახეა ახლა.  
მიჭირს ატანა,  
მამის სახება ასე რომ მზარავს.

**კურტ ტუხოლსკი (დაბ.: 9.1.1890 ბერლინი – გარ.: 21.12.1935 ჰინდასი (შვედეთი) )**

### დიდ ქალაქში

როცა მიდიხარ სამსახურში  
ადრიან დილით,  
როდესაც დგახარ სადგურში,  
გართულხარ ფიქრით:  
    უცებ გიჩვენებს ქალაქი,  
    რომ გლუვი არის ასფალტი  
    და ხალხის მორევში უამრავ  
    სახეს გადახედავ:  
ორი უცხო თვალი, სხარტი გამოსხედვა,  
წარბები, ქუთუთო, გუგა, -  
რა უნდა იყოს? იქნებ დროებით ბედმა გაგიღიმა. . .  
მაგრამ ის წარილტვა, გაქრა და ხელიდან გაგისხლტა.  
    შენი ცხოვრების განმავლობაში  
    ნაირფერ ქუჩებს დაივლიდი,  
    თვალსაც წაკრავდი იმათ,  
    რომელთაც გადაავიწყდი.  
    სული აგიმღერდა,  
    თვალით რომ განიშნა.  
    ის ჰპოვე, მაგრამ  
    უეცრად გაგისხლტა. . .  
ორი უცხო თვალი, სხარტი გამოსხედვა,  
წარბები, ქუთუთო, გუგა, -  
რა უნდა იყოს? არავის ძალუძს დროის მობრუნება. . .  
წარილტვა, გაქრა, ხელიდან გაგისხლტა.  
    ამ შენეული მსვლელობისას  
    ქალაქებშიაც უნდა გაგეველო,  
    გულის აჩქროლებიას თვალი წაგიკრავს  
    ერთისთვის, - ვინ იყო ეგ უცხო?  
ეგებ, შენი მტერი,  
ეგებ, შენი მეგობარი,  
ეგებ შენი  
ფრონტის ამხანაგი,

თვალი რომ აგარიდა  
და განზე გადგა . . .  
ორი უცხო თვალი, სხარტი გამოსხედვა,  
წარბები, ქუთუთო, გუგა, –  
რა უნდა იყოს? ერთი ნაწილი კაცთა მოდგმისა  
წარიღტვა და სამუდამოდ გაქრა. . .

**პეტერ პაულ ალტჰაუზი (დაბ.: 28.7.1892 მიუნსტერი – გარ.: 16.9.1965 მიუნხენი)**

### **დიდ ქალაქში**

ერთ დიდ ქალაქში კვირაობით მოისმის  
ქანცმიღეული ჰანგი წვიმის გალობის.  
ცარიელია ქუჩა და თვალგაუწვდენელი,  
სიცარიელის სიგრძე მისი არის ულვეი.

იქ ერთ ბრაზიან ძუენას წუნწკლები გასდის,  
გაღუმპულა, სიპ ქვაფენილზე ის ღოღვით ადის,  
ჩერდება მერე და სავარცხელში ჩატოპავს ცხვირით,  
ერთობა ერთობ ზიზილ-პიპილა სავარცხლის სინჯვით.

სავარცხელი ერთ კუზიან დედაბერს გადაჰკარგვია,  
რადგან ვარცხნაში მას ხეირი ვერ უნახია,  
თუმც დანიშნული პატივცემულ კიულებორნზეა,  
საქმრო სად ცხოვრობს ვერ მიუგნია.

ერთ დიდ ქალაქში კვირაობით მოისმის  
ქანცმიღეული ჰანგი წვიმის გალობის.  
ქალბატონი, თავჩაქინდრული არხს მიუყვება, –  
ეს ხვალის სადამოს გაზეთში დაბეჭდილი იქნება.

**ჰანს ლაიპი (დაბ.: 22.9.1893 ჰამბურგი – გარ.: 6.6.1983 ფრუტვილენი)**

### **შენებრ ლამაზი**

ისმოდა სიმღერა, მას ერქვა:  
შენებრ ლამაზი –  
ო, შენებრ და იყო ძალზე საალერსო.  
განვლო დრომ,  
ქარმა გაფანტა, რაც უწინ იყო და  
ის ჰანგიც ძალზე ხმატკბილი –  
შენებრ ლამაზი.

ეს იყო არდანი უბრალო.  
პოლში ვიდექი კიბეზე და ჩამესმოდა  
ის ჰანგი ძალზე საალერსო,  
როცა მეარღნემ, ხნიერმა და მწირმა, მღერა დაიწყო.  
ნახად მღეროდა ის და მსურდა ყური მეგდო,  
თავშეკავებით ოღონდ.  
და მაინც ეს იყო:  
შენებრ ლამაზი –

ახ, მარლიეს, რაა ლამაზი?!  
ლამაზი შენებრ:  
დედამიწაზე სამოთხე რომ არ არსებობს, მშვენივრად უწყი,

და შენ – ლამაზი უწინ,  
ამჩნევ, დაბერდი.

და მაინც, რა საამურად ჩამესმის  
ის ჰანგი იმ სიმღერისა,  
ზედმიწვევით ხმატკბილი და  
შენებრ ლამაზი.

**პეტერ განი (დაბ.: 9.2.1894 ჰამბურგი – გარ.: 7.9.1974 ჰამბურგი)**

### **ხოტბა გათოვებისადმი**

I.

შემეძლოს თოვა,  
ხმას გავიკმენდლი,  
მაგრამ ხმას ვიღებ.  
ვერ მოველ თოვლად  
და ამიტომაც,  
მე გათოვების გაღეკსვას ვიწყებ.

არა თოვლს, მე გათოვებას მსურს რომ ვუმდერდე,  
მოსვლას თოვლისა: ამ უსპეტაკეს ნაღვაწს სიმშვიდის.  
ამ წყნარ, უზრახველ მზრუნველობას  
დაჰყვება მზერა მხოლოდშთენილი მოგონებისა.

ის მეტისმეტად ჩუმ სიახლოვეს შემოსუდრულა  
და აღარცაა ისეთი შორი – სივრცე სნეული.  
ბრმა სარკმლიდან კი ეს ამოთქმულა:  
ვედარც სხვას ვხედავ და ვერც თავს, თოვლში დაგნთქმულვართ,  
თოვლად ვთოვლილვართ, გადავთოვლილვართ თოვლადთოვლილნი.

ყურადსადები შუადამეა, მძაფრი და წყნარი.  
ფიფქავს და ფიფქავს, აფიფქავს მიწას შეუჩერებლივ.  
ხოტბა დამდგარა: ქარ-ნამქერის უტყვი ქორალი,  
თეთრი ნოტები დაბლა ცვივიან, ცვივიან მიწვივ...

და ეს ზამთარი ქარით ნარწევ ძილს თან ჩაიყოლებს  
სვენებ-სვენებით, თვის ნებიერს და ღბილს საფლაგში, –  
დავიწყებულთ მიტევებით ჩანისლაგს თოვლი.  
ათრთოლებულებს დანთქამს გაქრობა გაქრობის შიშში...  
მიაბარებენ ღვთისნიერსა და მსუბუქ სიცოცხლეს –  
ნისლით ჩაბურულ თოვლის სამარხში.

**ოიგენ როთი (დაბ.: 24.1.1895 მიუნხენი – გარ.: 28.4.1976 მიუნხენი)**

### **ცხოვრება**

ფესვი აქ როგორ მოიკიდე,  
ამ ბაღში, ამ ტყეში, ამ მდელოზე?

ხარ ლიანა, ხარ სიზმარი,  
თუ ჯადოსნური, სურნელოვანი მცენარე?  
თუ ხარ ყვავილი, ზეციური სიმშვიდით აღსავსე?!  
ან ეგებ ხარ ხე,  
მხნე და უკიდევანო სივრცეში მონანავე!



ის იესებოდა, ახლაც იმატებს. კალაპოტიდან  
გადმოსჩქეფს უკვე.  
საპირისპირო იღონა ვინმემ? ჩატეულა კი ოდესმე დროში?  
დრო ნაკადებად იჭრება წყალმანკიანთა თავებში,  
ჭკუის კოლოფთა საზრისში დამდგარა დროის გუბე.

ნიბლია ოპტიმისტია და ქაღალდის დასტებში გალობს,  
კეთილი ხალხი, ვინც ჩიტს ჰკვებავდა ბედნიერია,  
ამგვარი ნიბლია რომ აბადია.  
ხოლო მომავალს – ტერფს გამყინვარება შემოუზრობს.

ვინც დროის ყადრი იცოდა, არის დასჯილი.  
გარემოს ეპიდემიად სიბრიყვე მოედო.  
ასეთი ვეებერთელა უწინ არ იყო დრო.  
გონის მზის დაბნელებითაა  
ადამიანი უფსკრულს ჩაჩეხილი.

**მარტინ კესელი (დაბ.:14.4.1901 პლაუნენი – გარ.: 14.04.1990 ბერლინი)**

### **მიყიდვ-მოყიდვა**

ქალაქი გარეთ  
ალაჯებს ბრაზიანი.  
ალაჯებს მრისხანედ,  
ვინცაა ფეხიანი.

“დიაცი მკერდზე!  
თუ გინდა ძალზე!”  
“გადამყიდველო, აქ მოდი,  
თუ ხარ ბომონდი.”

ჩააქრე შუქი და მუსიკა!  
თითი იქმს მკვირცხლად,  
მკერდი ბუქსაობს,  
ვიოლინო კი ცეკვაეს ფოქსტროტს.

ვწრუპოთ ძმარი და კუჭში გავუშვათ ფული,  
გასაჭირი კი ვტყვიპოთ,  
სანამ გაგვიძლებს გული  
და მერე: ჰერი, ჰერი – სიკვდილისაკენ გავწიოთ.

საცოლე, დედა და და, –  
ყველა მრუშია და არამზადა,  
ვინც მოყვრად მიგანდა, –  
შენივ მკვლეელია შენივ ძმა.

ფანდია, სპორტი უახლესი, –  
მკვლეელია ყველა: განგაში! –  
ყველანი ბორტოან!  
მსოფლიო მიექანება საფლაგში.

ქალაქს გარეთ  
აქვს რისხვის იერი,  
ალაჯებს მრისხანედ,  
ვინცაა სულიერი . . .



**ფრიდრიხ ტორბერგი (დაბ.: 16.9.1908 ვენა – გარ.: 10.11.1979 ვენა)**

**ერთი ფეხბურთელის აღსრულებისადმი**

1938 წელს ოკუპირებულ ავსტრიაში ნაციონალურ-სოციალისტური სულისკვეთებით “სპორტის დანიშნულების ახალი განაწესი” დამყარდა და ამ გარემოებას ემსხვერპლა ვენის უპოპულარულესი ფეხბურთელი – მათიას ზინდელერი.

იყო ერთი ბალდი ფავორიტებიდან,  
სახელად მათიას ზინდელერი.  
უტყვევდა მოედნის მწვანე შუაგულიდან –  
უბადლო ცენტრალური თავდამსხმელი.

ბურთით ხალისობდა, არც ახარებდა  
ამის გარდა არაფერი ცხოვრებაში,  
ასე არსებობდა და სულდგმულობდა  
ჩართული ფეხბურთის თამაშში.

ქერა ქოჩორს კოხტად გადიქნევდა,  
თანაც მადლიერი ჰყავდა ზენაარი.  
ბურთს შორიდან როცა გასტყორცნიდა,  
ხშირად გაჰყვიროდნენ: გოლი! არის!

მადლა კოშკურა კი იხაროდა,  
ხოლო დაბლა – პარტერი და სტადიონი,  
მოწინააღმდეგეს როცა ღიმილთ აცურებდა –  
იყო სისხარტისა ჩემპიონი.

მოწინააღმდეგემ სულ სხვა ჯურისამ  
ერთხელაც გამოსდო მრუდე კვანტი,  
ის უცხო გამჭრიახი იყო, სხვა ჯიშისა,  
გაწვრთნილიყო ახალ განაწესის ფანდით.

მტრის ამ ძალუმი ნაბიჯიდან  
მიხვდა მოთამაშე ზინდელერი,  
რომ გაეგდოთ მოედნის შუაგულიდან  
სპორტის ახლებური ფანდით.

წამიერად შორიახლო მაინც იდგა,  
მერე კარს მოშორდა და შინისკენ,  
საქმე ფეხბურთის და ცხოვრებისა  
ასე დაძრულიყო ფინიშისკენ.

კომბინაციებს იყო მიჩვეული  
და ჩასწვდებოდა კიდევ ხელმარჯვედ,  
მიმოიხედა და იქნა გარკვეული, –  
გაზის კამერისლა უტოვებდნენ შანსებს.

კარი, რაშიაც მან მაშინ შეაბიჯა,  
იდგა უტყვევად და იყო ძალზედ ბნელი...  
იყო ერთი ბალდი ფავორიტებისა,  
სახელად – მათიას ზინდელერი.

**მაშა კალეკო (დაბ.: 6.7.1912 შიდლო (პოლონეთი) – 21.1.1975 ციურისი)**

**არდნის მელოდიაზე**

შენ მოხველ, თუმც მცირედენ დაიგვიანე,  
შენს მოლოდინში ვიყავ დადლილი.  
შენს მოსაკითხად ბაღში რაც დავრგე,  
დამიჭკნა უკვე ყველა ყვავილი.

დღეები რბოდნენ, ხოლო წელი წელს ემატებოდა, –  
დაუსრულებელ მგ ზავრობაში იყავ გაბმული.  
იგვიანებდი, დრო კი გარბოდა,  
მე მონატრება მინელდებოდა,  
ჩაკვდა სიმღერა მოლოდინით გადათანგული.

სად იყავ მაშინ, როს ქვეყნაზედ იდგა ზაფხული?  
ჩემს კარიბჭესთან ბედნიერება ატუზულიყო!  
სად იყავ მაშინ, ოცის რომ ვიყავ გულმხიარული, –  
დაუნიშნავი და გული ტრფობით ავსებულიყო.

დამიცხრა ტრფობა, არის ახლა გადაქანცული, –  
ის შემოდგომის მზის დარად  
ანათებს მხოლოდ, – გათბობისთვის კი არის უძლური.

შენს მოლოდინში შემევერცხლა თმა ოქროვანი,  
სად მარტო-კაცი დგას იმ ნაპირთან მიაბი ნავი,  
შენი ჩამოსვლა არის უკვე მცირედ გვიანი,  
ადარც იქნება ბედნიერი ჩვენი ტრფიალი.

**ფრიც გრასჰოფი (დაბ.: 9.12.1913 ქუედლინბურგი – გარ.: 9.2.1997 კვებეკი)**

**შუქი და ნაძირლები**

თავშესაფარი თუ გაქვს აქ სადმე,  
შენ, გაძვალტყავებულ მოჩვენება?  
დისკია ეს მზე  
და წყალკანალის ღარებში ბრწყინავს.

წახდომისა და ფრონდას შუა იყავი  
და შიშნეული პიკნიკი შეგრჩა!  
მთვარის რისხვისგან თავი დაიცავი, –  
ის დამსჯელ კოლონიად გადაიქცა.

ვაგონებიდან აღარ ხტებიან,  
მატარებელი თუკი დაიძრა,  
და ყასბის წუწუნს რას მიხვდებიან,  
რომ ვირთხებისგან ძალზე გაირყვნა.

მიდი, აწაპნე გოლფის წინდა,  
გაძვერ ნაძვებში.  
ბანდის ნაძირლებს გამოერიე  
აბრუცის მთებში.

ეგებ ბოსობას გამოჰკრა ხელი,  
მაინც წახდები.  
თავს დაგესხმიან ის ძველი,  
მაღალ ორდენის ბანდები.

დამით ინტიმურად ბუტავს მთებში ღამფა,  
ერთი შვიდთაგანი ჯუჯა თვალებს ხუჭავს, –  
აი, მკვდარი გაწვა.

## V. სიშრეალიზმი

*“ო, მქმენ მწკლარტედ და ნუშებთან დამთვალე” –  
პაულ ცელანი*

ალფრედ მომბერტი (დაბ.: 6.02.1872 კარლსრუე – გარ.: 8.04.1942 ვინტერჰური)

**ბარაკები, ზამთარი, წყვდიადი**

ყურში ჩამესმის ჩურჩული ხმისა, –  
ხმა ღვთაებრივი ნათლისა.  
ქალი გიგანტის<sup>1</sup> არის ეს ხმა თუ ტიტანიდისა?<sup>2</sup> –  
თუ ეს „ფანტაზიას“ ხმა არის?  
ტიონასია<sup>3</sup> ნუთუ ეს ხმა თუ ოკორმასი<sup>4</sup>?  
თუ ხმას ფერია-მოგონება გამოსცემს?

ო, სიყვარულო სამყაროების, ჩემზედ დაეშვი!  
აი, დიდ მშვენებაში რა ტურფად მირონინობენ ქაღდმერთები,  
აღმა მიცეკვავენ დაკარგულთა აჩრდილებისგან,  
ბრწყინვალებაში გაფურჩქნილან და  
მიცეკვავენ განდაგან –  
მე ვერ მხედავენ.  
ლანდებად მიირწევიან ჩემგან,  
ნაცრად ჩემგან –  
მტვრად.

ივან გოლი (ისააკ ლანგე) (დაბ.: 29.03.1891 სენ-დი – 27.02.1950 ნოილი)

**სამხრეთ-ჩრდილოური სიღურჯე**

შებინდებისას აღარ მეკუთვნი,  
ვინ ღმერთია, რომ დაგისხნის ჩემი მკლავიდან  
და ალაღბედად მიჰყავხარ გარეთ,  
თან განსაცდელში?

სამხრეთ-ჩრდილოურ სიღურჯისაკენ  
აგრე მარტოკა ნუ, ნუ გარბიხარ,  
ხელს დაიფუფქავ მთოვარის ქლორში,  
კვრინჩხის ეკლებში სულს გაიბურდავ.

ო, მარტოობა ცივი გახდა უეცრად,  
არც სოფლის შარას მოუჩანს ბოლო.  
ქარი – დასვრეტილი პალტო...  
გიჯობს ჩემი ისმინო და სამიჯნურო  
შელოცვა მაინც გზად გაიყოლო,  
იმიტომ რომ არ გაიყინო.

<sup>1</sup> გიგანტები – უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრები ჯანყის მოყვარე ბუმბერაზები. გვიანდელ მითებში მოიხსენიება ტიტანებად.

<sup>2</sup> ტიტანიდები – ტიტანების დები. ზოგჯერ ტიტანთა ქალიშვილებსაც უწოდებენ.

<sup>3</sup> ტიონა – იგივე თეია. გეას და ურანოსის ქალიშვილი, თორმეტიდან ერთ-ერთი ტიტანი.

<sup>4</sup> ოკორმა – აცტეკების მოკლულ მებრძოლთა ქაღდმერთი.

**კლერ გოლი (დაბ.: 29.10.1890 ნიურნბერგი – 30.05.1977 პარიზი)**

კიდევ ერთი დღე! ჰყვიან მამლები  
თავიანთი ბრინჯაოს ტრომბონებითა და  
ღეგნიან დაფლეთილ ღამეს!

კიდევ ერთი დღე! ბუტბუტებენ ყვავილები  
და საშუადღეო ნადიმისათვის აიტმასნიან  
წითელ ქოლგებს.

კიდევ ერთი დღე! შენი აორტა,  
ორაკული შენი მკერდის ფსკერისა,  
ამ ჩემ მორჩილ ყურს მიანდე.

კიდევ ერთი დღე! აი, ახლოვდება სადამო.  
ცელს ეს ვინ ლესავს?  
მაგიდის ვარდებს სურს სისხლი ადინოს?

მთვარის ზგავის ქვეშ,  
სხივებმოწნული შენი თავიდან,  
მკვდრის ქალას შენსას მე უკვე ვხედავ.

**ნელი ზაქსი (დაბ.: 10.12.1891 ბერლინი – 12.05.1970 სტოკჰოლმი)**

შემსუბუქდება  
დედამიწა  
ფიორა ღრუბლად მწუხრის ტრფობისა  
ახსნოდეს თითქოს ჯადო მუსიკას  
ქვა გაგორდება ცხრა მთას იქით ამა ქვეყნისა

ხოლო ღოდები  
წონადობები კაეშანისა  
მაჯლაჯუნად რომ დასწოლიან  
მაგანს გულმკერდზე  
ძარღვებიდან გამოსკდებიან

შემსუბუქდება  
დედამიწა  
ფიორა ღრუბლად მწუხრის ტრფობისა  
შავად მგზნებარი შურისძიება  
ანდამატისებრ მიიზიდება  
ანგელოზისგან სიკვდილისა  
ცივად და წყნარად  
მის თოვლიან სერთუკთან ერთად  
იმ სულსაც დაღევს.

შემსუბუქდება  
დედამიწა  
ფიორა ღრუბლად მწუხრის ტრფობისა  
მაშინ გაქრება ვარსკვლავებისებრი  
ამბორში ვარდთან –  
სულ არაფრისგან.

პაულა ლუდვიგი ( დაბ.: 05.01.1900 ფელდრიხი – გარ.: 27.01.1974 ღარმშტატი)

## ბნელი ღმერთი

ოჰ,  
უცხო მხრიდან მოვიდა იგი,  
უცხო მხარესვე ის მიუბრუნდა.

გზას მოუკვლევინ აჩრდილები მკვდართა ხროვების,  
მორთო ჩხავილი ღამის ფრინველმა ვიდრე მოვიდა,  
მისი შუბლიდან დიდებულადაც წამოიმართა სამხრეთის ჯვარი.

სათნოებით მოსილიყო ქვეყნიერება, ვიდრე მოვიდა.  
მისი სხეული ნელსურნელებას აფრქვევდა უხვად,  
სამშობლოს ვარდებს ფერავდა წითლად.  
აბრეშუმის ყვავილები მას მორჩილებით უდრეკდნენ თავებს,  
პატივის ნიშნად დედაკაცური ხიბლისადმი მამაკაცისა.

თვის განცდათა შუაღამიდან წამოიმართა  
იგი – სხივმფენი  
აღმასი შავი...  
მეფეთ-მეფეა,  
როცა ბრწყინვალეებს.

მის თვალთა ქვევით მე მოცეკვავედ გადავიქეცი,  
გულის ტამბამზე თაღხად დამკრავდა მე ხმა იმისი.  
მის ხელთა ქვეით სხეულიდან  
გამომეფურჩქნა მე ზამბახი.

შემახტებოდა ავაზასავით პირშავად,  
ირმის ქაცვიბში გამოსხვეული გამიწებოდა.

თვალს მიკენკავდა ვით ვაზის მტევანს,  
ვით ველურ ნაყოფს გულს მიღადრავდა.  
ცხრამთას იქით ისროდა იგი სულს ჩემსას,  
ვით ქარიშხალას, შინის გზა რომ ვერ უპოვნია.

ლაკვარდები ჩემეულ ზეცის იყვნენ კამკამა,  
მისმა ღანდებმა ერთიანად რომ გადასანსლეს.  
ჩემს ყვავილნარში ის ვარსკვლავურ თესლს უხვად აბნევდა,  
მოგვიანებით ურჩხულებად რომ აღმოცენდნენ  
და გაჯირჯვდნენ, – ჩემი სისხლით ვერა ძღებიან.

და აღარც მიწა ფარავს ჩემგან საწამლავს,  
მის ბაგეთაგან რაც ხარბად შეესვი.

მის შრიალა ფრთას თავს მივანდობდი, იმის არმცოდნე –  
სად მთავრდებოდა ფრენა ამგვარი.

და განმიქარვდა სიკვდილის შიში,  
რადგან ვინც მიყვარს – იგი სიკვდილზე უფრო ბნელია.

**ერის არენდტი (დაბ.: 15.04.1903 ნოირუპინი – გარ.: 25.09.1984 ვილჰელმსჰორსტი)**

**გარსია ლორკა**

შენ, მწვანე ქარო! სიმღერავ სისხლმჩქეფარე გიტარებისა,  
შენ, მთვარის შუქო წყნარო, პირისახეზე ბოშა ქალისა  
უეცრად განბნეულო. ჭრიალებს ახლა ურიკა თაღლითისა  
გრანადას ოცნებაში, რასაც ეძღვნებოდა სიმღერა გულის.

ზუიან ტყვიები, ხოლო ადამიანები ეცემიან ირგვლივ, ვით  
ფრინველთა დასები. ღამის ქვიშაში ძვეს ვერსაცნობად  
ღამაში შუბლი. მომსვრელებს შენი სიცოცხლისა  
შთააგონებდათ შენი სიმღერის სიძულვილი, ნაწოთობისა  
ვარსკვლავთ ქარიშხალსა და ელვაში.  
ანდალუსიის ბაღნარებში ბოგინობს მკვლელობა ჯაბანი  
და უტყვი მუშტებით კვლავ ომობს შენი ხალხი.  
ძველი მგზნებარებით,  
დიდ ბოლო აკორდში, როს აუღერდნენ შენი სტროფები,  
მამაკაცებო, მივიწყებული გიტარები ააწყვეთ მაშინ,  
სიერას ქარო, დაჰბერე მაშინ, რათა ნევადა აელვარდეს!  
ბოშა ქალები იღიმებიან აივნებიდან,  
მკაფიოდ მოსჩანს მოედნიდან, –  
თაღლითის ურიკა იწვის ხანძარში.

**ერნსტ მაისტერი (დაბ.: 3.09.1911 ჰაგენ-ჰასპე – გარ.: 15.06.1979 ჰაგენი)**

**მსურს სვლა განვაგრძო**

მსურს სვლა განვაგრძო...  
მთასთან დავმდაბლდე,  
ბართან ავმალდე,  
მსურს სვლა განვაგრძო.

დგას შეშლილი  
ნაპირთან ზღვისა  
და ქარიშხალი მას უჩურჩულებს:  
ვერ გაბრიყვდება  
მარილი ტბისა.

მსურს სვლა განვაგრძო...  
მთასთან დავმდაბლდე,  
ბართან ავმალდე.

მე ერთ სამარხში ჩასვლა მომინდა...  
ბორცვში გამოსხლტა  
თავი თევზისა,  
მისი თვალი მე მომაჩერდა,  
ჩემი გული კი  
ყვაილებში ღამის გაჩერდა...

და იმ ბადიდან, რომ ვერას იჭერს,  
ნატვრა – სურვილნი გამომიცივივნენ.  
ხოლო დუმილმა ეს ამოთქვა:  
გლახაკს სიტყვისა  
არასოდეს დატუქსავს ზეცა. . .  
მსურს სვლა განვაგრძო.

**შტეფან ჰერმლინი (დაბ.: 13.04.1915 შემნიცი – გარ.: 6.04.1997 ბერლინი)**

### **ტერცინები**

სიტყვები მოელიან, მათ აღარც კი გამოთქვამენ:  
ქუთუთოებზე ჩამოსწოლიათ მუჭებით – ღამე,  
ჩამოშლილი თმით, ზამთრის თავუნას ნაშიერს, სოროს უთმობენ.

ოცნება ჩემი ნაჭედი არის მათივე მერყეობიდან,  
წარმავლობიდან ჩემი გრძელი დღე,  
მერცხლები ქართლ დაფარულან.

დროის მდინარეში ახლა მარტოკანი განისვენებენ,  
მათ სახელებს საათები რეკენ და რეკენ,  
გაფრთხილებას, ფიცს, ანდერძს არ დაუდევენ.

წვიმაში სიტყვები დაფებიდან ირეცხებიან,  
მთა-ვალერისკენ და პლოცენის ტბისკენ ედინებიან,  
მერცხლები ჩრდილოეთს ხელში უვარდებიან...

და კვლავ შევიგრძნობ, სიბნელეში როდესაც ვდგები:  
სილურჯით საესე გამოხედვას, სუნთქვას და ხელს,  
მდნარ ოქროს – ჩაის ჰგვანან ეს საღამაოები.

ხოლო გამბედაობას კი მოუტყუებია თავი, –  
დამდგომი კვირისა ყველაფერი ვიციო.  
გაუჩადებიან ქალაქში აღტაცებულ დროშათა ფრიალი,

იმ დროშებისა, მომავლის ქარებს რომ სჭედენ.  
სიმღერებისგან რეტდასხმულნი მიაშურებდნენ ისინი იქითკენ,  
მაგრამ მათ ახლა ხორცი ეღვენთებათ და ვირთხები ჰკბენენ.

ექვსი ბიჯიდა რჩება მოლოდინის ევფორიაში.  
წვიმის სვეტებს მაინც რომ მიყრდნობოდნენ?  
მერცხლის მარცხს ვერც ვერასოდეს დაივიწყებენ, –  
ახლა სვავთა კლანჭებში არეულან.

**მაქს ჰილცერი (დაბ.: 08.09.1915 გრაცი – გარ.: 26.12.1984 პარიზი)**  
**აღმაფრენათა ღამე**

რალაც უკან მოედინება და  
ძველებურად ძველ ღამეებში იწყებს ნატიფად ბუუტვას.  
ღრუბელი ძირფესვიანად ამოხაპული ღვინისა,  
ამბორი მკვდრისა, –  
ელვა დაატყდა ფარდულს, სადაც განეთავსებინათ  
ტიპოგრაფია, ასოები ჩამოდნენ და სარკისებრ განეფინნენ ქვიშაზე,  
დროვ,  
ნათელი წყაროვ. –  
არ დაშრე.



**პაულ ცელანი (დაბ.: 23.11.1920 ჩერნოვიცი – გარ.: 20.04.1970 პარიზი)**

ნუშები ითვალე, ითვალე. . .  
მწკლარტე რაც იყო, რაც გაფხიზლებდა, ის დაითვალე.  
მეც ნუშებს მიმათვალე:

შენს თვალს ვეძებდი, ფართოდ ახელდი,  
არვინ გიმზერდა,  
თანაც მალულად იმ ძაფს ვართავდი,  
რისგანაც შენი ფიქრების ცვარი  
ჩასხლტა სარდაფში დოქებთან,  
სად სიყვარულის ფიცი ერთგულადაა შემონახული,

იქ პირველად შეაბიჯე შენს სახელში,  
მტკიცე ნაბიჯით შენს საკუთარ არსს მიეახლე,

ახლა ზარხუფში შენი მდუმარებისა  
ჩაქუჩები რეკენ და რეკენ, –  
მოგახლიან მალულად მოსმენილს.  
შენ იქ მკვდარი გაჭდობდა მკლავებს  
და სამთავენი სადამოსაკენ გზას გაუყევით.

ო, მქმენ მწკლარტედ,  
ნუშებთან დამთვალე!

## VI. ღაღაიზმი

*“სიტყვები არსებობენ ლანდებად / ლანდები გარდაიქმნებიან სიტყვებად” –  
ოიგენ გომრინგენი*

**ჰანს არპი (დაბ.: 16.09.1886 სტრასბურგი – გარ.: 7.06.1966 ციურიხი)**  
**ჩვენ მავედრებელნი თუმცა**

არფაზე დამკვრელნი  
ხოჭოსებრ გაქვავებული სახისანი  
ძალუმად გამოჰკრავენ ხელებს  
სიმებს  
უსულგულო ბავშვები  
სულჩაბერილი ბურთებით თამაშობენ  
ბუნტის ამტყენი  
შვიდგზის საზრიანნი  
თავიანთი შვიდი საგნიერი  
საგნით გარემოცულან და  
მოელიან დროს  
როდესაც  
ტანსაცმელის კარადებში მოთოვს.  
ვიდაც აბეზარი  
ეი – ჰეის დასძახებს  
ფრთამოკეცილი ხე  
მონათესაობას გვიმტკიცებს  
თუმცა ჩვენ მავედრებლები  
სულმოუთმენლად ავმართავთ  
ჩვენს ბარათს მაღლა  
და ვიმედოვნებთ რომ  
თეთრი ლუქის ლაქისა წვეთი  
ცის შავი თალიდან ჩამოწვეთავს  
და მას დალუქავს.

**რიხარდ ჰუელზენბეკი (დაბ.: 23.04.1892 ფრანკენაუ – გარ.: 30.04.1970 მურალტო)**

### კუკჯონიდები

1.

მიფუყვებოდი გუშინ ქუჩას ნავსადგურისკენ,  
სადაც ტაღლები უდაბურ ქუჩებს გარს ევლებიან, ვნახე  
გემები, ნაცრისფერში დაყვინთული ნაჭუჭები, მიჯაჭვული  
ნაჭურჭლები, ოდესღაც სივრცეს რომ ელტვოდნენ, მაგრამ  
ახლა სივიწროვეს შეთვისებიან.  
გემის ლუკებზე თვლემენ შტურმანები,  
საჭის ტრიალით მოქანცულან. რა ბედენაა მართვა  
დასაბამიდან უმართავისა?!

ძაღლებივით არიან გემები დაბმულნი, მათ  
კერია ფსკერზე მოიწყვეს, რაზომაც ფსკერი  
ეყოთ. სადღაც, გარეთ და შიგნით რული მოსდებიანთ მამაკაცებს,  
მოწყვეტილებს გარეგანსა თუ შინაგანს, მათ ძილი ჰფარავთ.  
უეცრად გაზინზღული საბნებიდან მოკოტრიალებს  
კაპიტანი კუკჯონი.

ერთი ამ კაპიტან კუკჯონს დამიხედეთ, ლოგინის კიდეში ფეხი როგორ მოურთხამს. დამიხედეთ კუკჯონს ერთ ფეხზე და მეორეზედაც.

ო, რა მხნედ უმკლავდება იგი ცდუნებას.

ეგეოსის ზღვისგანაა კუკჯონი ცდუნებული, ხოლო ღამით კი მას დიდი შორეთის მეძავი აცდუნებდა.

გაოფლილ ლოგინებში ეძლეოდა ძილს კუკჯონი უმეცრად. რა სცოდნია მას მომავლისა, თვალსა და ხელს შუა რომ ქრება? რა სცოდნია მას თევზის მონატრებისა?

ეს ის დიდრონი თევზებია, გულზე რომ არ გვეხატება.

ეს დიდრონი თევზები დაცურავენ აღმა და დაღმა, თან კუდებს წამოსწევენ მოხერხებულად, რათა სიგნალს მიაყურადონ, მომსკდარს სიღრმიდან.

ასეთი არის ცხოვრება კაპიტან კუკჯონისა.

მაგრამ ეს ხელმოცარვის ჟამია.

ეს არის ჟამი – სიმბოლოთაგან დაცლილი, ეს ის ჟამია, როს დედაკაცები იძინებენ შიშველ იატაკზე, ხოლო ღვთისმშობლის სახება განერიდება მათ.

2.

იმ ქუჩაში, ნავსადგურს რომ მიუყვება, ვნახე თევზები, სანუკვარი სამშობლოს დატოვებისას გზას შემდგარნი ერთსულოვნად, ვნახე თევზები, გზას შემდგარნი შორეთისაკენ, მაგრამ ბოლოს მაინც მობრუნებულნი ნავსადგურთან.

როგორც დროს იხელთებ, კუკჯონზე იფიქრე.

ვიდრე სამყარო იტრიალებს, ჩაუფიქრდი საკუთარ თავსაც.

საკუთარ თავზე ფიქრით როს მოიქანცები, იფიქრე კუკჯონზე.

თქვენს წინაშეა გმირი, ვის გამოც გაზეთი ყურს გვიჭედავს.

კუკჯონი არის ქვეყნად და მანამ იქნება,

რა ხანსაც მხარს აუბამენ.

იმ ქუჩაზე, ნავსადგურს რომ მიუყვება, კარუსელები დაუდგამთ, მაგრამ მწყობრიდან გამოსულან და მუსიკაც მიმწყდარა.

თვითმფრინავები ყვავებივით ცივად დამდგარან, შესუდრულან დღის სინათლეში.

მუსიკა სიღრმიდანვეა მიმწყდარი და მას თვითმფრინავები აღარ აჟღერებენ.

სად ვეება შუქს კაშკაში გაჰქონდა, ახლა იქ ტეხილი

ნაპირილაა დარჩენილი.

სად ფრინველები დაგოგმანობდნენ, იქ ახლა ბაყაყილა ხტუნავს.

თქვენს წინაშეა კაპიტანი კუკჯონი, რომელმაც უამრავი ზღვა დალაშქრა.

იგი ლაშქრავდა მათ ხელით, იგი ლაშქრავდა მათ ფეხით.

რაკი ბრალი თვალებს ედებათ, გაიოლებთ ხედვას.

ახლა ღვინოც ფსკერამდეა დაყვანილი და ღუქანიც  
ხელიდან გვეცლება.

ჰოდა, მოდი კაპიტან კუკჯონს მივდიოთ მხარდამხარ,  
ვიდრე ახლიდან წარმოიქმნება ყოველივე.

**კურტ ლეონჰარდი (დაბ.: — — გარ.: —)  
თანამედროვენი**

1.

საზომი თვითება გახდა  
ძალაუფლებისა იშვიათადაა მასა  
ოაზისი დაო ქაოსი  
უდაბნოები დაღხენანი მზაკვრობანი  
მეტაფორული მეტამორფოზული  
სიტყვების ქვიშობი მოსახილველი ქვეყანა მოსაფიქრებელი ძნელადღა  
მოხვეჭილი დანაწევრებული ნათათბირები გაპარტახებული  
არასგზით არსაით მყოფობა წმინდა ჩემი ან შენი და ყოველგან არაფერი

აღრეულ წესრიგს  
დაზოგვა  
ჩახლართული ფორმების  
ხოტბა  
ფუჭ მეტყველებაში ჩაკირულან  
ოსტატთა სულები.  
ყურადღება: სამეფო ტახტებს  
ეცლებათ ძირები  
ხოლო ჩვენ ამაზე ვმადლდებით  
და ვთვალთმაქცდებით  
თითქოს გვადგელებს ძლიერ  
ყველაფერი: ანი-დან  
ჰაე-მდე ხან ქაოტური  
ხან კრიტიკული  
ხანაც ნარკოტიკული  
აქ ვამაყობდით იქ გულს ვიტყხდით  
აქ ვიხსენებდით იქ ვივიწყებდით  
მოხვეჭილს ვეხებით ხელებით  
სულს მოვითქამთ და აღვიჭურვებით ხანაც ვიჟანგებით  
ასე ვერთობით ღხენით და მზაკვრობით  
ვართ სოფისტები და სოლიპსისტები  
სკამსა და წისქვილს შუა განთავსდნენ  
ეს დაო-მაო განცდები  
II.

ვართ მსხვერპლნი ანდა ჯალათები  
ქრისტიანები ან წარმართები  
ვირი ან მხედარი  
ასე შემდეგ  
და უმაღ ეს არის  
თუმცა მოაზროვნე ბუტბუტებს თვის სიტყვას  
ცხოვრება დაღხენაა  
ცხოვრება მკვლელობაა  
აროდეს იგლოვდე  
მარად მსგავსადვე  
არსაით იტანჯვოდე  
ყველგან თანაბრადვე  
სუყველა ერთია

ნურას ინანებ  
ნურვის შეიძულე  
ყოველი: ხარ შენ  
ჯერ შეიცადე  
შეისვენე  
აღივსე პირთამდე  
ჯობს აღიქვამდე  
და ბედს მიენდე  
დასვი საკითხი  
გარისკავდე  
ცხოვრება მკვლელობაა  
ასე შემდეგ  
და უმალ ეს არის  
ნუ წამოეგები  
მღვდლის მზაკვრობას  
ნურც ოინს უღიმდამო  
დროის ბორდელის  
სწრაფი კლიენტისა:  
ბურთივით მრგვალი  
მატერიალისტისა  
იდეალისტისა  
ქუეტიტისა  
და ასე შემდეგ  
და უმალ ეს არის  
ცხოვრება დაღსენილი  
მხოლოდ ეკვილიბრისტის  
კიბეზე თუ არის.

**ჰანს კარლ არტმანი (დაბ.: 12.06.1921 ვენა- ბრაიტენზეე – გარ.: 4.12.2000 ვენა)**

### **უცქერდა ციცქნა მარტორქა**

უცქერდა  
ციცქნა  
მარტორქა  
“ade”: აღმოსდა  
აფრიალდა  
ალამი  
უყვარდა  
მამული  
მასთან ლაღობდნენ  
ტურფა მხეველები  
სარკმელთან  
აქეთ და იქით  
დახტოდა  
იქორწინა  
თუმც უთანასწოროდ  
ლოგინიდან  
სანდლებში  
ისკუპა  
რეკვას ზანზალაკის  
ბეჯითად ითვლიდა  
ჰოდა ჭკუაში ჩემი  
ბედაურის აღკაზმა დაუჯდა  
შორეულ მხარეში  
მოუნდა გაჭენება

ფარშევანგთაგან და ბუღბუღლთან  
ჩაძინება  
თავს ლაღად ვგრძნობდი  
დილის სიოში  
მარცხნივ და მარჯვნივ  
ჩანჩქერთა წინაშე  
სურნელი მუხისა  
ია ჯადოსნური  
მახვილი და ლირა  
კარაქი და პური  
მდიდრული ზარდახშები  
ზანღუკებიანად  
თერთმეტს რომ თერთმეტი  
არის ოცდასამი  
პაწია ბაღნარი  
პეპლებიანი

ღერწი მელნის ხის  
მარცვალი ფეტვისა  
თესლი წიწაკის  
პოლონეთის დაპყრობა  
გვეღირსა.  
ძველი სიყვარული  
ნაადრევ საფლაგში  
დაყაჭე  
გროში  
საბრძოლო ალაში ჩეროში ტყისა  
რომი ნაგებია  
ქვითა და ფეხითა  
გვაცხოვნებს სიგრილე  
ეკლესიებისა  
ტოროლა  
შაშვი  
ყორდანი  
სულთმოფენობა და  
ჯიგრიანი ქოთანი

სიწითლე მწუხრისა  
ვახშამი  
რიჟრაჟის სიწითლე  
არ მეპიტნავება  
თავშესაფარში  
ნუ მიმაბარებთ  
მაგ ჯადო-სახლში

აი იღვიძებს  
ნიკრისი ავი  
თამამად თქვი:  
ერთი ორი  
რობინზონი  
ო შენ დეპეშავ  
ყოველ დღე ცისმარე  
ჰანსი და გრეტელი  
ეტიკეტზე:  
“ამსტელდამი”  
ბაბილონი

არ წაგცდეს  
მანდეთკენ  
ხელი  
ფუტკარი ფუტკარი  
მაცნეს საჩუქარი  
ფრინტა ტკბილი  
ქალი ტყუის  
გაღმა სარკმლისა  
ჩემს კაიზერს  
ჯარისკაცები დასჭირდა  
თამაში ბანქოსი  
ჩრჩილი კაბისა  
მარტორქა ორცხოვობილიანი  
მითხარი რა ვუთხრა  
მთვარუნა სავსეა  
მამილო ძეხვი ცრემლსა ღვრის  
დედილო ძეხვისთვის  
აქეთკენ ამასთან ამისთვის  
ოჰ შენ ლუდვიგ  
ღრმადპატივცემულო  
გერმანთა ქვეყანავ!  
შენ მოგიშენებია აურაცხელი  
მტირალა ტირიფი  
წყარო თვისავე წყლითაა  
ნატიფი  
ხეებზე  
იუდა ხტის.  
სიტყვაა თამამი  
კეთილად ნათქვამი.  
ახ ძმალ  
ახ დაო და  
შენ ჩემო ერთგულო  
ახალი წლის ღამევე  
შენზედ მომინდვია  
მხარე ტიროლი.

**ჰელმუტ შაისენბიუტელი (დაბ.: 21.06.1921 რუსტრინგერი – გარ.: 19.09.1996 გლუკშტატი)**

### **კომბინაციები**

1.  
ამ ცხვორებაში არასოდეს.  
შემოდგომა 46-ის ანდა ზაფხული 50-ისა.  
დაუგზავნელი წერილების გაგზავნა.  
სახელი დამავიწყდა.
2.  
თოლიები გუნდებად მიფარფატებენ ჰორიზონტისკენ.  
გრაფიტის სფეროა მთვარე ნამგლისებური ქიმიით.  
მწვანე ცის შუაგულიდან ნარინჯოვანი სარკმლები  
გადმოკიდულან.
3.  
თოვლის ბურუსი მონუსხავს ჩემს სევდიან პრინცესას.  
უნაზღესმან სიზმარში ცრემლები ღვარა.  
სახე მიჩვენა ჩემმა სევდიანმა პრინცესამ.  
ზღაპრული არსებაა ჩემი სევდიანი პრინცესა.

4.

ხელ-ფეხს მიბორკავენ ისრები შუქისა.  
მიმოსხლტებიან ისრები ლანდისა.  
პწკარები დახვავებული ლექსებისა.  
მოგონება განუმეორებლისა.

5.

არ ვფიქრობ ამას... ან მერე... ან ოდესმე...  
გუშინდელზე, არც ზეგინდელზე მე არ ვფიქრობ.  
ისლა დამრჩენია თავი გავისხენო,  
განუმეორებელი მოვიგონო,  
ვთქვა სათქმელი,  
განვიცადო განსაცდელი,  
მისადწვეველს მივაღწიო,  
გავიმეორო გასამეორებელი,  
დასასრულებელი დავასრულო...  
ხოლო... არგანუმეორებელი,  
არსათქმელი,  
არგანსაცდელი,  
არმისადწვევი,  
არგასამეორებელი,  
არდასასრულებელი, –  
არასოდეს დასრულდება.

**იოგენ გომრინგენი (დაბ.: 20.01.1925 კაჩუელა ესპერანსა (ბოლივია) – )**

სიტყვები არსებობენ ლანდებად  
ლანდები გარდაიქმნებიან სიტყვებად

სიტყვები არსებობენ თამაშობებად  
თამაშობები გარდაიქმნებიან სიტყვებად

არსებობენ ლანდები სიტყვებად  
გარდაიქმნებიან სიტყვები თამაშობებად

არსებობენ თამაშობები სიტყვებად  
გარდაიქმნებიან სიტყვები ლანდებად

არსებობენ სიტყვები ლანდებად  
გარდაიქმნებიან თამაშობები სიტყვებად

არსებობენ სიტყვები თამაშობებად  
გარდაიქმნებიან ლანდები სიტყვებად

**ერნსტ იანდლი (დაბ.: 1.08.1925 ვენა – გარ.: 9.06.2000 ვენა)**

რამდენი შვილი გყავს სინამდვილეში? – შვიდი.  
ორი პირველი ცოლისგან,  
ორი მეორე ცოლისგან,  
ორი მესამე ცოლისგან,  
და ერთიც, –  
ყველაზე უმცროსი, –  
ჩემგანვე.



**ფრანც მონი (დაბ.: 26.06.1926 ფრანკფურტი მაინზე – )**

**ჰორიზონტალური პროექცია**

იყო ცხადი,  
უადრესად ცხადი,  
გაცილებით ცხადი,  
ვიდრე ახლათ.  
ყველაფერი ცხადია.  
სიფრიფანაფრთიანები,  
ჰექსაგონი,  
მოსარკული რეფლექსები,  
უფრო გვიან კი  
ნაწნავი.  
პაწაწკინტელა მინის ბურთულა. მებაღური ძუით  
ამოზიდავს ნადავლს, სიკვდილისთვის პაწაწკინტელას.  
წყლის გლუვ ზედაპირზე  
ფშვინვა,  
ჰორელიეფი,  
ჰელიოტროპი.  
ღვთის შვილებისგან შობდნენ ასულნი  
ადამის მოდგმას.  
ორთავენი  
შიშვლად და ნატიფად შეაღწევდნენ თანაბარ ტალღებს,  
თან თავებსაც წამოსწევდნენ,  
აკვირდებოდნენ ერთმანეთს  
დრო და დრო ისევ.  
ჰორიზონტალური პროექცია,  
ფუტურო ხორხი,  
საფუარი,  
უბის წიგნაკი.  
“როგორ უნდა იხჯებოდეს კაცი,  
ვისი ბრალიც დაუდგენელია დანაშაულში?”  
მოიკაკვენით წელს ქვემოთ,  
რათა მოგარტყან – აი მანდ!  
(ზურგს მოვლით მხერა წინისკენ).  
ბაგეთაგან გამოსხლტა მხეცი – ორის სანაცვლოდ,  
ნაცვლად სამისა,  
შენ მკვდარი ხარ,  
იგი მკვდარია,  
უკვე აქაა ყველა ფრინველი,  
ყველა ფრინველი,  
სულყველა.

**რანინერ მ. გერჰარტი (დაბ.: 9.02.1927 კარლსრუე – გარ.: 27.07.1954 კარლსრუე)**

**ხმა**

სინაზვე, შენ უტყვო,  
მთიდან თუ იღვრება მღერა ჰანგების.  
მე ვმღერი.  
ღამე ჩემი ეული,  
ხმა ჩემი არაძალადი,  
ენა აჯვარებს  
ჰაერთან სითბოს.  
იასამანი მადრიბული.

მეტალი არა,  
არც ოცნებები.  
სისხლით წითელი სიწითლე წყლისა.  
ანგელოზისებრ პირმშვენიერი ყმა  
წამახულ სახურავზე ჭენებ-ჭენებით.  
აღლუმი მზისა –  
მიაცილებენ ძაღლები.  
აღლუმს მიწისა –  
გამძვინვარებული გრიგალი.

**იოჰანეს პოეთენი (დაბ.: 13.09.1028 ვიკრატი – 09.05.2001 შტუტგარტი)**

### **დილა**

დილა იფრქვევა ღამის თავიდან,  
ვარსკვლავს ფშენეტს ხელით.  
ხე იბანგება სისხლში.  
ყველა ზურგს უკან თვის ვერაგობას  
განავრცობს შუქი.  
დღეს ტერფები გადასერვია,  
ხოლო ღრუბელი თავს დაიმარხავს საკუთარ შუბლში.  
ისევ შეჰყივის, წითლად შეჰყივის მამალი ბორცვაკს.

**პეტერ ჰერტლინგი (დაბ.: 13.11.1933 შემნიცი – )**

### **ისევ მოელის (მინაწერი ბავშვის ნახატზე)**

მთვარე უტერფოდ დაიარება  
და იძირება,  
რადგან ღრუბლები  
ქედებს გადაღმა აშლიან ფერებს.

ატმის ხეები  
დარბაისლურ მოსასხამებში მგლოვიარობენ წვიმის მოსვლამდე.  
ისევ მოელის რტოებში მთვარე  
ატმის გულიდან მომსკდარ სიმღერას.

## VII. ჟოჯიი ლირიბა

*“ჩვენ ტკივილები მიგვასვენებენ უსარკმლო სახლში” –  
ჰილდე დომინი*

**ვოლფგანგ ვაირაუხი (დაბ.: 15.10.1904 კონიგსბურგი – გარ.: 7.11.1980 დარმშტატი)**

### კორეა

კურდლაცოცხა, ნოემბერში გახუნებული,  
გაცრეცილა, ის იმუქრება.  
ნახევარკუნძული გაჰკივის.  
ფლეიტა ტირის, – ლელის ბარდნარმა  
მიატოვა და მგლოვიარობს.  
ნახევარკუნძული, ჩვენი საბრალო.  
მკვდარი ტოროლები. ხოლო გუგული  
კუნძულის მშფოთვარებისკენ მიხმობს.  
ვერხვის ფოთლეული,  
ქარის გარინდებაში ათროლებულა.  
ნახევარკუნძული –  
თავთაგწაცლილი კურდლაცოცხათი დაპენტილი.

**ჰილდე დომინი (ჰილდა პალმი) (დაბ.: 27.07.1909 კიოლნი – გარ.: 22.02.2006  
ჰაიდელბერგი)**

### უსარკმლო სახლი

ჩვენ ტკივილები მიგვასვენებენ  
უსარკმლო სახლში.  
მზე შლის ყვავილებს,  
მათ იავარებს  
გვიჩვენებს მკვეთრად, –  
ეს დუმილიდან მონასროლი კამათელია  
უკუნ ღამეში.  
ხოლო ნუგეში  
შინ შეღწევას ღამობს,  
კარ-ფანჯარას ვერ პოულობს.  
მას სასწაულის ჩადენის ჟინი აიტანს, –  
ბრაზმორეული მოხვეტავს ფიჩხებს  
და ცეცხლს შეუნთებს. . .  
სახლს ტკივილებით.

**ვოლფდიტრიხ შნურე (დაბ.: 22.08.1920 ფრანქფურტი მაინზე – გარ.: 09.06.1989 კილი)**

### დასმენა

მთვარე,  
მდებრ-ობობათა რძისფერ ქსელში გახლართულო,  
მაბეზლარავ;  
მთვარე: შენ ჩვენ ბრალსა გსდებთ.  
შენ ჯაშუშობდი;  
სითეთრე შენი ხელებისა ტყუის.  
ასევე თეთრია ქლორი,  
ასევე თეთრია თოვლი;  
ქლორი, დაცხრილულთა ცხედრებზე რომ გადასჩქევს.

გათოშილებს რომ ათბობს, – თოვლი.  
ასევე თეთრია ნისლი,  
ასევე თეთრია ღვედები;  
ნისლი, მომსვრელი ჭირის ხეობაში რომ ჩაშვებულა,  
მოკლულებს რომ აგრილებენ, – ღვედებიც.  
მთვარეც,  
კალიისებრო მონეტავ კაცთა,  
დამცინაო; მთვარეც:  
შენ ჯაშუშობდი,  
ჩვენთვის ცნობილია შენი დამკვეთი;  
ის სიყვარულს მიღმა ბინადრობს.

**ერის ფრიდი (დაბ.: 6.05.1921 ვენა – გარ.: 22.11.1988 ბადენ-ბადენი)**

მთაზე დგას ჩემი სახლი მთაზე  
მკაფიოდა ჩანს ზღვიდან  
მისი კედლები ჭრილობებია

მთაზე დგას ჩემი სახლი  
მწყურვალთათვის ყლუპმოკლებულ  
ჭასდანატრებულ მთაზე  
მისი სარკმლები დასიცხული თვალებია

მთაზე დგას ჩემი სახლი  
დროშად ქვეყანაში  
თუმც გათანგული თუმცა სნეული  
მისი სარკმლები დასიცხული თვალებია  
ხოლო კიბე კი – მფეთქავი პულსი

მთაზე დგას ჩემი სახლი  
მრისხანე მზეში  
ქარი ნაკერწკლებს როცა შეაფრქვევს  
ის იწვის  
ქარი როს ფიქრებს შეაბარდნის  
ის იყინება  
ჩემი სახლია ერთი  
სნეული დროშა მთაზე

მთაზე დგას ჩემი სახლი მთაზე  
რაგვარსაც ვხედავ

მფეთქავი პულსია მისი კიბე  
და მე არ ავდივარ მასზე  
მისი სარკმლები დასიცხული თვალებია  
მე მათ არ ვაღებ

ქარი ფიფქს როცა მომაბარდნის  
გავიყინები  
ქარი ნაკერწკლებს როცა მომაფრქვევს  
დავიფუფქები

მკაფიოდ მოსჩანს ზღვიდან  
ერთი გაქუცული სნეული დროშა  
ჩემს სახლში მთაზე  
სადაც მე არ ვიმყოფები

**ვალტერ ჰიოლერერი (დაბ.: 19.12.1922 ზულცბახ-როზენბურგი – გარ.: 10.05.2003 ბერლინი)**

**ო, შეხედე წითელ ყაყაჩოს, შეშინდი**

ის ხელთ გიპყრია და გეცლებოდა,  
შენ მიდიოდი და მოდიოდი, მას დაექებდი:  
გეცლებოდა და კვლავ გექლემოდა, ის გეწვეოდა.

კი მაგრამ, გექლემოდა საიდან? ან ილეოდა საით?  
კი მაგრამ, საით გეცლებოდა? ახლა ენადაც გაკრეფილა?  
სიტყვები გადაფარულან მითით,

ყავლი გასვლოდეთ თითქოსდა, –  
დღეს მათ აღარც კი გამოთქვამენ სრულად.  
მღვდლის მეუღლეს რომ სცოდნოდა,  
ვინც კვამლში იდგა, ღამის ბურუსში...  
წინა ფლანგიდან ნუთუ ის სიკვდილს ეგებებოდა?!  
ეგებ აქილევსი იყო ორთაბრძოლაში?

ხოლო შენ ცვრიან სამყურაში იყუებოდი,  
როდესაც ირგვლივ ძნა გაჰკიოდა  
და ყოველივეს მედგრად იტანდი?!

იტანდი მედგრად სიახლოვეს მანდილოსნისა?!  
ამოიკითხე ეს შენ  
სახიდან მომაკვდავის...

როს გასრულდა უკანასკნელი დღე ბოლო ომის.  
შენ გამარჯვების მეტრფედაც დარჩი?  
ომი დამთავრდა და განვიდა.

შენ არ შეცვლილხარ.  
მაინც იქითკენ მიტორდიალობ, ხოლო იგი კი  
მოგეპყრობა ძველებურადვე. შენ უცვლელი ხარ.

ნუთუ გზას შემდგარი მხეცი ხარ. . . ჩლუნგი ხედვით?  
აჩრდილებში დაბორიალობ, მიირყევი მაინც იქით:  
ო, შეხედე წითელ ყაყაჩოს, შეშინდი!

ხელთ რომ გიპყრია, ის გაქვს,  
ის ხარ შენ.  
ამიერიდან ვით არა-უცხო განაგრძობ სვლას, –  
საკუთარ თავს იშვიათად სტუმრობდი.

**ვერნერ რიგელი (დაბ.: 1925 გდანსკი– გარ.: 1956 ჰამბურგი)**

სად შუბლია და თხემის ძვლები  
და კუნძულები ქარში,  
იქ ტორპედოსანი სკაროსები  
ღრმად მისხლტებიან აზრში.

თულე და ორთავ სიცილია  
თივის ზვინს უკან დარჩა.  
ხმას ვიკმენდ ცის ლაჟვარდებში რა ხანია  
და უკუ-შედევებს ვჩარხავ.

ეს დღე უშფოთველად მიიღია,  
რა უხეიროც იყო იცი.  
მე დროის შეჩერებაც შემიძლია  
საჩვენებელი თითით.

აქ ლანდი გრძელდება უფრო,  
**vita brevis est.**  
ნეტავ ის ისეთი ვინ იყო,  
ქედს რომ უდრეკდით იმ ერთს?

ბომბდამშენები, მფრინავი თევზები  
ღრუბელთა ბადეში ქრიან.  
იქ ეს მიწიერი კანონები  
ჯადუგ ღამეებს აშლიან.

ბაღნარზე წითლად გაწოლილნო,  
ძაღლებო, ჩოქვით იარ!  
აი, საღამოც ახლოვდება და:  
**to be or not to be-ა.**

**ვოლფგან ბენლერი ( დაბ.: 22.03.1925 აუგსბურგი – გარ.: 24.05.2007 მიუნხენი)**

### **გზაჯვარედინები**

მტვრის მგლები ტრავმის ყვითურ ნარჩენებს  
თქვლევენ. ათინათები მწვანედ გამოკრთებიან  
ტოტების მიმოხერის  
წყვლიადიდან.

ახლა ღოთებს, მთვარეულებს და ვერც ამ ხეივანს,  
მეძაგებს და ვერც იმათ სტუმრებს,  
ვეღარ აკავებთ წითელი შუქი სავალი გზისა, –  
ვერც შეძახილი გზაჯვარედინზე.  
მათ იციან საითკენაც მიდიან, –  
არჩევანი შენ!

ვარსკვლავებს ანთხევს ღამე. ძაღლების ჯგრო  
ზანტად ლოკავს  
მათ ანარეკლებს.  
ქალაქს თბილი ქარის ენა გასჩრია ხახაში, –  
მუშკს, ბენზინსა და გაზებს უსინჯავს გემოს.  
მთვარემ კბილები გამოსდო სახლებს რბილობში  
და უფაქიხეს დროზე ოცნებაში გართულმა,  
დასისხლულ ნაფლეთებად უქცია მას შრამები.  
ჭრილობებიდან ყვითლად გადმოსჩქევს ჩირქი.

**ელიზაბეთ ბორხესი (დაბ.: 27.02.1926 ჰომბერგი –)**

### **ვაი, წყალი ძილად წვიმს**

ვაი, წყალი ძილად წვიმს,  
ვაი, შეცურდება ბაღახში საღამო,  
წყალთან მისულთ ძილად ჰქმნის,  
საღამოსთან მისულთ კი ბაღახად.

თეთრო წყალო, მწვანე ძილო,  
დიდო საღამოვ, პაწაწინა ბაღახო,  
ვინ მოდის? ვინ მოდის?  
უცხო.

## II.

ეჰ, რა ვუყოთ მეზღვაურს დამხრჩვალს?  
ჩვენ მას უმაღ ჩექმას ვხდით,  
ჩვენ მას უმაღ ჟილეტს ვხდით,  
მივასვენებთ ბაღახში.

ჩემო ბავშვო, მდინარეში ღამეა.  
ჩემო ბავშვო, ძვალში ატანს სისველე.

ეჰ, რა ვუყოთ მეზღვაურს დამხრჩვალს?  
უმაღ პეშე წყალს მიეუტანო,  
საღამოსთან მივზიდავო, –  
მობრუნდება ხალისით.

ჩემო ბავშვო, ნუ ტირი,  
ეგ უბრალოდ ძილია!

ეჰ, რა ვუყოთ მეზღვაურს დამხრჩვალს?  
წყლის სიმღერა ვუმღეროთ,  
ვუთხრათ ლოცვა ბაღახის, –  
მობრუნდება ხალისით.

## III.

ვინა ვარ? ვინა ვარ?  
უცხო.

დიდ ბაღახში პაწაწინა საღამო და  
სისველე მწვანე, – უთეთრესი ძილისა.  
გადიქცევა საღამოდ, ვინც შეაღწევს ბაღახს.  
გადიქცევა სისველედ, ვინც შეაღწევს ძილს.  
ვაი, შეცურდება ბაღახში საღამო.  
ვაი, წვიმა მოდის წყლის ძილის.

**ინგებორგ ბახმანი (დაბ.: 25.06.1926 ქლაგენფურტი – გარ.: 17.10.1973 რომი)**

### **მზისადმი**

ის, რაიც უფრო ღამაზია ვიდრე მთვარეა და  
მისი კეთილშობილი გამონაშუქი,  
ის, რაიც უფრო ღამაზია ვიდრე ვარსკვლავნი, –  
სახელგანთქმული ორდენი ღამისა,  
ის, რაიც სიღამაზით კომეტის ცეცხლოვან გაელვებასაც  
აღემატება,  
რამეთუ შენი და ჩემი ყოველდღიურობა ჰკიდია მასზედ, –  
არის მზე.  
ღამაზი არის მზე, რომ ამოდის და არასოდეს ივიწყებს  
საკუთარ დანიშნულებას და თავის საქმე ბოლომდე  
მიჰყავს.  
მზე ზაფხულობითაა განსაკუთრებით ღამაზი,  
როცა დღე ნაპირზე იწურება და იალქანს  
ირეკლავს უნიათოდ. ის თვალზე გელამუნება

მანამ, სანამ მოგთენთავს და ბოლოს თვალს მილულავ.  
უმზეოდ ხელოვნებაც კი ბინდით იქნებოდა მოსილი;

შენ ვეღარ წარმომიდგებოდი, ხოლო ზღვა  
და ქვიშა, – გაწკეპილიანი აჩრდილებისგან,  
ქუთუთოებში შემოძვრებოდნენ და იქ ჰპოვებდნენ  
ნავსაყუდელს.

ლამაზია მზის შუქი, თბილად რომ გვამყოფებს  
და გვიფარავს. ის გასაოცრად მზრუნველობს იმისათვის,  
მე კვლავ რომ ვხედავდე და გიმხერდე შენ.

მზის ქვეშეთში არაფერია უფრო ლამაზი  
მზის ქვეშ ყოფნაზე მეტად.

არაფერია უფრო ლამაზი: წყალში ტოტის დანახვაზე მეტად, –  
ხოლო მადლა კი ჩიტისა,

ფრენის გამო რომ ყოყმანობს,

დაბლა კი თევზები ლივლივებენ გუნდებად, –

გამოძერწილნი ნაირფერად.

მზე შუქის გამოსაცემად მოვლენია სამყაროს

და იმისთვისაც, შენ შემოგარენს რომ ხედავდე, –

ოთხივე კუთხეს მინდვრისა და ათასკუთხედსაც შენივე

ქვეყნის და იმ კაბას, რაც გშვენის, –

ფაშფაშასა და ლურჯს.

ლამაზი ლურჯი, რაშიაც ფარშეგანგები დაგოგმანობენ  
და ქედს იხრიან.

ლურჯი შემთხვევითობა ჰორიზონტთან! ზედგამოჭრილი ამინდებით

ბედნიერების ზონებისათვის, – სიშორეთა სიღურჯე, შესატყვისი

ჩემთა განცდათა, რაიც აღტაცებისაგან თვალებს მიფართოვებს, ხოლო ისინი კი

ციმციმს იწყებენ კვლავინდებურად,

მხურვალე გზებით იდაგებიან.

მზეს – ულამაზესს, მტვრისგანაც კი უდიდესი

სასწაულის ჩადენა ძალუძს.

ამიტომაც, არც მოვარის და არც ვარსკვლავთა

გამოიოსობით, –

მხოლოდ დამეა კომეტებით რომ ყოყლოჩინობს და

ჩემში ბრიყვს დაეძებს,

სხვა არაფრისთვის, არასოდეს, არასდროებით,

მხოლოდ შენს გამო, თან უსასრულოდ ჩივილს დავიწყებ,

გამო ჩემს თვალთა დანაკლისისა.

**კრისტა რაინიგი (დაბ.: 6.08.1926 ბერლინი – გარ.: 30.09.2008 მიუნხენი)**

### **მწყემსური**

აქ მოახლოვდით ცეცხლთან, აქეთკენ ხალხნო, –  
მტრობთ სულყველანი, თუკი დამეს არ ეთაყვანებით.

ყოველ თქვენთაგანს მივიჩნევ უცხოდ,

თუ არ ინათებს თვის სახეს ცეცხლით.

ნეტავ ღმერთს ჩემთვის მშვიდობა ესურვებინა,

თუნდ სამოწყალო მოეცა ბიძგი.

მიერეკება ცხვრის ფარას ახლა

მარტოხელა და უიარაღო ჯარისკაცი.

ვისაც ხელები კვლავ შეხსნილი აქვს,

იგი არ ტყუის, როცა მეტყველებს.



ხოლო ჩვენ ვდუმვართ და გვწამს  
ღმერთისა, ბევრიც იჯერებს,

რომ ერთხელაც მოგვევლინება და დავიხსნებით:  
თითქოსდა აქვსო ეს განზრახვა სასიკეთოდ.  
სინამდვილეში ჩვენ ბოროტებას დავუწოქებდით  
და გვწავდა ჟინი უფლების ძალის– საბედისწეროდ.

**გიუნტერ გრასი (დაბ.: 16.10.1927 გდანსკი –)**

### **საბავშვო სიმღერა**

აქ ვინ იცინის, ვის უცინია?  
ის მასხრად თუ იგდებს თავს.  
იცინის აქ და თანაც ჰგონია,  
რომ სიცილის მიზეზი აქვს.

აქ ვინ იტირა, ვის უტირია?  
აქ აღარავინ ტირის.  
თავს ვინც იმტვრევდა, უტირია და. . .  
ტირილის მიზეზიც არის.

ვიღაც მეტყველებს, ხმას იღებს? დუუმს?  
უწინ დუმდა და ახლა მეტყველებს.  
დაუსმენიათ, ამიტომაც დუმს, –  
დუმილის მიზეზი მანდ ძევს.

ვიღაც თამაშობს, თამაშობს ქვიშაში,  
კედელთან მიჰყავთ ამასობაში,  
ხელს უწნოდ ჰყოფდა თამაშობაში,  
დაეწვა ხანძარში, წააგო თამაში.

აქ ვიღაც მომკვდარა, ვინ არის მკვდარი?  
მოუშორებიათ, აქ თუა მკვდარი –  
და თუ შეუბღალავი მკვდარია,  
ის უმიზეზოდაა მკვდარი.

**გიუნტერ ბრუნო ფუქსი (დაბ.: 3.07.1928 ბერლინი – გარ.: 19.04.1977 ბერლინი)**

### **მოკითხვის ბარათი**

1.  
იძებნება წვიმა,  
რომელიც შხამს იწვეთებს თვალებში.

ონოფეხებით მოსიარულე ბავშვი იძებნება,  
ვინც მაღალ ჯილდოს ჰპირდება წვიმას.

2.  
ფანჯრის მწმენდავი  
მტვრიან ზეცას მიაყრდნობს კიბეს,  
შემოდგომა სინაგოგას კარს შეაღებს.  
ქარები გალობენ თორას.

ნიშანი კვამლისა დღისით.

ხეები ბებერი რაბინები არიან  
და აჩაღებენ კანდელებს.

ნიშანი ცეცხლისა ღამით.

ჯაჭვები

აქვს შემოგებული ყვავთა ძილის ხეს.  
ძაღლების ყეფა შენს სიზმრებს წინასწარმეტყველებს.

ბავშვის ქარის წისკვილი  
გამოიტანს სამყაროს განაჩენს.

**ჰერტა კრეფტნერი (დაბ.: 26.04.1922 ვენა – გარ.: 13.11.1951 ვენა)**

**ბიუროში**

როგორც კი მოსაღამოვდა, სარეკლამო განათებამ  
საყოფაცხოვრებო მაღაზიიდან პირდაპირ ბიუროზე იწყო ლურჯად  
ციმციმი.

საბუჯდი მანქანა კი წკაპუნობდა ჩუმად და ჩუმად. . .

საწერი მაგიდის კიდესთან მიგდებული წინდა

სტენოგრაფისტის ქალის თეთრ მხრებთან

თეთრი გველივით შარიშურობდა.

ქალმა ღირეპტორის ყურის სიახლოვეს დაიჩურჩულა:

მე შენზე ვლოცულობდი

წუხელ. . .

და სწორედ მაშინ, ჩემს ლოგინში მთვარემ შემოანათა,

ხოლო ჩემმა დამ კი სიზმრებში ბორბვა დაიწყო.

მერე მე ზამბახის თესლი დაეწვი,

და ზედ მივაყოლე: სანთლის ნარინჯოვანი ნაღვენით,

მწარე თმა და კუდიც ჩემი თეთრი კატისა.

ჩემი მთვარეული და კვლავ ბორბავდა სიზმრებში,

როცა ჩავიმუხლე და ცეცხლთან

ვილოცე: ახ, მე მსურს იგი, მსურს, მსურს.

კაცმა მონუსხულივით ამოიოსრა, ხოლო საბუჯდი მანქანა კი

ისევ აწკაპუნდა ჩუმად და ჩუმად, –

სამუშაოს მერე მას ასეთი ხმა არასოდეს ჰქონია.

ხოლო მერე კი დარეკა ტელეფონმა ყურისმომჭრელად.

რეკავდა კაცის ცოლი, ვისაც ვახშამი მესამედ შეეებო.

სტენოგრაფისტმა ქალმა ჩამოხსნა წინდა

და კაცს მიუგო: “წადი და თეფშზე როცა

წვინანს დაგისხამენ, ლურჯ შროშანზე დაიწყე ფიქრი.”

**გოუნტერ კუნერტი (დაბ.: 6.03.1929 ბერლინი –)**

**ელგარ ლი მასტერსი**

აქ განისვენებს მშვიერი ღმერთი, რომელმაც

ადამიანი იმისთვის შექმნა, რათა ჩაემარხა იქ,

რაც მან სულიერებაში ააგო და უწოდა:

სფუნ რივერ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ლი მასტერსის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში შემავალი ლექსები აღწერენ ფიქციურ ქალაქ სფუნ რივერის ცხოვრებას.

ვინც საფლავის ქვებს სთესავდა ზედ მინაწერით,  
რომ იდგა მკაცრი, ბოროტი დრო, ამით ვერც  
ვერაფერი მოიმკო, დუმილის, დუმილის გარდა.

და აღესრულა თვითონაც,  
რიგით მეორე ომის დამთავრებიდან მალევე.  
დავიწყებული ყველასგან,  
ქვითნაგებ ქალაქ ნიუ-იორკში,  
ღარიბების თავშესაფარში, კუჭის დაცლის უკურნებელი სნეულებისგან.  
ხოლო ისინი, რომელთაც ადამიანურობისა არც არაფერი ებადათ  
საბანკო ანგარიშებზე, მან საკუთარსავე სასაფლაოზე წაიღო  
და მათხოვრების, მრუშების, ბუნტისთავების გვერდით დაფლა.

**ვალტერ ჰელმუტ ფრიცი (დაბ.: 26.08.1929 კარლსრუე – გარ.: 20.10.2010 კარლსრუე)**

მოდი,  
სისხამი დილის  
პრელუდიურ შუქს  
შევეგებოთ.  
მოდი,  
ქარ-წვიმის  
ვიწვნიოთ გემო,  
თავზე  
რომ გვევლება ჭაგლებად.  
მოდი,  
მივესალმოთ დღეს,  
ღუზა რომ აუშვია  
და გეზს სიმშვიდისაკენ  
იღებს.  
ერთ ასეთ დილას  
უსათუოდ დაივანებს  
საყოველთაო  
მშვიდობა  
ჰორიზონტზე.

**პეტერ რიუმკორფი (დაბ.: 12.10.1929 დორტმუნდი – გარ.: 8.06.2008 რიზენბურგი)**

**რჩევა ხანშიშესული შეყვარებულისათვის  
ანუ სიცოცხლე იწყება ორმოცის მერე**

გინდა, დიდი ძალი გყავდეს, ვეებერთელა?  
რომელიც დაგიჯერებს, როცა უბრძანებ:  
“მოდი”, “წადი”, “შეეშვი”, “უდარაჯე”.  
პაწაწკინტელა ძალი რომ გყავდეს, არ გინდა?  
არ გსურს ისეთი, რომელიც ძველებურად თბილ სახეს  
ავილოკავს,  
როდესაც მკლავზე აიყვან  
და აიტანს შენს სუნთქვას?  
გირჩევ, დუხჭირი დღეებისათვის ერთი უბრალო ცხოველი იყიდო.  
კურსისდა მიხედვით შენი აღერსის ღირებულება უკვე  
საგრძნობლად დაეცა.  
შენი ღიმილიც აღარავის უჩქროლებს გულს.  
პირდაპირ დაგხატავდა ერთი უბრალო სულდგმული,  
აღლოსაც აგიღებდა, თვალს გაგაყოლებდა,  
როცა მარდისობას მიაშურებ.  
ახ, ცა, ზეცა!

რას აღარ იტევს კაცის ოცნება!  
 სად გაქრა კაცი, შენზე ჭკუას რომ ჰკარგავდა?  
 ცხრა მთას იქით გადაიხვეწა!  
 – კუნილინგუს, დანაპირები თხემის თვალთან, თვალთან  
 მთვარისა.  
 ო, კმარა, კმარა.  
 ამას ჯობს, ლაიბნიცის ქუჩაზე ერთი საგალანტერეო მაღაზია შეიგულო,  
 მაღაზიებში საუკეთესო.  
 ხედავ, რას არ მოიფიქრებს კაცი?!  
 მაინტერესებს, სხვაგან თუ ლაპარაკობენ შენზე?  
 ფოსტა! ეს უნდა იყოს გზაწილი – ეჰ, თალიზიასი:  
 “ყველაფერი სახლის მეურნეობისათვის.”  
 მთვარის ამოსვლაზე დღესაც ჭკუას ჰკარგავ.  
 ალბათ დასაკარგი იყო,  
 რაც ხელიდან გაუშვი.  
 განვლო ზაფხულმა, ჩაიარა და თან გაიყოლა გულისწორიც.  
 ხვალისათვის მისი ანაზომი  
 სადამოს გაზეთში გამოქვეყნდება.  
 გაჭრილი ვაშლივითა გგავს შენ, მაგრამ არ ახსენდება.  
 გეყოს, გეყოს.  
 ნუღარც ფიცს მიმეორებ ბედნიერების ხანგასული  
 გვირილებისა.

**ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი (დაბ.: 11.11.1929 კაუფბოირენი – )**

**ანდერძი**

სახიდან ეს დროშა მომაცილეთ, მეღამუნება უშნოდ,  
 შიგ ჩემი კატა ჩამარხეთ, ჩამარხეთ ის იქ, სად  
 უწინ ჩემი ქრომატული ბალი იყო.  
 მკერდიდან ეს თუნუქის გვირგვინი მომაშორეთ, ჯაყჯაყებს უშნოდ, –  
 ნაგავსაყრელზე გადაისროლეთ სტატუეტებთან,  
 შლეიფები კი ჩამოურიგეთ მეძავეებს, რათა  
 თავები შიგ შერგონ.  
 ღოცვები ტელეფონით წარმოთქვით, მაგრამ  
 მანამდე კაბელის გადაჭრა არ დაივიწყეთ  
 და მერე ისეთ ცხვირსახოცში შეახვიეთ,  
 გუბურის ღენჩი თევზების საკვებით სავსე რომ იყოს.  
 ეპისკოპოსს შინ ყოფნა და თრობა ენატრება,  
 ქადაგებისას წყურვილი აიტანს ხოლმე.  
 მას უფეშქაშეთ პატარა კასრით ღვინო.  
 მე კი ხსოვნის ძვლებს და ლამფის შუშებს ვიჩუქებ:  
 უმშვენეიერესი ბაზალტით მოკირწყლეთ შუკა,  
 იქ არავინ არ უნდა იცხოვროს,  
 ეს ჩიტების შუკა იქნება.  
 ბევრი ნაჯღაბნი ქაღალდია ჩემს ჩემოდანში, –  
 ისინი ჩემს პატარა დეიდაშვილს ვუსახსოვროთ!  
 იქედან იქნებ ისეთი გემები აეწყონ, აფრები ამაღონ  
 და ხიდიდან  
 მდინარეში გადაიძირონ . . .  
 სხვა რაღა მრჩება?! ერთი ხელი საცვალი,  
 სანთებელა და ერთიც ლამაზი ოპალის ქვა. . .  
 ჰო, ჩემი მაღვიძარა კალისთენეს – მეძველმანეს  
 უძღვენით და არც სასმლის ფული დაამადლოთ.  
 ამასობაში, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ,  
 მარადიულ სიცოცხლეზე და ხორცის აღდგომაზე

ზრუნვას უთქვენოდაც თავს გავართმევ.  
ეგ ხომ მართლა ჩემი საქმეა?! მშვიდობით.  
პო, სიგარეტის ღერები ტუმბოზე უნდა დამრჩენოდა, უსათუოდ. . .

**პორსტ ბინეკი (დაბ.: 7.05.1930 გლაივიცი – გარ.:7.12.1990 მიუნხენი)**

შენ მალე მოკვდები.  
კოკისპირულად წვიმს...  
ფრინველთა გუნდები ზიგზაგებად  
ენარცხებიან სიცარიელეს.  
ხიდებზე  
კონტროლია გამძაფრებული.  
დოლის ტყავებში  
სიგნალები ჩალაგებულან.  
უკარებოა  
ყველა სახლი.  
კოკისპირულად წვიმს...  
კვლავ გვალოდინებს  
მხოლოდღა ღამე...  
თავის თაღს სამოსს დაექებს ის, –  
მალე მოკვდები.

**ქრისტოფ მკეკელი (დაბ.: 12.06.1935 ბერლინი – )**

**მომგვარეთ კაცი**

მომგვარეთ კაცი, რომელსაც სიზმარში ვარო, – სჯერა,  
მაგრამ სიზმარში მის თავს რა ხდება – არ იცის.  
სახელი მისი? იგი ვერა სცნობს საკუთარ სახელს.  
მისი საქმე? ქვიშაზე ვიწექ და მეძინაო, – ამბობს.  
სამშობლო? მკვდარიაო, – ამბობს.  
კაცი მოასვენეთ, ვისაც სიზმარში ვარო, – სჯერა.  
საწოლი მისი? მისი ხე? მისი ჭა? სად იმყოფება?  
სად არის თევზი? წყალში. ცხენი? თავლაში.  
ღვინო? კასრში. გუგული? საათში. წილი? თმაში.  
სად არის კაცი, ვისაც სიზმარში ვარო, – სჯერა?  
სადამდე ვდიოთ ამ სიზმარას, მაინც სადამდე?  
ვინც დღე ძიღს, ხოლო ღამე კი ღვიძიღს იჩემებს!  
კისერი ყულფში!  
ყულფში კისერი!

## სარჩევი:

### I. “ტკივილი ძილმა გადაფარა, გალობამ - ვნება” – კარლ ფოლფსკეელი

1. რიკარდა ჰუხი – სად ედინები შენ, შენ-ჭავლო უცნობო
2. კარლ ფოლფსკეელი – უკანასკნელი კუნძულის რიფზე დედამიწისა
3. გერტრუდ ფონ ლე ფორტი – ლირიკული დღიური 1933-1945
4. ჰერმან ჰესე – ქარმა ქვიშაზე რაც დაგვიწერა
5. რუდოლფ ბორხარტი – შობა 1944
6. რუდოლფ ალექსანდრ შრიოდერი – მე აღარა ვარ
7. ჰანს კაროსა – ძველებური შადრევანი
8. კონრად ვაისი – აღდგომა თოვლში
9. იოზეფ ვაინჰებერი – სიზმრიდან ნაუბარი
10. ვერნერ ბერგენგრიუნი – ჩიტისადმი გარდაცვლილის შელოცვა
11. ჰერმან კაზაკი – ნაშთი სვეტისა
12. ფრიდრიხ გეორგ იუნგერი – ზამთრის დილა
13. ალბრეხტ ჰაუსჰოფერი – გამოთხოვება
14. რაინჰოლდ შნაიდერი – დღე უკანასკნელი
15. მარი ლუიზე კაშნიცი – ქალაქის გარეუბანი
16. ალბრეხტ გოესი – მომავლის იმედი
17. რუდოლფ ჰაგელშტანუე – მე დიდხანს ვიყავ მდუმარე
18. კრისტინა ბუსტა – ფაზები
19. ზილია ვალტერი – მღერის მარია
20. დაგმარ ნიკი – ქალაქები

### II. “მერედა ეს ნეტავი რა დრო არის” – ალექსანდერ ქსავერ გვერდერი

21. ელზე ლასკერ-შიულერი – ჩემი ლურჯი პიანინო
22. პაულ ცეხი – მსურდა ლანდშაფტი დამეხატა
23. მაქს ჰერმან ნაისე – ციურისული მაისი და პატარძალი კარმენი
24. გოტფრიდ ბენი – ორად-ორიდა საგანი
25. იოჰანეს რ. ბეხერი – ბრეხტი და სიკვდილი
26. გერტრუდ კოლმარი – ანგელოზი ტყეში
27. ვალტერ მერიხი – ემიგრანტის ქორალი
28. ერნსტ ვალდინგერი – საკვირაო მიმოხილვისას
29. თეოდორ კრამერი – ამაღამ გარეთ
30. ბერტოლტ ბრეხტი – ნეტარებანი
31. იაკობ ჰარინგერი – თხოვნა ცოდვისა
32. ჰანს ოტო მიუნსტერი – ო, რევოლუციები, ო, წითელი ბაირაღები!
33. ვალტერ ბაუერი – მამის ცხოვრება
34. იესე თორი – სიტყვა თვალსაზრისზე
35. ალექსანდერ ქსავერ გვერდერი – უსიერ ლანდებში დავეხეტები

### III. “რაც მყოფა, ის გადარჩება” – ოსკარ ლოერკე

36. ვილჰელმ ლემანი – მთვარე იანვარში
37. ოსკარ ლოერკე – მწვანობის ღრუბელი
38. ფრიდრიხ შნაკი – მერცხალი
39. გეორგ ფონ დერ ვრინგი – სველი ვარდები
40. რიხარდ ბილინგერი – საბეგრო გვამი
41. ჰანს ლაიპჰელმი – წვიმაში
42. გეორგ ბრიტინგი – დიდი შემოდგომა
43. ანტონ შნაკი – მეზღვაურ ვენგფილდის უწყება
44. ადოლფ ფონ ჰატცფელდი – ცხენებით ნადირობა
45. ალბინ ცოლინგერი – კი მაგრამ, საით მიფრინავენ მწუხრის ჩიტები
46. იოზეფ ლაიტგელბი – ალაგო, ო, ალაგო
47. მარტა ზაალფელდი – ფარფატებს ჰესტია
48. იურგენ ეგებრეხტი – თოლია
49. ელიზაბეთ ლანგესერი – გაზაფხული 1946
50. ფრიდო ლამპე – გედის სიკვდილი
51. ოდა შეფერი – მონუსხული
52. პეტერ ჰუხელი – უკან დახევა
53. გვიდო ცერნატო – ვედრება წმინდა სებასტიანისა
54. ერნსტ კროიდერი – მწვანე სიზმარი
55. ჰორსტ ლანგე – პოეტის სიკვდილი
56. გიუნტერ აიხი – ინვენტარიზაცია
57. კარლ კროლო – ძილი
58. ქრისტინე ლავანტი – ძილო ხნიერო
59. რაინერ ბრამბახი – იმ ხანად
60. იოჰანეს ბობროვსკი – ფიცრული სახლი ვილიაზე
61. ჰანს პიონტეკი – მიმოფანტულები
62. კარლ გუესმერი – სამეზობლოდან
63. დიტერ ჰოფმანი – ლუდსახდელი

### IV. “როგორ დიდდება დრო, როგორ გადიდება დრო – ერის კესტნერი

64. დრ. ოვგლასი (ჰანს ერის ბლაიხი) – ბაღი სახლს უკან
65. იოახიმ რინგელნატცი – თვითმფრინავული ფიქრები
66. ბერტოლდ ვირტელი – სარკიდან
67. კურტ ტუხოლსკი – დიდ ქალაქში
68. პეტერ პაულ ალტჰაუზი – დიდ ქალაქში
69. ჰანს ლაიპი – ლამაზი შენებერ
70. პეტერ განი – ხოტბა გათოვებისადმი
71. ოიგენ როთი – ცხოვრება
72. კარლ ცუკმაიერი – ელეგია დამშვიდობებასა და დაბრუნებაზე
73. ერის კესტნერი – ვეებერთელა დრო
74. მარტინ კესელი – მიყიდვ-მოყიდვა
75. ფრიდრიხ ტორბერგი – ერთი ფეხბურთელის აღსრულებისადმი

- 76. მაშა კალეკო – არღნის მელოდიაზე
- 77. ფრიც გრასჰოფი – შუქი და ნაძირლები

**V. ო, მქმენი მწკლარტედ და ნუშებთან დამთვალე, – პაულ ცელანი**

- 78. აღფრედ მომბერტი – ბარაკები – ზამთარი – წყვდიადი
- 79. ივან გოლი – სამხრეთ-ჩრდილოური სილურჯე
- 80. კლერ გოლი – კიდევ ერთი დღე
- 81. ნელი ზაქსი – შემსუბუქდება დედამიწა
- 82. პაულა ლუდვიგი – ბნელი ღმერთი
- 83. ერის არენდტი – გარსია ლორკა
- 84. ერნსტ მაისტერი – მსურს სვლა განვაგრძო
- 85. შტეფან ჰერმლინი – ტერცინები
- 86. მაქს ჰიოლცერი – აღმაფრენათა დამე
- 87. პაულ ცელანი – ნუშები ითვალე, ითვალე

**VI. “სიტყვები არსებობენ ლანდებად, ლანდები გარდაიქმნებიან სიტყვებად” – ოიგენ გომრინგენი**

- 88. ჰანს არპი – ჩვენ მავედრებელნი თუმცა
- 89. რიხარდ ჰუელზენბეკი – კუკჯონილები
- 90. კურტ ლეონჰარდი – თანამედროვენი
- 91. ჰანს კარლ არტმანი – უცქერდა ციციქნა მარტორქა
- 92. ჰელმუტ ჰაისენბიუტელი – კომბინაციები
- 93. ოიგენ გომრინგენი – სიტყვები არსებობენ ლანდებად
- 94. ერნსტ იანდლი – რამდენი შვილი გყავს სინამდვილეში?
- 95. ფრანც მონი – ჰორიზონტალური პროექცია
- 96. რაინერ მ. გერჰარტი – ხმა
- 97. იოჰანეს პოეთენი – დილა
- 98. პეტერ ჰერტლინგი – ისევ მოელის

**VII. “ჩვენ ტკივილები მიგვასვენებენ უსარკმლო სახლში” – ჰილდე დომინი**

- 99. ვოლფგანგ ვაირაუხი – კორეა
- 100. ჰილდე დომინი – უსარკმლო სახლი
- 101. ვოლფდიტრის შნურე – დასმენა
- 102. ერის ფრიდი – მთაზე დგას ჩემი სახლი
- 103. ვალტერ ჰიოლერერი – ო, შეხედე წითელ ყაყაჩოს! შეშინდი
- 104. ვერნერ რიგელი – შუბლი და თხემის ძვლები და კუნძულები ქარში
- 105. ვოლფგანგ ბეხლერი – გზაჯვარედინები
- 106. ელიზაბეთ ბორხესი – ვაი, წყალი ძილსა წვიმს
- 107. ინგებორგ ბახმანი – მზისადმი
- 108. კრისტა რაინიგი – მწყემსური
- 109. გიუნტერ გრასი – საბავშვო სიმღერა
- 110. გიუნტერ ბრუნო ფუქსი – მოკითხვის ბარათი
- 111. ჰერტა კრეფტნერი – ბიუროში



112. გიუნტერ კუნერტი – აქ განისვენებს მზიური ღმერთი
113. ვალტერ ჰელმუტ ფრიცი – მოლი სისხამი დილის პრელუდიურ შუქს შევებებოთ
114. პეტერ რიუმკორფი – რჩევა ხანშიშესული შეყვარებულისათვის ანუ სიცოცხლე იწყება ორმოცის მერე
115. ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი – ანდერძი
116. ჰორსტ ბიინეკი – შენ მალე მოკვდები
117. ქრისტოფ მეკელი – მომგვარეთ კაცი